# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 14 აპრილი 1999 №66 (839) | ფასი 1 ლარი


## ზიდანი ტურინში რჩება

მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ეპატიჟებოდა, თუმცა ზინედინ ზიდანმა იტალიაში დარჩენა არჩია



## დღეს და ხვალ მერვედფინალებია

10th FIFA World Youth Championship Nigeria 1999 3-24 April 1999

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირი დასრულდა. დღეიდან ოქროს მაძიებელთა შემცირება იწყება

## ჩიკაგო ამასაც მოესწრო

90-იანი წლების უძლიერესმა და უტიტულოვანესმა გუნდმა მაიამისთან შეხვედრაში 49 ქულის დაგროვება იკმარა

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

## ჰაკინენს მთელი გერმანია გაეკიდა

ბრაზილიის დიდ პრიზზე რბოლისას მოწინავეებში სამი გერმანელი იყო, მაგრამ მათაც და სხვებსაც ფინელმა მიკა ჰაკინენმა აჯობა

## საქართველოს ჩემპიონატი — 22 ტური

10 აპრილი, შაბათი

| | |
|---|---|
| არსენალი | 2 |
| სიონი | 1 |
| მერანი | 1 |
| კოლხეთი | 0 |
| დილა | 1 |
| ვიტ ჯორჯია | 3 |
| გურია | 1 |
| იბერია | 3 |
| დინამო | 5 |
| ოდიში | 0 |
| ტორპედო | 3 |
| ლოკომოტივი | 1 |
| გორდა | 0 |
| თსუ | 0 |
| სამგურალი | 0 |
| ბათუმი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 22 | 18 | 4 | 0 | 70:10 | 58 |
| ტორპედო | 22 | 15 | 3 | 4 | 51:19 | 48 |
| ლოკომოტივი | 22 | 11 | 10 | 1 | 28:12 | 43 |
| ბათუმი | 22 | 10 | 8 | 4 | 33:16 | 38 |
| კოლხეთი | 22 | 10 | 4 | 8 | 43:34 | 34 |
| დილა | 22 | 9 | 5 | 8 | 29:33 | 32 |
| მერანი | 22 | 7 | 9 | 6 | 22:21 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 22 | 9 | 4 | 9 | 24:20 | 28 |
| იბერია | 22 | 7 | 5 | 10 | 32:37 | 26 |
| არსენალი | 22 | 6 | 8 | 8 | 26:39 | 26 |
| სამგურალი | 22 | 7 | 3 | 12 | 20:37 | 24 |
| გორდა | 22 | 4 | 9 | 9 | 14:27 | 21 |
| თსუ | 22 | 4 | 8 | 10 | 16:26 | 20 |
| სიონი | 22 | 5 | 5 | 12 | 19:41 | 20 |
| ოდიში | 22 | 6 | 2 | 14 | 16:38 | 20 |
| გურია | 22 | 3 | 3 | 16 | 22:55 | 12 |

# ტორპედომ ლოკომოტივს წაგების გემო გაახსენა

*„ლოკომოტივს“ წაუგებლად ჰქონდა მეათე ჩემპიონატის 21 ტური, კიდევ 7 სათასო, ჩემპიონატისწინა და წრეთაშორის სამზადისის 15 საკონტროლო და მეცხრე ჩემპიონატის ბოლო ოთხი მატჩი. თბილისელებს თითქმის ერთი წელიწადი, შარშანდელი 3 მაისის მერე 47(!) შეხვედრა არ წაუგიათ და პირველი მარცხი შაბათს „ტორპედოსთან“ იწვნიეს.*

ტურის მიმოხილვა იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდებზე



„ტორპედო“ — „ლოკომოტივი“.
ქუთაისელმა დავით ჯანაშიამ (მარცხნივ) თბილისელებს უყურადღებობა არ აპატია და მწარედაც დასაჯა

# ხუთი ერი მოკვდა. გაუმარჯოს ექვს ერს!

## ხუთი ერის ბოლო პირველობის ჩემპიონი შოტლანდია გახდა



REUTERS

შოტლანდიელთა კაპიტანმა გარი არმსტრონგმა (მარცხნივ) და მისმა თანაგუნდელებმა ხუთი ერის თასს შოტლანდიაში მიუჩინეს ბინა




სქოთები გამარჯვებას საკუთარი ბრწყინვალე თამაშის გარდა უნდა უმადლოდნენ უელსელებსაც, რომლებმაც ტურნირის ბოლო მატჩში ინგლისელებს მოუგეს.

„ეს ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო მომენტია. საფრანგეთს იგივე დღე ვაწიეთ, რაც შარშან მან გვაყარა. მთელი ტურნირის მანძილზე დავამტკიცეთ, რომ ლელოების გატანა შეგვიძლია. ხვალ თუ ინგლისი დამარცხდა, ჩვენ დამსახურებულად გავხდებით ჩემპიონები“ — თქვა ფრანგების ძლევის შემდეგ შოტლანდიელთა კაპიტანმა გარი არმსტრონგმა. მეორე დღეს მართლაც ასე მოხდა, მანამდე კი...

იხილეთ მეცამეტე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი **22 ტური**

# გატყდა კოკა, გატყდა!

## მსაჯების დახმარებითო, ირწმუნება მახარაძე

ქუთაისი
10 აპრილი
16 საათი
გივი კილაძე
6 500 (ტევადობა 23 800)

**ტორპედო 3:1 ლოკომოტივი**

1:0 კვეტენაძე (38), 2:0 ჩხეტიანი (53), 3:0 დ. ჯანაშია (69), 3:1 გოგოლაძე (80)
**ტორპედო:** ჭანტურია, ახვლედიანი (კ. ჯანაშია 78), თურმანიძე, შეყრილაძე, ხვადაგიანი, მაღლაკელიძე, კ. კვეტენაძე, ჩხეტიანი, დ. ჯანაშია, იმედაძე (კ. მეტრეველი 78), იონანიძე (ვაჩიბერაძე 28)
*სათადარიგონი:* სტურუა; მაზანიშვილი, ჩხაბერიძე
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ჩიხრაძე, ბარნოვი (კ. გოგოლაძე 46), ზ. არჩვაძე, დ. მუჯირი (ბაქრაძე 76), კაციაშვილი (დ. გოდერძიშვილი 44), შ. ხუჯაძე, დაუშვილი, გოგობერიშვილი, კ. მელქაძე
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე; წივწივაძე, ნ. მელაძე
**გაფრთხილება:** კ. ჯანაშია (82)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. ამირეჯიბი
**სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

**იუზა კაციტაძე** ქუთაისიდან

არა, რაც უნდა ვთქვათ, ჩვენს მიკნავებულ ჩემპიონატშიც გვხვდება მატჩები, რომელსაც განსაკუთრებული ინტერესით ელის ფეხბურთის მოყვარული. ჰო, იშვიათად, მაგრამ გვხვდება. და, რაღა შორს წავიდეთ, აგერ, „ტორპედო" — „ლოკომოტივი". ამ შეხვედრას რომ ინტრიგა ახლდა, ისეთი უნდა...

ყველაზე მთავარი. წინა ტურებში ქუთაისელთა უხეირო თამაშის და, პირუკუ, რკინიგზელთა უდანაკარგო ალმასვლის გამო, „ტორპედოსა" და „ლოკომოტივს" შორის ათქულიანი სხვაობა ორამდე დავიდა.

თუ ამ ცოტა ხნის წინ საიუბილეო გათამაშების ვერცხლის მფლობელის ვინაობა ოდნავაც არ იწვევდა ეჭვს, ახლა „ტორპედოს" გავიცეჩემპიონება სათუო შეიქნა. სათუო კი არა, უკვე მთავარ კონკურენტთან წაბორძიკება, შეიძლებოდა, საბედისწერო გამომდგარიყო.

კიდევ ერთი, ვფიქრობთ, არანაკლებ მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც ამ თამაშისადმი ინტერესს ალვივებდა. როგორც იცით, „ლოკომოტივმა" წაუგებლად განვლო მიმდინარე ჩემპიონატის 21 ტური. ამას კიდევ 7 სათასო, წინასაჩემპიონატო და წრეთაშორის სამზადისში 15 საკონტროლო, მეცხრე გათამაშებიდან გადმოყოლილი ოთხი წაუგებელი მატჩიც დავუმატოთ და, რამდენი გამოვა? 47(!).

დიახ, თემურ მახარაძის „ლოკომოტივს" ქუთაისში ჩამოსვლამდე მიყოლებით 47 მატჩში არ წაეგო. რკინიგზელები ბოლოჯერ შარშან, 3 მაისს დამარცხდნენ წყალტუბოში, „სამგურალთან". თითქმის წელიწადი „ლოკომოტივის" დამმუხრუჭებელი არავინ გამოჩნდა. თვით „დინამო" სამჯერ ეცადა ამას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ახლა „ტორპედოსაც" მიეცა შანსი, ეს უკვე მეორე „ლოკომოტივთან" მისი პირველი შეხვედრა მცხეთაში, გემახსოვრებათ, ფრედ 1:1 დასრულდა...

ამ უაღრესად პრინციპული თამაშისთვის სტუმარ-მასპინძლებმა თითო წამყვანი მოთამაშე მოისაკლისეს. „ტორპედოს" მეგრელაძე აკლდა. გიორგიმ ვერა და ვერ მოირჩინა ორი კვირის წინ დაშავებული კოჭი. სხვათა შორის, ქუთაისელთა მეორე წინახაზელს იონანიძესაც საზარდულები აწუხებდა, მაგრამ ტკივილგამაყუჩებლები იხმარა და სათამაშოდაც გავიდა, თუმცა მხოლოდ ნახევარი საათი გაძლო მოედანზე, მეტოქე ეუხეშა და შეცვლა ითხოვა.

„ლოკომოტივის" დანაკლისიც სერიოზული იყო: ვარლამ კილასონია. ოღონდ აქ უკვე ტრავმა არაფერ შუაშია. როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთელი კლუბის ხელმძღვანელობას გაუნაწყენდა და ქუთაის — თბილისის მატარებელზეც შეგნებულად „დააგვიანაო". რკინიგზელებს კილასონია კი აკლდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, გიორგი ჩიხრაძე შეემატათ. ექს-ნაკრებელმა დაცვის ცენტრში დაიკავა ადგილი.

დაახლოებით ნახევარ საათს თამაში პოზიციურ ბრძოლაში, მეტწილად მინდვრის ცენტრში მიმდინარეობდა. აშკარად იგრძნობოდა, მეტოქეები ფრთხილობდნენ, შეტევაზე უფრო დაცვას აქცევდნენ ყურადღებას. რკინიგზელთაგან სავარაუდოდ ყველაზე სახიფათო მუჯირზე ხვადაგიანმა იკისრა პასუხისმგებლობა და, წინასწარ ვიტყვით, წარმატებით გაართვა თავი საქმეს (მუჯირს ამ მატჩში თავი არაფრით გამოუჩენია). რკინიგზელებიც, დავით ჯანაშიას კი უფრთხოდნენ, მაგრამ მისთვის პერსონალური მეურვე არ მიუჩენიათ, მორიგეობით დარაჯობდნენ და, რა გამოუვიდათ, ამაზე ქვემოთ. ერთი სიტყვით, თამაშის პირველმა ნახევარმა საათმა, ორი-სამი ეპიზოდი თუ დაგვიტოვა გასახსენებლად. მე-10 წუთი იყო, კვეტენაძის გადაცემის შემდეგ დავით ჯანაშია სამ რკინიგზელ მცველს შეებრძოლა, დაუსხლტდა კიდეც მათ და საჯარიმოს ხაზიდან კარისკენაც ძლიერად დაარტყა, მაგრამ მეტისმეტად არაზუსტად. სამ წუთში იმავე ჯანაშიას დარტყმულზე ხვადაგიანი გავიდა, მაგრამ ოდნავ დააგვიანა.

მერე სტუმრებმაც გამოიღეს ხელი. ცენტრიდან სახიფათოდ შეუტიეს და ქუთაისელები საკუთარ საჯარიმოსთან ახლოს დაჯარიმდნენ. მუჯირი 20 მეტრიდან ჭანტურიასგან მარჯვენა დაბალ კუთხეში ურტყამდა, მაგრამ ააცილა.

აქედან მოყოლებული შესვენებამდე ინიციატივას მყარად დაეუფლა „ტორპედო". როგორც იქნა, კახა კვეტენაძეს გაეხსნა თამაშის მადა, პარტნიორებიც გვერდით ამოუდგნენ და მასპინძლებმა მძლავრად შეუტიეს.

32-ე წუთზე ჩხეტიანმა სტუმართა საჯარიმოს კუთხიდან მოჭრილად დაარტყა კარისკენ, ბურთი ოდნავ გადასცდა ხარიხას. ამას მარჯვენა ფლანგიდან ახვლედიანის სწრაფი გარღვევა და კარში დარტყმა მოჰყვა — ისევ არაზუსტი.

35-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ვაჩიბერაძეს მიუვიდა, ისიც ხელსაყრელი მდგომარეობიდან ურტყამდა ცაციათი — კარს ზემოთ მოუვიდა.



ირაკლი მაღლაკელიძემ შალვა ხუჯაძე, ხოლო „ტორპედომ" „ლოკომოტივი" კისრულით დასცა

გოლმა მაინც არ დააზანა. მასპინძლებმა ეფექტური კომბინაცია გაითამაშეს. დავით ჯანაშიამ მოედნის სიღრმიდან ზუსტად გადააწოდა ბურთი ჩხეტიანს, ამან კი უმალ შენიშნა „ლოკომოტივის" დაცვის ცენტრში გაჩენილი ბზარი და ბურთიც სწორედ იქ გაჭრა, კვეტენაძის მისამართით. მცველები ქუთაისელს ველარ დაეწივნენ, და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა კვეტენაძემაც გატანის შანსი ხელიდან აღარ გაუშვა.

სტუმრებმა ყოველგვარი პანიკის გარეშე ალიქვეს ეს გოლი. მალე პირველი ტაიმიც მორჩა, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, თემურ მახარაძემ წინ მოთამაშე მუჯირსა და დაუშვილს გოდერძიშვილი დაუმატა.

შესვენების მერე რკინიგზელთა თავკაცმა გოგოლაძითაც გააძლიერა თავდასხმა და სტუმრებმაც სოლიდურად დაიწყეს მეორე ტაიმი. მათმა აქტიურმა თამაშმა 48-ე წუთზე კინალამ ნაყოფიც გამოიღო. ქუთაისელმა მცველებმა საკუთარ საჯარიმოში წამით მოადუნეს ყურადღება და გოდერძიშვილს კარში დარტყმის საშუალება მისცეს. მასპინძელთა იღბლად, ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს.

„ლოკომოტივი" წინ მიიწევდა, შეიძლება ითქვას, ნამეტანი გაუთამამდა მეტოქეს და... დაისაჯა კიდეც. ტორპედოელებმა კონტრიერიშზე დაიჭირეს სტუმრები.

მოვლენები სწრაფად განვითარდა. ისევ დავით ჯანაშიამ და ისევ მოედნის სიღრმიდან ზუსტად გადააწოდა კვეტენაძეს, ამან კი რამდენადმე წინ წაიწია და შეტევაში მარჯვნიდან ჩართულ იმედაძეს გადასცა. იმედაძემაც არ დააზანა, საჯარიმოს კუთხიდან შორეული ძელისკენ დაუმიზნა კარს, ბურთი მიზანს სცდებოდა, მაგრამ აქ ჩხეტიანმა იყოჩაღა, სულზე მიუსწრო და სანამ ის მოედანს დატოვებდა, უძლიერესი დარტყმით გაიტანა.

რკინიგზელებმა მეორე გოლიც მშვიდად ალიქვეს. მართალია, ამის მერე „ლოკომოტივს" ძველი შემართება გაუქრა, მაგრამ თავისას მაინც ცდილობდა. თუმცა გახსნილ თამაშში „ტორპედო" უფრო კარგად გამოიყურებოდა და თხუთმეტიოდე წუთში მასპინძლებმა ერთხელაც დალაშქრეს სტუმართა კარი.

კვეტენაძემ სტუმართა ნახევარზე, მოედნის ცენტრთან ახლოს მიიღო ბურთი იმედაძისგან, წინ დაიძრა, ხუჯაძეს დაუსხლტდა, ბოლოს ხელსაყრელ პოზიციაში მყოფი დავით ჯანაშიაც შენიშნა და პასიც არ დაუყოვნა. ჯანაშიასაც ბევრი არ უფიქრია, ბურთი მოირგო და 15 მეტრიდან ჯანელიძეს მეტად ეფექტურად, მარჯვენა ცხრიანში გაუტანა.

მასპინძლებს ანგარიშის გაზრდის კარგი შანსიც ჰქონდათ. 79-ე წუთზე მეტრეველის დარტყმისგან რკინიგზელები მეკარემ იხსნა. ამ ეპიზოდიდან წუთიც არ იყო გასული, რომ სტუმრებმა ერთი გაქვითეს. მაღალი ბურთისთვის გოგოლაძემ მაღლაკელიძეს აჯობა. მერე წინ გამოსულ ჭანტურიასაც მოუგო დუელი.

„ლოკომოტივმა" კაცნაკლულმა ჩაამთავრა მატჩი. ბოლო წუთებში ბალაშვილი დაშავდა და თამაშიდან გასვლა მოუწია.

„ტორპედომ" მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო და ჩემპიონატში ვერცხლის მედლების მოპოვების შანსი უფრო რეალური გახადა. „ლოკომოტივმა" კი 47-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა, თუმც აქ უმჯობესია გუნდის მთავარ მწვრთნელს, **თემურ მახარაძეს** მოვუსმინოთ:

— ვიცოდი, რომ „ტორპედოსთან" ძნელი მატჩი გვექნებოდა. კარგად დავიწყეთ, თამაში თანაბრად მიმდინარეობდა. ჩვენს მხარეს საგანგაშო არაფერი შექმნილა. გულდასაწყვეტი ის არის, რომ პირველი გოლი აშკარა თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა, მაგრამ მსაჯებმა ეს არ აღნიშნეს. შესვენების შემდეგ უპირატესობა ჩვენი იყო, მაგრამ ასევე თამაშგარედან გატანილმა მეორე გოლმა საბოლოოდ გაგვტეხა. „ტორპედომ" მხოლოდ ამის შემდეგ გვაჯობა.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რა დიდი როლი აქვს საკუთარი მოედნის ფაქტორს. „ტორპედოს" რომ ქომაგები ჰყავს! ამათთვის თამაში დიდი ბედნიერებაა.

**— თქვენ საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებთ მსაჯებს. თამაშის შედეგის გასაჩივრებას ხომ არ აპირებთ?**

— არა, აზრი რომ ჰქონდეს...

**— იმის თქმა ხომ არ გინდათ, „ტორპედომ" დაუმსახურებლად გაიმარჯვაო?**

— არა, მაგას ვერ ვიტყვი. ჩვენ ფსიქოლოგიურად არ ვიყავით მზად „ტორპედოსთან" სათამაშოდ. ჩვენი პრობლემები გვაქვს. მაგრამ მაინც დასანანი თამაში წავაგეთ.

„ლოკომოტივს" დარჩა „ტორპედოსთან" რევანშის აღების შანსი. ამ სეზონშივე. თუ რა, თქმა უნდა, ეს გუნდები თასის ფინალში გავლენ. „ტორპედო" ცალი ფეხით იქაა, „ლოკომოტივს" კი ჯერაც ნახევარფინალის მძიმე საპასუხო მატჩი ელის „სამგურალთან".

# საფლავი მაინც გვაჩვენეთ

რუსთავი
10 აპრილი
16 საათი
ფოლადი
500 (ტევადობა 10 700)

**გორდა 0:0 თსუ**

**გორდა:** ბედიაშვილი, მჭედლიძე, კედელაშვილი, სიდამონიძე, გაბელაია, ინასარიძე, ლაბაძე (მ. სახვაძე 58), ზირაქაძე, კოტიშვილი (ცალმახელიძე 71), ლ. ალადაშვილი (დ. მენთეშაშვილი 68), გ. მიშველიძე
*სათადარიგონი:* ოქროპირიძე, ტარტარაშვილი, ბექაური, სიმონიშვილი
**თსუ:** გაბელია, ზამთარაძე, შაშიაშვილი, თ. კობიაშვილი, ი. ხუჯაძე, დეკანოსიძე, ნინუა, მაღრაძე, გოჩაროვი (ბუკია 72), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* მურლანი, ინწკირველი, ვ. ლუდუშაური, თოლორაია, სვანაძე
**მსაჯები:** თ. ლაცაბიძე (სურამი); ა. მეშკოვი (თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**პაატა კვანტალიანი** რუსთავიდან

**წესით** და რიგით, აღდგომის წინა დღეს „ფოლადზე" უშელავათო ბრძოლა უნდა გამართულიყო. ამის საფუძველს „გორდას" და თსუ-ს სატურნირო მდგომარეობა იძლეოდა — ბოლოსწინა, მეთხუთმეტე ადგილზე მყოფი სტუმრები მასპინძლებს ქულით და ერთი საფეხურით ჩამორჩებოდნენ.

სწორედ რომ საინტერესო სიტუაცია იყო. გამარჯვებული საბოლოოდ გამოემშვიდობებოდა მაჩანჩალობას, დამარცხებული კი უკეთეს შემთხვევაში გადათამაშებას ვერ ასცდებოდა და „იდეალური ქართული ვარიანტიც" გაგორდა. ფრემ ორივე გუნდს შეუნარჩუნა „აქეთ დარჩენის" შანსი. თუმცა გაგორებაცაა და გაგორებაც — შაბათს „ფოლადზე" შეკრებილი მაყურებელი არნახულად დაისაჯა, დაისაჯა რადგან ფეხბურთის ნაცვლად ღმერთმა იცის, რა ნახა.

ამას საფეხბურთო მატჩს ვერანაირად ვერ ვუწოდებ, რადგან არაფრისმთქმელი იყო, ბურთი სადღაც ალმადალმა მოხეტიალე ფეხბურთელთა შორის ჩაკარგულიყო.

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველაფერი მოჩვენებითი იყო — სტადიონიც, ფეხბურთელებიც, მსაჯებიც, ალბათ, ისიც, რომ რომელიღაც წუთზე ის დალოცვილი ბურთი როგორღაც ძელს დაეცა.

რა გითხრათ, ეს არ იყო ფეხბურთი. თუ ყოველივეს ამ სახელს დავარქმევთ, მაშინ არ გვჭირდება ასეთი ფეხბურთი, არაფრისმომცემია და იმიტომ. სტადიონზე ბურთის მიმწოდებელი ნორჩი ფეხბურთელებიც იყვნენ. რას ვერჩით მათ, ასეთ სანახაობას რომ ვაყურებინებთ? მერე კი გვიკვირს, რატომ ვართ ასეთ დღეში, რატომ გვითახსირდება დიდი ტრადიციების მქონე ქართული ფეხბურთი. წარსული წარსულია, იყო და მორჩა, დღეს რა ვქნათ? დღეს, როცა ფეხბურთის გულშემატკივარი დამარცხებულის სინდრომით დაგვიავადდა?

აქ საექიმოც არაფერია. როგორც ჩანს, მართლა მკვდარია ქართული ფეხბურთი და ვაი, რომ მისი საფლავისთვისაც ვერ მიგვიკვლევია, თორემ შაბათს „ფოლადზე" მისული გულშემატკივარი მეორე დღეს საალდგომო კვერცხს მაინც გაუგორებდა სამარეზე.

# დარსაძე მაინც ერია

| | |
|---|---|
| წყალტუბო | |
| 10 აპრილი | |
| 16 საათი | |
| 26 მაისი | |
| 1 500 (ტევადობა 14 000) | |

## სამგურალი 0:0 ბათუმი

**სამგურალი:** ასლანაძე, მახვილაძე, ბურნაძე, ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე, აფციაური, გ. კილასონია, გიორგობიანი, ჯავახაძე (დარსაძე 58), გ. შენგელია (ზ. ქუთათელაძე 87)
*სათადარიგონი:* ბობოხიძე; ფრანგიშვილი, ლონლაძე, გ. თევზაძე, მ. ჯინჭარაძე
**ბათუმი:** მალაყმაძე, პაპიძე, გუჯაბიძე, სიჭინავა, მინდაძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, ლლონტი, გადელია (აფხაზავა 63), ხომერიკი
*სათადარიგონი:* ტოგონიძე; თორლაშვილი, მაქაცარია, რუსია, რომანაძე, ვერემჩუკი
**გაფრთხილება:** ქობულაძე (81), დარსაძე (83)
**მსაჯები:** გ. ასკაროლლი (ქარელი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. გუნთაძე (ლანჩხუთი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

ვახტანგ ბზიკაძე წყალტუბოდან

„სამგურალი“ ჯერჯერობით ისევ ჯგუფში დასარჩენად იბრძვის, „ბათუმი“ კი ევროსაგზურის მოპოვებას ლამობს.

წყალტუბოელებს ამ ტურში ცხრილის ქვემოურ მეზობელთა ქულათკარგვამ დასახული ამოცანა გაუიოლა. „კოლხეთის“ ზედიზედ მეორე მარცხმა კი „ბათუმს“ შეუნარჩუნა ინტერტოტოს თასზე გასვლის შანსი.

ერთი სიტყვით, ამ წყვილის გუნდებს სრულიად კონკრეტული მიზანი ამოძრავებდათ — ფრე არცერთს აწყობდა და მოგება, ცხადია, ორივეს სურდა. თუმცა, პირველ ტაიმში მასპინძლებს საამისო არაფერი ეტყობოდათ, ისე უილაჯოდ თამაშობდნენ.

ბათუმელთა მონდომება საგოლე მომენტებით მიზერულ უპირატესობაში გამოიხატა — მასპინძელთა კარს ხიფათი ორჯერ დაემუქრა, სტუმრებისას ერთადერთხელ.

„სამგურალის“ კარი პირველად მაშინ გადარჩა გოლს, გადელიას ჩაწოდებული ბურთის ძლიერად მოგერიებისას ჯავახაძემ ჭიჭვეიშვილს რომ მოარტყა, მისგან ასხლეტილმა კი მარჯვენა ძელს ახლოს ჩაუქროლა.

წუთით გვიან, ტაიმის პირველი მესამედის მიწურულს „ბათუმის“ კარს ბურნაძე დაემუქრა — კუთხურისას თავით დარტყმული ბურთი მალაყმაძის ბადეს ზევიდან დაეცა.

20-ე წუთზე ხომერიკმა ააცილა თავურით ივანე მახარაძის ჩაწოდებული ბურთი.

ბათუმელებს მეტოქისგან ნაფეშქაშევი დიდი უპირატესობის გამოყენება მართებდათ.

მეორე ტაიმში სხვა „სამგურალი“ ვიხილეთ — თუ არ აჯობეს, სტუმართათვის ტოლიც არაფერში დაუდიათ.

თამაშის განახლებისთანავე ძაგნიძემ გია კილასონია შეატოვა მირიან მალაყმაძეს პირისპირ. მეკარემ სწორად იმოქმედა და კილასონიას დარტყმული მისგან კუთხურზე გავიდა.

კუთხურს ხიფათი არ მოჰყოლია, მაგრამ ორ წუთში ძაგნიძის მაკრატელა აცდა მალაყმაძის კარს — წყალტუბოელმა ნახევარმცველმა ვოსკანოვის ჩაწოდება მკერდით კარგად გაისწორა, მაგრამ მიზანი გაუცუდდა.

51-ე წუთზე სიჭინავას შორეული დარტყმა აცდა ასლანაძის კარს, 55-ეზე კი საჯარიმოში შეჭრილი ლლონტისა.

სამ წუთში წყალტუბოელთა მწვრთნელმა დავით გენძეხაძემ ილია ჯავახაძის მაგივრად მინდორზე მთავარი მწვრთნელის, გაიოზ დარსაძის მოგვარე — შოთა შეუშვა. შეცვლის გამოცნობა ამას ჰქვიაო, დარსაძემ თამაში დიდად გამოაცოცხლა. 62-ე წუთზე მან სოლორეიდი ძლიერი დარტყმით დაასრულა, თუმცა მალაყმაძემ ბურთი ჯერ მოიგერია და მერე არც შენგელიას დაანება დამატება.

66-ე წუთზე უკვე გიორგი შენგელია ცდილობდა მალაყმაძესთან პირისპირ შეყრას, მაგრამ მეურვე პაპიძემ თავდამსხმელი ჰაერში ააზრიალა — საკვირველი იყო, გურამ ასკაროლლის თამაში არც გაუჩერებია.

ათ წუთში ბოლო სიტყვის თქმის უფლება ისევ შენგელიას ერგო. „სამგურალის“ იშვიათი სისწრაფის და სილამაზის კომბინაცია მხოლოდ უგოლობამ გააუფერულა. საჯარიმოს კუთხესთან ვოსკანოვმა კედელი გაითამაშა კილასონიასთან და მერე კარგადაც ჩააწოდა. შენგელია ბურთს თავით კი შეწვდა, მაგრამ სასურველი მიმართულება ვერ მისცა.

ბოლო წუთებზე შენგელიას შემცვლელმა ზვიად ქუთათელაძემ ააცილა შორიდან. სტუმრებს კი, ნათლად ჩანდა, თამაში აღარ გაუმწვავებიათ, ემანდ, სულ არ წავაგოთო.

თვალშისაცემი ერთიც იყო, „ბათუმის“ და საქართველოს ნაკრების მეკარე ნიკოლოზ ტოგონიძე სათადარიგო სკამიდან კარნახობდა თანაგუნდელებს, ზღვისპირელთა ნიგერიელი ლეგიონერი უჩე უვაკვე კი ტრიბუნიდან ადევნებდა მათ თამაშს თვალს.



მამუკა დარჩია წყალტუბოდან

დავით ჭეიშვილის „ბათუმმა“ წაგებას შინ ქულის წაღება არჩია



არსენალელმა ზაზა ზირაქიშვილმა (№7) გოლიც გაიტანა და საგოლე პასიც გააკეთა.

# ეძებეთ... მეკარე

| | |
|---|---|
| თბილისი | |
| 10 აპრილი | |
| 16 საათი | |
| ისანი | |
| 200 (ტევადობა 3 000) | |

## არსენალი 2:1 სიონი

1:0 ზირაქიშვილი (33), 1:1 მოსეშვილი (69), 2:1 გველესიანი (87)
**არსენალი:** ჩლაიძე, ცოტაძე, ჩიქოვანი, ვ. გველესიანი, აბაზაძე, მ. მაისურაძე, ზირაქიშვილი, კვირკველია (ხოსროშვილი 74), ამირიძე (კოხრეიძე 88), ა. კაკაშვილი, ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* აბაშიძე, ყუფარაძე, დ. კაპანაძე, თვალაბეიშვილი
**სიონი:** გუგუნავა, კ. გოდერძიშვილი, ა. შაკიაშვილი, სულთანოვი, ლ. ამბიძე, ლ. გაგუა, გ. ჯაფარიძე, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე (ჩაგელიშვილი 62), დ. ჯაფარიძე (დ. სვანიძე 46), არჩვაძე (მოსეშვილი 46)
*სათადარიგონი:* ხიდაშელი, დალაქიშვილი
**გაფრთხილება:** გოდერძიშვილი (38), ამბიძე (57), შაკიაშვილი (58), გაგუა (83) (ყველა „სიონი“), ამირიძე (87) („არსენალი“)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ორივე ქუთაისი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი)
**სფფ-ს ინსპექტორი:** შ. ხინჩაგაშვილი

კონსტანტინე გოგიშვილი

ამჯერად „ისანზე“ სასწრაფო დახმარების მანქანაც თავის ადგილზე იდგა, მეხანძრეებიც დროულად მოვიდნენ, გუნდები კი პირით ხაზზე განლაგებულიყვნენ და სათამაშოდ გასვლას მაინც არ აპირებდნენ. სტადიონის პერსონალმა ორჯერ დაატრიალა მაგნიტოფონზე საფეხბურთო მარში, მაგრამ საქმეში ხარ? — აქა ვდგავართ და სხვაგვარად არ ძალგვიძსო — დაახლოებით ამას გამოხატავდა პირით ხაზთან ჯგროდ მდგარ ფეხბურთელთა ნაირგვარი გამომეტყველება.

მიზეზი, მიზეზს არ იკითხავთ? თუ იკითხავთ და გაინტერესებთ, წერილის ბოლოს შეიტყობთ. თამაში კი ხუთიოდე წუთის დაგვიანებით მაინც დაიწყო. დაიწყო და მთელმა ოთხმოცდაათმა წუთმა მცირერიცხოვანი მაყურებლის შაყირ-ლაღობაში ჩაიარა. განსაკუთრებით ოციოდე ბოლნისელი ქომაგი გამოირჩეოდა სიტყვა და ენამახვილობით.

რომ ვთქვა „ისანზე“ ბრძოლა და ჩახა-ჩუხი ვიხილეთ-მეთქი, არ არის მართალი. მინდვრის ცუდი საფარის გამო აქამდეც არაერთხელ ვწერდით და რა გასაკვირია, ახლაც რომ ვთქვათ — ისედაც ტაბლო-ხორცის ფეხბურთის უსწორმასწორო და ოღროჩოღრო მოედნები უარესად აკნინებენ.

ასე იყო თუ ისე, მეათე ეროვნულის სადარი და დამახასიათებელი ფეხბურთი ისანშიც გაჩაღდა — პირველ ნახევარში მასპინძლებმა აშკარად დაჩაგრეს მეტოქე სამიოდ საგოლიდან ერთი გამოიყენეს და შესვენებაზე ერთბურთიანი უპირატესობით წავიდნენ.

ბურთი ზირაქიშვილმა გაიტანა, თუმცა ანაგარიშის გახსნაში მასზე მეტი წილი ტარიელაშვილმა დაიდო, იბრძოლა არმიელთა მეთერთმეტე ნომერმა, სამ მეტოქეს გამოარიდა ბურთი, მერე კი ზაზას გადასცა და ზირაქიშვილმაც ლამაზი, მოჭრილი დარტყმით „სიონის“ მეკარეს შანსი არ დაუტოვა. საერთოდ ზირაქიშვილზე ცალკე უნდა ითქვას. იგი „არსენალის“ აშკარა ლიდერია. კი მართალია, თითქმის მთელ შეხვედრას დოინჯით და ცენტრში ატარებს, მაგრამ ორ-სამ საგოლეს მაინც ქმნი-ხოლმე და გოლებიც ხშირად გააქვს. აკი თქვა კიდეც „არსენალის“ ერთ-ერთმა შეფმა — თითქოს ბოლომდე არ იხარჯება და სირბილი ეზარება, მაგრამ თავის საკეთებელს ასეც აკეთებს და რას ერჩიო.

მეორე ტაიმის დასაწყისი ბურთმა ძირითადად ჰაერში გაატარა — ხან არმიელთა, ხანაც „სიონის“ დაცვა ერთი-მეორეს უბრუნებდნენ ჩაწოდებულებს და ორივე გუნდის ნახევარდაცვა-თავდასხმაც ისე შესცქეროდა იქეთ-აქეთ მფრინავ სფეროს, როგორც მაღლა ვაშლს ცელქი შაქარა. ბოლოს და ბოლოს ბურთმა ინება ძირს ჩამობრძანება და „არსენალის“ ნახევარს არ მოსცილებია მანამ, სანამ მოსეშვილის თავურიდან ჩლაიძის კარში არ ამოყო თავი. ჩაწოდება კი მურმან გოგოლაძემ შეასრულა, რომელიც უდავოდ საუკეთესო იყო სიონელთაგან.

ბოლო ოცი წუთი „არსენალის“ შეტევებში მიილია. ბოლნისელებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე იწყეს თამაში და მართალი ვთქვათ, მატჩის ბოლომდე მოახერხეს კიდეც.

სწორედ მატჩის ბოლო აღმოჩნდა სიონელთათვის საბედისწერო. მაისურაძის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ზირაქიშვილმა თავზე დაასვა გველესიანს და ვახტანგმაც მეორე გოლი და სამი ქულა მოუტანა თავის გუნდს.

შეხვედრის გვიან დაწყებაში კი ბრალი „სიონის“ მეკარეს მიუძღვის — გუგუნავა გასახდელიდან მანამ არ გამოვიდა, სანამ ბურთის მომწოდებელი ბიჭი არ გაუგზავნეს. ეს იყო და ეს.

# ბედს შეგუებულნი

| | |
|---|---|
| ლანჩხუთი | |
| 10 აპრილი | |
| 16 საათი | |
| ევგრაფი შევარდნაძე | |
| 600 (ტევადობა 22 000) | |

## გურია 1:3 იბერია

0:1 ივეჩიანი (30), 0:2, 0:3 ხუჭუა (50პ, 66), 1:3 დ. მახარაძე (90პ)
**გურია:** გოგუა, თ. ჩხაიძე (შავშიშვილი 67), ზ. კვეკვესკირი, შ. მახარაძე, ფირცხალაიშვილი, კ. სვანიძე, ძოძუაშვილი (ჭიაბრიშვილი 46), ბოლქვაძე, გულორდავა (ლ. ჩხაიძე 68), ენუქიძე, დ. მახარაძე
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; მაჩიტიძე
**იბერია:** გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, ქველაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე, ს. თოდუა, ი. გიგიაძე, მუმლაძე, ფილიპაშვილი, ივეჩიანი (ნ. გიორგაძე 85), ხუჭუა (ვარდიაშვილი 86)
*სათადარიგონი:* ვარდანიძე; მესიაჩენკო, რ. ცომაია, ზ. ფხაკაძე
**გაფრთხილება:** შ. მახარაძე (21), თოდუა (36), დოლიძე (40)
**გაძევება:** ბოლქვაძე (65), ფილიპაშვილი (76)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); დ. სანაია (სოხუმი), კ. მესხი; ზ. ერქვანია (ორივე ზუგდიდი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ი. მჭედლიშვილი

გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, „გურიამ“ კვლავ წააგო, ამჯერად შინ, ზედიზედ მესამედ და მიუხედავად თეორიული შანსისა, უნდა ვაღიაროთ — ერთ დროს ქართული ფეხბურთის სიამაყეს და ერთ-ერთ ლიდერს, პირველი ჯგუფიდან გავარდნა არ აცდება.

ეტყობა, ფეხბურთელებმაც დაკარგეს იმედი, თორემ სხვანაირად მათი უგერგილო თამაში „იბერიასთან“ ძნელად ასახსნელია. წინა საშინაო მატჩში „ბათუმს“ გურულებმა მძლავრი წინააღმდეგობა გაუწიეს. მართალია, წააგეს, მაგრამ მათ გასამტყუნებლად ენა არავის მოუბრუნდებოდა. ახლა კი, უნდა ითქვას, „გურიას“ მორიგი ფიასკო უდავოდ მის ფეხბურთელთა სინდისზე უნდა იყოს. არა, ამით სტუმართა დამსახურებას სულაც არ ვაკნინებ. მათ ღირსეულად მოიგეს, თუმცა მეტოქეს მეტი ფხა რომ გამოეჩინა, შედეგი სხვა იქნებოდა.

„გურია“ უკბილოდ უტევდა, მეტოქე კი მომხვდურთ იოლად იგერიებდა და დროდადრო კონტრშეტევას ლამობდა. აი, კარში დარტყმამდე კი საქმე არავის მიუყვანია. ასე გაგრძელდა 30-ე წუთამდე. აქ კი მასპინძელ მცველთა პოზიციურ შეცდომას გოლი მოჰყვა. სწრაფი კონტრშეტევისას მარცხენა ფლანგზე ჩაწოდებული ბურთი მუმლაძემ ერთი შეხებით საჯარიმოში გადაგზავნა, სადაც ივეჩიანი მეკარეს ეულად შერჩა და ანგარიშიც გახსნა.

გურულებისთვის რაიმე სასიკეთო არც მეორე ტაიმში შეინიშნებოდა. უფრო მეტიც უკვე მეხუთე წუთზე ლიბერო ზაზა კვეკვესკირი ორჯერ უხეშად შეცდა: ჯერ ბურთი ვერ შეაჩერა და ივეჩიანს ჩააბარა, ხოლო შემდეგ მდგომარეობის გამოსწორება სცადა, მაგრამ აკრძალული ხერხით. ბევრს ეს ეპიზოდი საკამათოდ მიაჩნდა, ოღონდ, არა — არბიტრ სერგო კვარაცხელიას. ხუჭუამ კი გატანის შანსი ხელიდან არ გაუშვა.

გავიდა ხანი და „გურიას“ ისედაც დაბნეული უკანა ხაზი სულ აირია, რასაც დავით ხუჭუას მორიგი სწრაფი გარღვევა მოჰყვა. ბოლქვაძემ ხუჭუა ოდენ ბოლო იმედის ჯარიმით შეაჩერა და სამართლიანადაც გააძევეს. საჯარიმო დარტყმა, პენალტის არ იყოს, დაზარალებულმა ზუსტად შეასრულა, თუმცა ამაში გოგუას პოზიციური შეცდომაც დაეხმარა.

აქ კი ერთიც უნდა ვთქვათ, რატომღაც ფედერაციის ინსპექტორისა და სატადარიგო მსაჯის აზრები გაიყო. ილია მჭედლიშვილის აზრით, ეს გოლი 66-ე წუთზე გავიდა. არადა, ერქვანიას, ზოგიერთი ქომაგის და თვით იბერიელთა მტკიცებით, გოლი მთელი ათი წუთით ადრე გავიდა და ჩვენც მანდა ვართ...

კაცნაკლულ „გურიას“ დაცვის შეცდომები ახლა გენახათ. სტუმართაგან ვისაც არ დაეზარა ყველა პირისპირ აღმოჩნდა გოგუასთან, უმეტესჯერ — ლევან ფილიპაშვილი. მას ისე უნდოდა გატანა, რომ პარტნიორები აღარ ახსოვდა, ერთ-ერთ ეპიზოდში კი ისიც დაავიწყდა, მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა რომ არ შეიძლება. ფილიპაშვილის აზრით, თამაშგარის არასწორად დამფიქსირებელმა დავით სანაიამ კი სერგო კვარაცხელიას იბერიელი გააძევებინა.

თამაშის ბოლოსთვის არბიტრმა გურულები, ეტყობა, შეიცოდა და აშკარად გამოგონილი პენალტით დავით მახარაძეს სეზონში მეცამეტედ გაატანინა.



ვინ იცის უკვე მერამდენე შეტევას იგერიებს ზუგდიდელთა მეკარე

# რა არის ფეხბურთი?

თბილისი
10 აპრილი
16 საათი
ეროვნული
800 (ტევადობა 75 000)

**დინამო 5:0 ოდიში**

1:0 აშვეთია (14), 2:0 ალექსიძე (46), 3:0 ტულუში (48), 4:0 კიკნაძე (55), 5:0 სახვაძე (77)
**დინამო:** ბათიაშვილი, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა, ხიზანეიშვილი, ა. სახვაძე, გუჩუა (ა. მუჯირი 50), ალექსიძე, ჩომახიძე (კიკნაძე 46), აშვეთია, ქებაძე (ტულუში 37)
*სათადარიგონი:* გვარამაძე; გ. კვარაცხელია, ხიზანიშვილი, მაჭავარიანი
**ოდიში:** ნაყოფია, რ. გაბისონია, კ. კვეკვესკირი, აკობია, კაკულია (შელია 63), ლ. თოდუა, ტაბალუა, იოსავა, გოგოხია, ალანია (შედანია 73), გვიჩია
*სათადარიგონი:* გოგია; ცაცუა
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი; ა. ქარქაშაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

კობა ინასარიძე

„ოდიშისა" გასაგებია. ძნელია, ბედის ანაბარა მიტოვებულთ კლუბის პრეზიდენტის თერთმეტი თვის უნახავთ, უხელფასოდ, უპრემიოდ დარჩენილთ, თბილისში ავტობუსით, ნისიად ჩამოსულთ, ფეხბურთის თამაში მოსთხოვო. მოსთხოვო კომბინაციური, აზრიანი ბურთაობა, მოსთხოვო საქართველოს უცვლელ ჩემპიონთან ტოლსწორად გაჯიბრება.

ისე, ტოლ-სწორობა რა მოსატანია, როცა შაბათს წინააღმდეგობის მაგვარიც კი ვერაფერი ვიხილეთ.

იყო მოსაწყენი მატჩი, ისეთი, რომლის შედეგიც ძალიან ბევრისთვის წინასწარ გახლდათ ცნობილი.

ზუგდიდელები მრისხანე მასპინძელთა კარგა ხნის უთამაშებელ მეკარეს მთელი 90 წუთის განმავლობაში სულ ორჯერ დაემუქრნენ, თუმცა კარისკენ მხოლოდ ერთხელ დაარტყეს. ორჯერვე ბათიაშვილმა იყოჩაღა. პირველად, როცა ალანიას ააცილა თავიდან ბურთი, მეორედ კი მაშინ, ტაბალუა — ალანიას ერთი შეხებით გაგორებული ბურთი გოგოხიამ რომ დაარტყა და მეტოქეს ერთადერთი კუთხურის უფლება მოაპოვებინა. სულ ეს იყო სტუმართა შეტევა, დანარჩენ დროს ისინი ბურთს მოედნის შუაგულში ჰკარგავდნენ.

„დინამოზე" რაღა ვთქვათ? გუნდზე, რომელმაც წარბის შეუხრელად მოიგო და მორიგი ქულები მიითვალა? მათ წაივარჯიშეს. აკეთებდნენ იმას, რაც უნდოდათ. სათამაშო პრაქტიკის არმქონე დიდავა — კიკნაძისთვის კი დინამოელთა მწვრთნელმა მურთაზ ხურცილავამ კარგი დრო გამონახა 17 აპრილს ბათუმში პრინციპული თამაშისთვის მცველი და ნახევარმცველი დანარჩენებს შეუთამაშა. თანაც ერთიც გადასინჯა — მარცხენა ნახევარმცველი ალექსიძე შუაში შესწია და გამთამაშებლობასთან ერთად შეტევაც დაავალა. რა დაასკვნა ხურცილავამ, ძნელი სათქმელია, მეტოქემ ხომ თბილისელებს ყველაფრის უფლება მისცა.

ხუთი გატანილი გოლი, ერთიც არჩათვლილი, ერთხელ ძელს მორტყმული ბურთი, ერთიც ხარიხაზე, კიდევ უამრავი რეალური საგოლე მომენტი, მეკარე ნაყოფიას კარგი თამაში ზემოთქმულში დასარწმუნებლად, ალბათ, საკმარისია. ამის შემხედვარეს უნებურად ერთი ქართული ფილმი და მისი პერსონაჟები გამახსენდა — რა არის ფეხბურთი? იამანიძემ გადააწოდა მესხს, მესხმა მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მესამე... დარტყმა, არიიის! დარბაზში თანამშრომლის გასაკიცხად შეკრებილნი წამოხტნენ და ერთმანეთს გადაეხვივნენ. მაშინ თამაშის ერთი ეპიზოდის მოგონებამაც კი ემოციები გამოიწვია.

შაბათს არც ემოცია იყო, არც საკმარისი მაყურებელი — დაახლოებით რვაასზე მეტი. მათგან ბევრი თვლემდა, ბევრიც ამთქნარებდა. ეს არის ფეხბურთი?

# უხასიათო დილა

გორი
10 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
2 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:3 ვიტ ჯორჯია**

1:0 მინდიაშვილი (43), 1:1, 1:2 ქორიძე (48, 67), 1:3 ბოკერია (90ვ)
**დილა:** სოლოლაშვილი, გაგნიძე, რ. ხაჭაპურიძე, ვ. სამხარაძე, აკოფიანი, ლომიძე, მარეხაშვილი (ახალკაცი 57), ციცქიშვილი, ლ. გოჩაშვილი (ფეზუაშვილი 71), მ. მინდიაშვილი, შატაკიშვილი (სულთანიშვილი 80)
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე; ხიხალაშვილი, არუთუნიანი
**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჭანკოტაძე, ვ. მაისურაძე, ქემოკლიძე, ჯ. მუჯირი, კ. ალადაშვილი, ზ. გვაზავა, ი. კაპანაძე (დ. დოლიძე 46), ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე, ვ. გოჩაშვილი (ა. ბოკერია 70)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ჭოხონელიძე, მაზიაშვილი
**გაფრთხილება:** ალადაშვილი (78), ხაჭაპურიძე (83)
**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); კ. თბილელი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

გიორგი ვაშაკიძე გორიდან

**თუ გორელები** თამაშის ხასიათზე იყვნენ, „დილა" — „ვიტ ჯორჯია" კარგი სანახავი იქნება, თუ არა და, ვეტერინარები სამ ქულას იოლად წამოიღებენ ქართლიდანო — ასეთი გახლდათ „სარბიელის" წინასამატჩო ვარაუდი. გორელთა ხასიათზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ „ცენტრალურზე" თბილისელებმა მართლაც იოლად მოიპოვეს სამი ქულა. ამის თქმის საბაბს ვიტელთა მობილური, ახალგაზრდული შემართებით მებრძოლი გუნდი იძლევა. „ვიტ ჯორჯიამ" გორელთა დამარცხებით ერთგვარი რევანშიც კი აიღო, ამ გუნდების პირველი წრის მატჩი ხომ „დილამ" მცხეთაში 2:1 მოიგო.

აღდგომის წინა დღეს სტადიონზე ადრინდელის კვალობაზე მრავლად მისულმა მაყურებელმა ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველი — ქართველთათვის დამახასიათებელი ნელი ტემპი, აქა-იქ შექმნილი სახიფათო მომენტი. ფაქტობრივად, ორივე გუნდს ორ-ორი საგოლე შანსი ჰქონდა. პირველად კი გორელები დაემუქრნენ სტუმრებს — 34-ე (!) წუთზე ქრისტეფორე შატაკიშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი ვიტელთა მეკარე ჭურაძის კარს ოდნავ ასცდა. ორ წუთში თბილისელებს შეეძლოთ გატანა, როდესაც შეტევაში ჩართულმა მცველმა ჭანკოტაძემ მოედნის კიდიდან საჯარიმოში დაბალი ბურთი ჩააწოდა, მაგრამ ქორიძემ და ნოზაძემ ბოლო მომენტში ერთმანეთს ხელი შეუშალეს და ხიფათიც განიმუხტა. 43-ე წუთამდე კახა ალადაშვილმა დაურტყა სოლოლაშვილს ძლიერად — მეკარე ბურთს ადგილზე დახვდა. ტაიმის დასრულებამდე ორი წუთით ადრე კი „დილამ" გაიტანა. გორელებმა კუთხური მოაწოდეს, მეკარის საჯარიმოში თბილისელი მცველები შეცდნენ, რითაც ყველაზე უკეთ მახარე მინდიაშვილმა ისარგებლა და ჩაწოლილმა ფეხის გაკვრით ბურთს ჭურაძის კარში მიუჩინა ადგილი 1:0.

მეორე ნახევარში კი „ვიტ ჯორჯია" გარდაიქმნა. მეტოქის კარში სამი უპასუხო გოლი, ერთიც ხარიხას მორტყმული ბურთი, რამდენჯერმე გორელთა მეკარე სოლოლაშვილის სასწაულებრივი რეაქცია, სწრაფი, გააზრებული ფეხბურთი, იღბლიანი შეცვლები — აი, ეს გვაჩუქეს ვიტელებმა იმ დღეს.

მატჩის ბოლოს გორელი გულშემატკივრები სამართლიანად ამბობდნენ, რას ვერჩით, დამსახურებულად მოგვიგესო, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ფანიაშვილის არბიტრად გამწესება არაფრად ეპიტნავებოდათ, რატომაა, რომ ფეხბურთის ფედერაცია თბილისურ გუნდებთან შეხვედრებისას სულ თბილისელ მსაჯებს გვიგზავნისო.

# ზმანება

თბილისი
10 აპრილი
16 საათი
სინათლე
600 (ტევადობა 3 000)

**მერანი 1:0 კოლხეთი**

1:0 თოლორდავა (45)
**მერანი:** ლომაია, ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, დევიძე, ჭინჭარაული, ცქიფურიშვილი, ჯიშკარიანი, თოლორდავა, დავითაშვილი, ხუციშვილი (ბერაია 86), ბ. ამბიძე
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; ქელიძე, ხარებავა, ბაჯელიძე, ჩანადირი
**კოლხეთი:** მ. გვასალია, ანჯაფარიძე, ტორჩინავა, გ. გიორგაძე (ბურკვაძე 87), შალამბერიძე, ლალანიძე, ამაშუკელი, ტრაპაიძე (მაყაშვილიძე 64), ე. გვასალია, კალანდაძე, მ. ქობულაძე (ბულეჩია 83)
*სათადარიგონი:* ჩემია; კრასოვსკი, თედეევი, ჩაგანავა
**გაფრთხილება:** დევიძე (72), შალამბერიძე (76)
**მსაჯები:** ს. კახიანი; ვ. ჩოჩიშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ზ. ჯვარაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ვ. მიმინოშვილი

გაიოზ თალაკვაძე

**...ორივე** გუნდი მინდორზე ერთი გადაწყვეტილებით გამოვიდა — რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, გამარჯვებისთვის უნდა მიეღწიათ. მისცა თუ არა მსაჯმა თამაშის დაწყების ნიშანი, ფეხბურთელები გააფთრებით ეკვეთნენ ერთმანეთს. პირველი საგოლე სიტუაცია სტუმართა კართან შეიქმნა მატჩის მე-2 წუთზე. მასპინძელთა მარცხენა გარემარბმა ულამაზესი ფინტებით ერთმანეთის მიყოლებით ოთხი მეტოქე ჩამოიცილა გზიდან, მოწინააღმდეგის საჯარიმოს მიუახლოვდა და შორეულ ძელთან ჩაჰკიდა ბურთი. იქ კი აკრობატულ ნახტომში დაარტყა ცენტრალურმა თავდამსხმელმა. ბურთი მეკარისაგან მარჯვენა ცხრიანში გაფრინდა, მაყურებელი გამარჯვების ყიჟინის დასაცემად მოემზადა, მაგრამ...

სტუმართა კარის დარაჯმა რაღაც სასწაულებრივი ნახტომი შეასრულა და თავისი გუნდი აშკარა გოლისაგან იხსნა. დიდებული მომენტი იყო და სტადიონზე ბლომად თავმოყრილმა ქომაგებმაც მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს მისი ყველა მონაწილე.

ამის მერეც, მთელი საათნახევრის განმავლობაში, უმშვენიერესი თამაშის მოწმენი გავხდით. ასეთი მომენტები თითქმის ყოველ სამ-ოთხ წუთში ჩნდებოდა ორივე კართან.

გოლები კი იშვიათი სილამაზის გავიდა. პირველი ტაიმის შუაში სტუმართა გუნდის ლიბერომ მოწინააღმდეგის მორიგი შეტევა ჩაშალა საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან, ბურთი თავადვე წამოიღო, მოედნის ცენტრში სამ კაცს აუარა გვერდი და მარცხნივ მშვენიერი პასი მისცა თანაგუნდელს, რომელმაც დახლოებით ოცდახუთი მეტრიდან შეუჩერებლად დაარტყა და ბურთიც ცხრიანში შევარდა.

— გოლმა მასპინძლები [illegible] რიქით, მათ მეტი მონდომებით შეუტიეს და მალე მიაღწიეს კიდეც საწადელს. მეტოქე ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას შეცდა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა თავდამსხმელმაც ოსტატურად და აუღელვებლად გადაატარა მას ბურთი თავზე — 1:1...

მეორე ტაიმიც ასეთივე ლამაზი იყო. საბოლოო ანგარიში კი... არ მახსოვს! — ეს თამაში მთლიანად ჩემი წარმოსახვის ნაყოფია. „მერანი" — „კოლხეთის" უაზრო და უინტერესო ფაფხურის შემყურე რამდენიმე წუთით ოცნებებში წავედი და ის ლამაზი მომენტებიც მაშინ მეზმანა. ეჰ, როდის მოვესწრებით მთლად ასეთს თუ არა, ოდნავ მსგავს ფეხბურთს მაინც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში?

სახიფათო მომენტს ვინ ჩივის, კარში მეტ-ნაკლებად ხეირიანი დარტყმა ნახევარი საათის მერელა ვიხილეთ, ...ვი ამბიძემ გამოიჩინა, მაგრამ გვასალია ბურთს ადგილზე დახვდა.

ყველა ხიფათი მცველთა შეუთანხმებელი მოქმედებების წყალობით შეიქმნა, მაგრამ თავდამსხმელთა ბედოვლათობის გამო მხოლოდ ერთი გოლი გავიდა. 42-ე წუთზე ელდარ გვასალიამ ჩაჭრა „მერანის" საჯარიმოსთან ბურთი და ამაშუკელს მიაწოდა, მაგრამ ამ უკანასკნელს დარტყმა არ გამოუვიდა.

45-ე წუთზე კი თბილისელებმა მორიგი აბრაგანი დაარტყეს. მათდა ბედად, ფოთელთა მცველებთან ერთად მეკარეც შეცდა და თოლორდავამ თავური დარტყმით თავისიანები დააწინაურა. 57-ე წუთზე კვლავ ამაშუკელი-გვასალიას დუეტს შეეძლო გატანა. ბურთი მცველებს ამჯერად ამაშუკელმა აართვა და კარის გასწვრივ დაბალი ჩააწოდა, მაგრამ გვასალიას დარტყმული არაზუსტი აღმოჩნდა.

ერთი გოლი ამ თამაშში კიდევ გავიდა, მაგრამ მისმა გამტანმა მილოცვების მაგივრად ყვითელი ბარათი დაიმსახურა — მარცხნიდან ჩაწოდებულს დევიძემ თავის მაგივრად ხელი შეაგება და ფოთელთა კარიც მეორედ აიღო, მაგრამ ამაოდ.

მეტი საინტერესო და ყურადღების მისაქცევი არაფერი მომხდარა, ფეხბურთელებს ზედმეტად არც თავი შეუწუხებიათ და არც მაყურებელი. დუნედ ჩაამთავრეს მატჩი და „დამსახურებულად" წავიდნენ დასასვენებლად.

სტადიონზე კი ამაყად ფრიალებდა საქართველოს დროშა. ქარი ქროდა, თორემ საამაყო იქ რა იყო?!



„მერანი" — „კოლხეთი" 1:0. შეხვედრის უიშვიათესი მომენტი

# როგორ ჭამა პური უსამართლობამ

## ინგლისი

XXXIII ტური

**ლიდსი 0:0 ლივერპული**

ლიდსი: მარტინი, ჰალე (ჯონსი 21), ვუდგეიტი, რადებე, ჰარტი, ჰოპკინი, ბეტი, ბოუიერი, სმიტი, ჰასელბაინკი, კიუელი (რიბეირო 89)
ლივერპული: ჯეიმსი, ჟერარდი, ბები, კარაგერი, მატეო, მაკმანამანი, ინსი, რედნაპი, ბერგერი, ოუენი (რიდლე 25), ფაულერი
გაფრთხილება: ჰოპკინი, ბეტი, ბერგერი
მსაჯი: ჯონსი

**ევერტონი 2:0 ქოვენთრი**

1:0, 2:0 კემპბელი (29, 88)
ევერტონი: მირე, უეირი, შორტი, უოტსონი, ბოლი, დაკურტი, ჯემილი, ბარმბი, მატერაცი, ჯეფერსი (გრანტი 86), კემპბელი
ქოვენთრი: ჰედმანი, ტელფერი (ალოიზი 15), შოუ, ბრინი, ბაროუზი, მაკალისტერი, ბოტენგი, სოლტვედტი, უილიამსი, ჰაკერბი, ვილანი
გაფრთხილება: ჯემილი, მირე, დაკურტი, მატერაცი, ბარმბი, ბოტენგი, ჰაკერბი
გაძევება: მატერაცი (84)
მსაჯი: ჰარისი

**უიმბლდონი 1:2 ჩელსი**

0:1 ფლო (24), 0:2 პოიეტი (53), 1:2 გეილი (90)
უიმბლდონი: სალივანი, კანინჰემი, პერი, ბლექველი, თეთჩერი (ლიბერნი 78), კ. ჰიუზი, რობერტსი, გეილი, მ. ჰიუზი (ეინსვორსი 46), იუელი, ჰართსონი (კორტი 71)
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ (ნიუტონი 86), ლებეფი, გოლდბეკი, პოიეტი, დაბერი, ლე სო, დი მატეო (მორისი 46), ფლო, ლამბურდი, ძოლა (ნიქოლზი 90)
გაფრთხილება: მ. ჰიუზი, რობერტსი, დაბერი
მსაჯი: უილარდი

**ასტონ ვილა 3:0 საუთჰემპტონი**

1:0 დრეპერი (13), 2:0 ჯოაკიმი (66), 3:0 დაბლინი (89)
ასტონ ვილა: ბოსნიჩი, უოტსონი, კალდერვუდი, საუთგეიტი, რაიტი, სტოუნი, დრეპერი (მერსონი 57), ტეილორი, ტომპსონი (ჰენდრი 5), დაბლინი (ბერი 89), ჯოაკიმი
საუთჰემპტონი: მოსი, ჰილი, მონკუ, ლუნდეკვამი, კოლეტერი (ჰერსტი 72), დ. ჰიუზი, დოდი, მერსდენი, ლე ტისიე, მ. ჰიუზი (ბენალი 53), ოსტენსტადი (რიპლი 85)
გაფრთხილება: ლუნდეკვამი, მონკუ
გაძევება: ლუნდეკვამი (40)
მსაჯი: ბერი

**დერბი 1:0 ნოტინგემი**

1:0 კარბონარი (85)
დერბი: ჰოულტი, პრაიორი, კარბონარი, ლაურსენი, ბორბოკისი (სტარიჯი 16), პაუელი, ბოჰინენი, ბაიანო (ჰარპერი 46), შნური, ვანჩოპე, ბარტონი (პოომი 60)
ნოტინგემი: კროსლი, ჟანი, გაფი, ედვარდსი, ბონალაირი, ჯონსონი, პალმერი, როჯერსი, ვან ჰოიდონკი (შიპერლი 76), ფრიდმენი, ჰერვუდი (ჩეტლი 79)
გაფრთხილება: ჯონსონი, როჯერსი, ედვარდსი, ჰერვუდი, გაფი
გაძევება: ჰოულტი (60), გაფი (79)
მსაჯი: ბარბერი

**ლესტერი 0:0 ვესტ ჰემი**

ლესტერი: კელერი, სინკლერი, ელიოტი, ალსორნი, იმპეი (მილერი 63), სევიჯი, ლენონი, გუნლაუგსონი (მარშალი 63), გაპი, ჰესკი, კოტი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, რადოკი, პირსი, პოტსი, სინკლერი, ლომასი, ბერკოვიჩი, ლამპარდი, მინტო, დი კანიო (მონკური 86), კიტსონი (რაიტი 72)
მსაჯი: ვინტერი

**მიდლსბრო 2:0 ჩარლტონი**

1:0 რიკარდი (35), 2:0 მასტო (60)
მიდლსბრო: შვარცერი, სტოკდეილი, ფესტა, კუპერი, პალისტერი, გორდონი, მასტო, გესქოინი (მედისონი 75), თაუნსენდი, დინი (ონილი 68), რიკარდი (არმსტრონგი 75)
ჩარლტონი: პეტერსონი, მილსი, ტილერი, რუფუსი, პაუელი, ბოუენი (ბრაუნი 67), კინსელა (კ. ჯონსი 85), ბარნსი, სტიუარტი, პრინგლი, ჰანტი (ს. ჯონსი 67)
გაფრთხილება: მილსი
მსაჯი: რენი



REUTERS მანჩესტერიდან

ნიუკასლი — ტოტენჰემი 2:0. გულიტი და შირერი (№9) ერთმანეთს ფინალში გასვლას ულოცავენ

## თასის ნახევარფინალი

**ნიუკასლი 2:0 (დ.დ.) ტოტენჰემი**

1:0, 2:0 შირერი (109პ, 118)
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, ჰამანი, სოლანო (ფერგიუსონი 75), შირერი, ლი, ბარტონი, ძეცბაია (მარიჩი 105), სპიდი, ჰოუი (ჰიუზი 36), დაბიზასი
ტოტენჰემი: უოქერი, კარი, ფროინდი, ანდერტონი (სინტონი 50), ფერდინანდი, არმსტრონგი, ჟინოლა (ივერსენი 75), ტარიკო, კემპბელი, შერვუდი, იანგი
გაფრთხილება: გრიფინი, მარიჩი, ტარიკო, სინტონი, კემპბელი, იანგი
მსაჯი: დარკინი

**მანჩესტერი 0:0 (დ.დ.) არსენალი**

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი (ფ. ნევილი 84), სტამი, იონსენი, ბექემი, ბათი, კოული (სქოულზი 112), კინი, იორკი, გიგზი (სოლსკიაერი 98)
არსენალი: სიმენი, დიქსონი, ვინტერბერნი, ვიეირა, ადამსი, ვივასი, ანელკა (კანუ 98), ბერხკამპი, ოვერმარსი (ლიუნგბერგი 90), კიოუნი, პარლოუ
გაფრთხილება: გ. ნევილი, ირვინი, ვივასი, პარლოუ
გაძევება: ვივასი (95)
მსაჯი: ელერეი

„ნიუკასლი" შარშანდელივით ასოციაციის თასის ფინალისტია. თუ ვის შეხვდება გადამწყვეტ მატჩში გულიტის გუნდი, ჯერ უცნობია, რადგან ბირმინგემში გამართული ტიტანთა ბრძოლა „მანჩესტერსა" და „არსენალს" შორის 0:0 დასრულდა.

ორივე შეხვედრაში მსაჯებმა, პოლ დარკინმა და დევიდ ელერეიმ, ძალიან უხეში შეცდომები დაუშვეს. პირველმა ვერ შენიშნა, თუ როგორ მოხვდა საკუთარ საჯარიმოში ნიკოს დაბიზასს ხელზე ბურთი, ხოლო ელერეიმ როი კინს აშკარა გოლი არ ჩაუთვალა.

— კარგად ვხედავდი, სად იდგა დარკინი და ძალიან გამიკვირდა, პენალტი რომ არ დანიშნა — ამბობდა „ტოტენჰემის" გააფთრებული თავკაცი ჯორჯ გრემი მატჩის შემდეგ — ის ხომ მშვენივრად შეამჩნია, როგორ მოხვდა კემპბელს ბურთი ხელზე. დარკინის უხეში შეცდომა რომ არა, დარწმუნებული ვარ, ახლა ფინალში ჩვენ ვიქნებოდით. საერთოდ, მან ცუდად იმსაჯა, ბოლოს და ბოლოს, ამას რაიმე უნდა ეშველოს.

წესების დარღვევა მართლაც აშკარა იყო. ეს ყველამ დაინახა, იმ კაცის გარდა, ვისაც პირველ ყოვლისა უნდა დაენახა.

საერთოდ, შეხვედრა არცთუ ლამაზი, მაგრამ დაძაბული გამოდგა. პირველ ტაიმში „ოლდ ტრეფორდზე" შეკრებილ ქომაგებს ერთხელ შეუტოკდათ ნერვი — შეი გივენმა გაჭირვებით მოიგერია დარენ ანდერტონის ძლიერად დარტყმული ბურთი. მეორე ნახევარიც დუნედ დაიწყო. 57-ე წუთზე, ზევით რომ ვისაუბრეთ, ის ამბავი მოხდა, ამის შემდეგ კი უპირატესობას ნელ-ნელა „ნიუკასლი" დაეუფლა.

ლონდონელები დამატებით დროში გატყდნენ. ჯერ სოლ კემპბელი წაეპოტინა ბურთს უადგილო ადგილას ხელით და შირერმა თერთმეტი მეტრიდან ტრადიციულად ზუსტად დაარტყა, მერე იმავე შირერმა კარგად ისარგებლა გამოუცდელი, ყმაწვილი მცველის ლუკ იანგის შეცდომით და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა — 2:0

— ფერგიუსონის დაბრუნება დიდად დაგვეხმარა. იგი მუდმივად მეტოქე მცველების ყურადღებას იპყრობდა და შირერს ხელ-ფეხს უხსნიდა — შეაქო შოტლანდიელი ფორვარდი დანკან ფერგიუსონი გულიტმა. ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ შოტლანდიელმა მართლაც კარგად ითამაშა. ჰოლანდიელ მწვრთნელს არც შუახაზის ტკბილად მოხსენიება დავიწყებია.

— ნახევარდაცვამ დღეს ბრწყინვალედ ითამაშა. მთავარი ეს არის — როცა შუახაზელები უშეცდომოდ, სასარგებლოდ მოქმედებენ, გუნდი უეჭველად იგებს.

ასე რომ, 22 მაისს „უემბლის" ერთ ნახევარზე „ნიუკასლი" დადგება, ხოლო მეორეზე...

ელერეი რომ არა, ეს გუნდი, ალბათ უფრო „მანჩესტერი" იქნებოდა. თუმცა ახლა ამას მხოლოდ გადათამაშება გაარკვევს.

„ვილა პარკი" ფერგიუსონის შეგირდების დიდი უპირატესობის და უსამართლობის მომსწრე გახდა. საქმე ასე იყო — რაიან გიგზი თავის, მარცხენა ფრთიდან ეკვეთა ლონდონურ დაცვას და ბურთი ცოტა წინ გაექცა. გვერდით მსაჯს ეგონა, თამაშგარეში მყოფ დუაიტ იორკს პასი მისცაო და დროშა ააფრიალა, მაგრამ როცა გიგზი თავად წამოეწია ბურთს, არბიტრმა დროშა ჩამოსწია. მერე კი, უელსელი გარემარბის ჩაწოდებულს „არსენალის" საჯარიმოში როი კინი რომ დაუხვდა და გოლი გაიტანა, თანამსაჯი კვლავ დროშაალმართული იდგა.

— მე იმის მიხედვით ვიმსჯელე, რაც გვერდითმა არბიტრმა მითხრა. სხვა არაფერი — თავს იმართლებდა ელერეი, რომელმაც დამატებით დროში ლონდონელები რიცხობრივ უმცირესობაში დატოვა — არგენტინელი ნელსონ ვივასი გააძევა. ეს მეათე შემთხვევაა მიმდინარე სეზონში, როცა ჩემპიონს კაცს უგდებენ. აქედან [illegible] მჯერ თავი მსოფლიოს ჩემპიონმა ემანუელ პეტიმ ისახელა. ფრანგი ნახევარმცველი [illegible] არ მონაწილეობდა ბირმინგემულ მატჩში, თუმცა გადათამაშებაში იგი აუცილებლად ითამაშებს, რაც ლონდონელებს დიდად წაადგებათ. ეს მარტინ კიოუნმაც აღნიშნა:

— პეტი უზარმაზარი ძალაა. ამას მალე ყველა კარგად დაინახავს — თქვა „არსენალის" გამოცდილმა მცველმა.

აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ ჩემპიონი პრემიერლიგის ლიდერთან ბოლოს 1997 წლის თებერვალში დამარცხდა. მას მერე ეს გუნდები ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს — ოთხი მატჩი ლონდონელებმა მოიგეს, ორიც ფრედ დასრულდა.

ახლა პრემიერლიგაზეც ვთქვათ, სადაც ლონდონურ დერბიში „ჩელსიმ" „უიმბლდონს" სძლია 2:1 და ცხრილის კენწეროში ვითარება უკიდურესად დაძაბა. გაიბრწყინა იტალიელმა ჯანფრანკო ძოლამ, რომლის შეჩერებაც „უიმბლდონის" მცველებმა ვერაფრით მოახერხეს. ნორვეგიელი ფლოს და ურუგვაელი პოიეტის გოლები სწორედ ჩია აპენინელის აქტიურობის ნაყოფი გახლდათ.

„ლივერპულმა" კი შეაწყვეტინა გამარჯვებათა სერია „ლიდსს" და ზედიზედ მერვედ აღარ მოაგებინა, მაგრამ 25-ე წუთზე სამწუხარო ამბავი შეემთხვა — საკმაოდ მძიმედ დაშავდა სრულიად ინგლისის იმედი მაიკლ ოუენი და სავარაუდოდ, მიმდინარე სეზონში ველარ ითამაშებს.

როგორც იქნა, 11 მოუგებელი მატჩის შემდეგ იმარჯვა „ასტონ ვილამ". ამ „წარმატებას" ბირმინგემელებმა ბოლოსწინა ადგილზე მყოფ „საუთჰემპტონთან" შეხვედრაში მიაღწიეს. „ნოტინგემ ფორესტი" კი კიდევ ერთხელ, ამჯერად „დერბისთან" დამარცხდა და საბოლოოდ გამოემშვიდობა პრემიერლიგაში დარჩენის იმედს — მას მხოლოდ სასწაული თუ უშველის.

**დავით კოვზირიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 31 | 18 | 10 | 3 | 69:32 | +37 | 64 | 16 | 11 | 4 | 1 | 38:16 | +22 | 37 | 15 | 7 | 6 | 2 | 31:16 | +15 | 27 |
| 2 | არსენალი | 32 | 17 | 12 | 3 | 43:13 | +30 | 63 | 16 | 11 | 5 | 0 | 27:4 | +23 | 38 | 16 | 6 | 7 | 3 | 16:9 | +7 | 25 |
| 3 | ჩელსი | 31 | 17 | 11 | 3 | 47:24 | +23 | 62 | 15 | 9 | 5 | 1 | 21:9 | +12 | 32 | 16 | 8 | 6 | 2 | 26:15 | +11 | 30 |
| 4 | ლიდსი | 32 | 16 | 10 | 6 | 52:28 | +24 | 58 | 17 | 11 | 4 | 2 | 30:8 | +22 | 37 | 15 | 5 | 6 | 4 | 22:20 | +2 | 21 |
| 5 | ასტონ ვილა | 33 | 13 | 10 | 10 | 44:39 | +5 | 49 | 17 | 9 | 3 | 5 | 28:24 | +4 | 30 | 16 | 4 | 7 | 5 | 16:15 | +1 | 19 |
| 6 | ვესტ ჰემი | 33 | 13 | 9 | 11 | 34:40 | -6 | 48 | 16 | 9 | 3 | 4 | 22:20 | +2 | 30 | 17 | 4 | 6 | 7 | 12:20 | -8 | 18 |
| 7 | დერბი | 32 | 12 | 11 | 9 | 36:36 | 0 | 47 | 17 | 8 | 5 | 4 | 22:19 | +3 | 29 | 15 | 4 | 6 | 5 | 14:17 | -3 | 18 |
| 8 | მიდლსბრო | 32 | 11 | 13 | 8 | 44:41 | +3 | 46 | 16 | 7 | 8 | 1 | 24:11 | +13 | 29 | 16 | 4 | 5 | 7 | 20:30 | -10 | 17 |
| 9 | ლივერპული | 31 | 12 | 8 | 11 | 57:41 | +16 | 44 | 13 | 7 | 4 | 2 | 33:16 | +17 | 25 | 17 | 4 | 4 | 9 | 21:23 | -2 | 16 |
| 10 | ნიუკასლი | 32 | 11 | 9 | 12 | 43:45 | -2 | 42 | 16 | 7 | 4 | 5 | 23:20 | +3 | 25 | 16 | 4 | 5 | 7 | 20:25 | -5 | 17 |
| 11 | უიმბლდონი | 33 | 10 | 11 | 12 | 37:50 | -13 | 41 | 17 | 7 | 6 | 4 | 21:18 | +3 | 27 | 16 | 3 | 5 | 8 | 16:32 | -16 | 14 |
| 12 | ტოტენჰემი | 31 | 9 | 13 | 9 | 35:37 | -2 | 40 | 16 | 7 | 6 | 3 | 24:19 | +5 | 27 | 15 | 2 | 7 | 6 | 11:18 | -7 | 13 |
| 13 | ლესტერი | 31 | 9 | 12 | 10 | 32:39 | -7 | 39 | 16 | 5 | 6 | 5 | 21:23 | -2 | 21 | 15 | 4 | 6 | 5 | 11:16 | -5 | 18 |
| 14 | შეფილდი | 32 | 11 | 5 | 16 | 38:36 | +2 | 38 | 16 | 6 | 3 | 7 | 18:14 | +4 | 21 | 16 | 5 | 2 | 9 | 20:22 | -2 | 17 |
| 15 | ქოვენთრი | 33 | 10 | 7 | 16 | 34:45 | -11 | 37 | 16 | 7 | 5 | 4 | 21:16 | +5 | 26 | 16 | 3 | 2 | 12 | 13:29 | -16 | 11 |
| 16 | ევერტონი | 33 | 8 | 10 | 15 | 28:40 | -12 | 34 | 17 | 4 | 8 | 5 | 12:11 | +1 | 20 | 16 | 4 | 2 | 10 | 16:29 | -13 | 14 |
| 17 | ჩარლტონი | 32 | 7 | 10 | 15 | 34:43 | -9 | 31 | 15 | 4 | 5 | 6 | 18:14 | +4 | 17 | 17 | 3 | 5 | 9 | 16:29 | -13 | 14 |
| 18 | ბლექბერნი | 32 | 7 | 10 | 15 | 32:43 | -11 | 31 | 16 | 6 | 4 | 6 | 19:19 | 0 | 22 | 16 | 1 | 6 | 9 | 13:24 | -11 | 9 |
| 19 | საუთჰემპტონი | 33 | 8 | 6 | 19 | 28:60 | -32 | 30 | 16 | 7 | 3 | 6 | 22:22 | 0 | 24 | 17 | 1 | 3 | 13 | 6:38 | -32 | 6 |
| 20 | ნოტინგემი | 33 | 4 | 9 | 20 | 30:65 | -35 | 21 | 16 | 1 | 7 | 8 | 15:30 | -15 | 10 | 17 | 3 | 2 | 12 | 15:35 | -20 | 11 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ოუენი (ლივერპული) | 17 |
| იორკი (მანჩესტერი) | 16 |
| კოული (მანჩესტერი) | 15 |
| ჰასელბაინკი (ლიდსი) | 15 |
| რიკარდი (მიდლსბრო) | 15 |

XXXIII ტური
17 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | - | უიმბლდონი (0:1) |
| ჩარლტონი | - | ლიდსი (1:4) |
| ჩელსი | - | ლესტერი (4:2) |
| ქოვენთრი | - | მიდლსბრო (0:2) |
| ლივერპული | - | ასტონ ვილა (4:2) |
| მანჩესტერი | - | შეფილდი (1:3) |
| ნიუკასლი | - | ევერტონი (0:1) |
| ნოტინგემი | - | ტოტენჰემი (0:2) |
| საუთჰემპტონი | - | ბლექბერნი (2:0) |
| ვესტ ჰემი | - | დერბი (2:0) |

## პირველი დივიზიონი

XXXXII ტური

**ნორვიჩი 0:0 იფსვიჩი**

**ბარნსლი 1:1 ტრანმერი**

0:1 აირონსი (29), 1:1 დაიერი (54)

**ბრედფორდი 2:1 პორტსმუთი**

1:0 მილსი (25), 2:0 შარპი (36), 2:1 დარნინი (67)

**ბრისტოლი 4:1 გრიმსბი**

0:1 ეშკროფტი (13), 1:1 ტორპი (21), 2:1 აკინბიი (43), 3:1 ტინიონი (55), 4:1 აკინბიი (63)

**ქრიუ 0:0 პორტ ვეილი**

**ოქსფორდი 0:1 ბერი**

0:1 ლილი (29)

**ქუინზ პარკი 2:1 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 რიდი (45), 1:1 კილბეინი (45), 2:1 პიკოკი (87)

**სტოკპორტი 1:0 შეფილდ იუნ.**

1:0 მეტიუზი (46)

**სანდერლენდი 2:0 ჰადერსფილდი**

1:0 ქუინი (28), 2:0 ჯონსტონი (41)

**სვინდონი 0:1 ბირმინგემი**

0:1 როვეტი (83)

**უოტფორდი 2:0 ბოლტონი**

1:0 ჰაიდი (24), 2:0 მუნი (53)

**ვულვზი 0:0 კრ. პალასი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სანდერლენდი | 41 | 27 | 11 | 3 | 80:24 | 92 |
| იფსვიჩი | 41 | 24 | 8 | 9 | 63:26 | 80 |
| ბრედფორდი | 41 | 24 | 7 | 10 | 73:40 | 79 |
| ბირმინგემი | 41 | 20 | 12 | 9 | 61:33 | 72 |
| ვულვზი | 41 | 18 | 13 | 10 | 59:38 | 67 |
| ბოლტონი | 40 | 17 | 14 | 9 | 69:54 | 65 |
| უოტფორდი | 41 | 17 | 13 | 11 | 57:52 | 64 |
| შეფილდი | 41 | 15 | 12 | 14 | 63:60 | 57 |
| კრ. პალასი | 42 | 14 | 15 | 13 | 55:60 | 57 |
| ჰადერსფილდი | 42 | 14 | 14 | 14 | 57:66 | 56 |
| ნორვიჩი | 41 | 13 | 15 | 13 | 52:53 | 54 |
| ვესტ ბრომვიჩი | 41 | 15 | 8 | 18 | 63:69 | 53 |
| გრიმსბი | 39 | 15 | 8 | 16 | 37:47 | 53 |
| ბარნსლი | 42 | 12 | 16 | 14 | 52:50 | 52 |
| სტოკპორტი | 41 | 12 | 16 | 13 | 46:48 | 52 |
| ტრანმერი | 42 | 11 | 18 | 13 | 57:56 | 51 |
| ქუინზ პარკი | 40 | 11 | 11 | 18 | 45:52 | 44 |
| სვინდონი | 41 | 11 | 10 | 20 | 53:75 | 43 |
| პორტსმუთი | 42 | 10 | 13 | 19 | 51:65 | 43 |
| ოქსფორდი | 42 | 9 | 13 | 20 | 41:66 | 40 |
| ბერი | 41 | 8 | 16 | 17 | 30:53 | 40 |
| პორტ ვეილი | 40 | 11 | 6 | 23 | 39:70 | 39 |
| ბრისტოლი | 40 | 8 | 14 | 18 | 52:71 | 38 |
| ქრიუ | 41 | 9 | 11 | 21 | 48:75 | 38 |

## გერმანია

XXIV ტური

### ფრაიბურგი 0:2 ვერდერი

0:1 ფრინგსი (52), 0:2 ბოგდანოვიჩი (81)
ვაისჰაუპტმა ვერ გაიტანა პენალტი (84)
ფრაიბურგი: გოლცი, შუმანი, ჰერმელი, შ. მიულერი (შვინკენდორფი 78), რიტპიჩრ (გიუნეში 62), ბაია, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ვაისჰაუპტი, ვასმერი (ბენ სლიმანი 62), სელიმი
ვერდერი: ფ. როსტი, ბენკენი (ფლოკი 36), აილტსი, სკრიპნიკი, ვიდენერი, ტრარესი, ვიკი, დაბროვსკი (ფრინგსი 46), ჰერცოგი (ბრანდი 68), ბოგდანოვიჩი, ბოდე
გაფრთხილება: კობიაშვილი, ჰერმელი, ცქიტიშვილი, ბენკენი, ტრარესი
გაძევება: კობიაშვილი (25)
მსაჯი: კრუგი

### ბაიერნი 1:1 შალკე

1:0 ციკლერი (49), 1:1 ჰელდი (62)
ბაიერნი: კანი, ბაბელი, ჰელმერი, ლინკე, შტრუნცი (სალიჰამიჯიჩი 46), ფინკი, ტარნატი, ეფენბერგი, ბასლერი (იანკერი 72), ციკლერი (შოლი 72), დაეი
შალკე: რეკი, ტონი (ა. მიულერი 12), დე კოკი, ტაპალოვიჩი (ვან კერკჰოვენი 64), ბიუსკენსი, ვან ჰოგდალენი, ალპუგანი, ნემეცი, ჰელდი, მულდერი, მაქსი
გაფრთხილება: მიულერი
მსაჯი: ბერგი

### ლევერკუზენი 2:1 აინტრახტი

1:0, 2:0 კირსტენი (25, 29), 2:1 ცამპახი (64)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ნოვოტნი, ჟივკოვიჩი, ჰაინცე, რამელო, ემერსონი (ნ. კოვაჩი 86), ბაინლიხი, ჰაიდუკი (ლენჰოფი 70), ზე რობერტო (მაიერი 73)
აინტრახტი: ნიკოლოვი, იანსენი, ცამპახი, პედერსენი, ბინდევალდი, შური (გებჰარტდი 73), კუჩერა, ბონუა, ბ. შნაიდერი, სობოჩიკი (ვესტერტალერი 54), ბრინკმანი (ფიორტოფტი 54)
გაფრთხილება: ბაინლიხი, ჰაიდუკი, იანსენი, ნიკოლოვი, შური
მსაჯი: ვაკი

### ვოლფსბურგი 2:1 ლაუტერნი

1:0, 2:0 პრეგერი (42, 70), 2:1 ბალაკი (75პ)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ბალვანცი, ტომსენი, კრიგერი, ნოვაკი, დამაიერი, გრაინერი, მალტრიცი (ონილი 68), აკონორი, პრეგერი (ბაუმგარტი 80), იუსკოვიაკი (ბრაიტენრაიტერი 73)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, სფორცა, კოხი, როსი, რამზი (შეფერი 46), რატინიო, ბალაკი, ვაგნერი, რაიხი (რიდლი 46), რიშე,ბროსლერი (ბუკი 22)
გაფრთხილება: მალტრიცი, პრეგერი, ბალაკი, რატინიო, შეფერი, ვაგნერი
მსაჯი: ცერი

### ჰერტა 2:0 შტუტგარტი

1:0 არაჩიჩი (57), 2:0 ნოიენდორფი (73)
პრეეტცმა ვერ გაიტანა პენალტი (47)
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, ვან ბურიკი, სვერისონი, შმიდტი, ტომი, ვოში (როი 89), ტრეჩოკი, ჰარტმანი, პრეეტცი, არაჩიჩი (ნოიენდორფი 71)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტიამი, ბერთოლდი, ვერლაატი, კელერი (შპანრინგი 18), სოლდო, ჯორჯევიჩი, ლისტეში, ცაიერი, აკპობორი (ფრომერი 77), ბობიჩი (რისტიჩი 77)
გაფრთხილება: ვოში, აკპობორი, ბერთოლდი, სოლდო, ვერლაატი, ვოლფარტი
მსაჯი: ვებერი

### ჰანზა 2:0 დორტმუნდი

1:0 ნოივილი (60), 2:0 აგალი (79)
ჰანზა: პიკენჰაგენი, ჰოლეჩეკი, რემერი, ელერსი, ვიბრანი, ლანგე, იასერი, ემარა, ბრაიტკროიცი (ლაარსი 84), აგალი (მაიაკი 80), ნოივილი (ფუქსი 89)
დორტმუნდი: ლემანი, ფაიერზინგერი (შაპუიზა 78), კოლერი, ნიეგუსი (კ. ბაუმანი 46), ნერლინგერი (ვ. ბუტი 46), რიკენი, სტევიჩი, დედე, მიოლერი, ჰერლიხი, ბარბარესი
გაფრთხილება: ჰოლეჩეკი, ლანგე, ნიეგუსი, სტევიჩი
გაძევება: ლანგე (89), ლემანი (89)
მსაჯი: ფლაიშერი

### ბოხუმი 2:0 მიუნხენი

1:0 ბუკლი (56), 2:0 ცაიერი (90)
ბოხუმი: ტ. ერნსტი, სუნდერმანი (ცაიერი 45), ვალდოხი, კრახტი, ტოპლაკი, შინდცილორცი (პეშელი 57), რაისი (ფარენჰორსტი 73), ნ. ჰოფმანი, ბასტურკი, მაჰდავიკია, ბუკლი
მიუნხენი: მ. ჰოფმანი, კურცი, ზელიჩი, დინზეი (რიხტერი 78), ტაისი, ბორიმიროვი, ჩიჟეკი (ჰობში 69), ჰელდტი (ოუაკილი 65), ჩერნი, ვინკლერი, შროტი
გაფრთხილება: ფარენჰორსტი, შინდცილორცი, ვალდოხი, ტაისი
მსაჯი: ვაგნერი

### ნიურნბერგი 2:0 გლადბახი

1:0 ციმერი (39), 2:0 ოეხლერი (78)
ნიურნბერგი: კიოპკე, ფ. ბაუმანი, ნიკლი, ვან ეკი, შტორცენჰოფეკერი, ლიოში (ოეხლერი 57), დრილერი, გერბერი, ციმერი, ჩირიჩი (კურტი 73), კუკა
მიონხენგლადბახი: ენკე, მ. შნაიდერი, ასანინი, კლინკერტი, ებერლი (პასლაკი 73), კეტელაერი, სოპიჩი (პფლიპსენი 73), ფრონცეკი, ვიტეჩეკი, პეტერსონი, ფელდჰოფი (გიოქთანი 55)
გაფრთხილება: კუკა, ნიკლი, ვან ეკი, კეტელაერი, მ. შნაიდერი
მსაჯი: მერკი

### დუისბურგი 2:3 ჰამბურგი

1:0 ოსტჰოფი (6), 2:0 ჰაიტო (7), 2:1 გროთი (58), 2:2, 2:3 დემბინსკი (63, 75)
დუისბურგი: სტაუჩე, ემერლინგი, ვოლერტი, ჰაიტო, ოსტჰოფი, ვოლტერსი (ვედაუ 77), ჰირში, ტიოფტინგი (კომლიენოვიჩი 65), ბუგერა, ბაიერლე (დიალო 46), შპისი
ჰამბურგი: ჰ. ბუტი, პანადიჩი, ჰოოგმა, ჰერჩი, ბაბატცი, გროთი, იეპსენი (ფიშერი 90), გრავესენი, კირიაკოვი (გრამოცისი 46), დემბინსკი (დოლი 89), იებოა
გაძევება: ემერლინგი (69)
მსაჯი: შტრამპე



REUTERS ლევერკუზენიდან

ლევერკუზენი — აინტრახტი 2:1. ულფ კირსტენის (№9) ამ თავურ დარტყმას, ნიკოლოვის (მარჯვნივ) კარში მეორე გოლი მოჰყვა

# ზოგჯერ მუქარაც საჭიროა

ერთი მოგება, სამი ფრე, ოთხი წაგება, ჩატარებული რვა მატჩი და მოპოვებული ექვსი ქულა. ეს, სამი ქართველის — ალექსანდრე იაშვილის, ლევან კობიაშვილის და ლევან ცქიტიშვილის „ფრაიბურგის“ მეორე წრის მონაგარია. სამწუხარო ფაქტია — „ფრაიბურგი“ ბუნდესლიგის ფსკერისკენ მიექანება და სრულიად მოსალოდნელია, იქ დაილექოს. ჩვენებურთა კლუბმა, რომელიც პირველ ბუნდესლიგას შარშან ზაფხულს დაუბრუნდა, ბევრისთვის მოულოდნელად, ჩემპიონატი საკმაოდ კარგად დაიწყო, ერთი ხანობა მეხუთე ადგილზეც იყო, მაგრამ მეორე წრეში ვითარება შეიცვალა, უკუსვლა აშკარაა. მაშინ, როცა „ფრაიბურგი“ ქულას ქულაზე კარგავს, აუტსაიდერები სულ უფრო უკეთ თამაშობენ. დასტურად ბოლო ტურიც გამოდგება. უშუალო კონკურენტებმა, „აინტრახტის“ გარდა, მნიშვნელოვანი ქულები მოიპოვეს, „ფრაიბურგმა“ კი შინ „ვერდერთან“ წააგო. იმ „ვერდერთან“, რომელსაც პირველ წრეში ბრემენში იოლად სძლია.

პარასკევს „ფრაიბურგის“ საშინაო მარცხში თავისი წვლილი (არც თუ უმნიშვნელო) ლევან კობიაშვილმაც შეიტანა. მატჩის 25-ე წუთი მიმდინარეობდა, როდესაც მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევისას კობიაშვილი საჯარიმოში შეიჭრა და წაიქცა. ჰელმუტ კრუგმა, ევროპაში საკმაოდ ცნობილმა მსაჯმა, ყველაფერი ნათლად დაინახა. ლევანს სიმულანტობისთვის უმალ მეორე ყვითელი და შესაბამისად წითელი ბარათი უჩვენა. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, ეს ეპიზოდი გადამწყვეტი გახლდათ. „ვერდერმა“ რიცხობრივი უპირატესობა კარგად გამოიყენა — 54-ე და 77-ე წუთებზე ორი ერთმანეთის მსგავსი გოლი გაიტანა და 2:0 მოიგო. ჯერ ფრინგსი გავიდა გოლცთან პირისპირ, ისიც მოატყუა და ცარიელ კარში შეაგორა ბურთი, მერე კი ბოგდანოვიჩმაც იგივე გააკეთა.

სანამ კობიაშვილს გააძევებდნენ, „ფრაიბურგის“ უპირატესობა აშკარა იყო. 22-ე წუთზე ქართველებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, ცქიტიშვილმა კობიაშვილს მისცა პასი, ამან მცველი მოატყუა და მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ ძლიერად დარტყმული ბურთი როსტს მოარტყა. გოლებამდე „ფრაიბურგი“ რამდენჯერმე გოლცმა გადაარჩინა, როცა აუღებელი ბურთები აიღო. მატჩის ბოლოს „ფრაიბურგს“ ერთი საპასუხო გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ გიუნეშის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ვაისჰაუპტმა კარს ააცილა.

„ყველაფერი 25-ე წუთზე გადაწყდა, როდესაც ფეხბურთელი გაგვიძევეს. მსაჯის ამ მოქმედებაზე ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით, რადგან ვერ დავინახე, რა მოხდა, თუმცა, როგორც სკამიდან ჩანდა, კრუგი შეცდა. გუნდი კაცნაკლულობას ვერ შეეგუა და დასანანი მარცხიც ვიწვნიეთ. მომავალში ქულების ფანტვის უფლება აღარ გვაქვს“ — წუხდა მატჩის შემდეგ, „ფრაიბურგის“ მთავარი მწვრთნელი ფოლკერ ფინკე.

ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში კიევის „დინამოსთან“ ნათამაშები 3:3-ის შემდეგ კვლავ ფრედ დაასრულა მატჩი მიუნხენის „ბაიერნმა“, რომელიც „შალკეს“ მასპინძლობდა. „ბაიერნი“ ცოტა გადაღლილიც ჩანდა, ფეხბურთელები ზედმეტ მოძრაობას ერიდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ტერიტორიულ უპირატესობას მაინც ფლობდნენ. პირველ ტაიმში სახიფათო მომენტი, ფაქტობრივად, ერთხელ შეიქმნა, როცა დაეიმ ბურთი თავით ხარიხას მოარტყა. აი, მეორე ნახევარი დაიწყო თუ არა, ანგარიში გაიხსნა. ტარნატმა აუტიდან რეკთან პირისპირ გაიყვანა ციკლერი, რომელმაც ძლიერი დარტყმით თავისიანები დააწინაურა. საპასუხო გოლი 62-ე წუთზე გავიდა. ჰელდმა ტარნატი მოატყუა და ლამაზი ბურთი გაიტანა. ბოლოს „ბაიერნს“ მაინც შეეძლო გამარჯვება, მაგრამ ლინკეს ახლოდან დარტყმული რეკმა მოიგერია, ხოლო ბაბელს მიზანმა უმტყუნა.

ლევერკუზენელებმა „ბაიერნთან“ სხვაობა ორი ქულით კი შეამცირეს, მაგრამ ჩემპიონობას რომ ვერ შეეცილებიან, ყველაზე კარგად თავად უწყიან. „აინტრახტთან“ მატჩის გმირი ულფ კირსტენი გახდა. სწორედ მისმა დუბლმა მოაგებინა „ლევერკუზენს“, რომელსაც წესით, აუტსაიდერთან გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდა. კირსტენის პირველი გოლი ძალიან ლამაზი გამოდგა. ბაინლიხის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი გერმანიის ნაკრების თავდამსხმელმა ერთი შეხებით კარში გადაგზავნა. ეს 25-ე წუთზე მოხდა. 29-ეზე კი მანვე თავით ანგარიში 2:0 გახადა და, ფაქტობრივად, მატჩის ბედიც გადაწყვიტა. სტუმრებმა მეორე ტაიმში ანგარიშის შემცირებაღა შეძლეს, ცამპახის დარტყმულ ბურთს მატიშეკი წინ ვერ აღუდგა.

თამაშის შემდეგ „ლევერკუზენის“ მწვრთნელი კრისტოფ დაუმი კმაყოფილი გახლდათ: „ეს გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ისე, მატჩი უფრო იოლად უნდა მოგვეგო და ბოლოს არ უნდა გვენერვიულა. მიუხედავად ამისა, მაინც ვიმარჯვეთ. ყველაზე მეტად კი ულფ კირსტენის კარგი თამაში მახარებს“.

ზედიზედ მეორედ წააგო „კაიზერსლაუტერნმა“, „ლევერკუზენის“ კონკურენტმა მეორე ადგილისთვის ბრძოლაში. წინა ტურში „ლაუტერნი“ შინ სწორედ კრისტოფ დაუმის შეგირდებთან დამარცხდა, ახლა კი რეჰაგელის გუნდი „ვოლფსბურგმა“ დაიბრიყვა. „ვოლფსბურგი“ სტუმრად წვეულ მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგა. მასპინძლები „ლაუტერნის“ კართან მომენტსმომენტზე ქმნიდნენ, რაც ძირითადად ლიბერო ჩირიაკო სფორცას სუსტი თამაშის ბრალი გახლდათ. „ვოლფსბურგი“ ტაიმის მიწურულს, 42-ე წუთზე დაწინაურდა. აკონორის დარტყმა რაინკემ კი უკუაგდო, მაგრამ ბურთთან როი პრეგერი გაჩნდა, რომელსაც ოთხთვიანი შესვენების შემდეგ პირველი გოლის გატანა არ გასჭირვებია. ისე, „ლაუტერნს“ გოლი ბევრად ადრე უნდა გაეშვა, მაგრამ ბურთი ორჯერ სტუმართა კარის ძელს მოხვდა. პრეგერმა მეორეჯერაც დამატებაზე გაიტანა — რაინკემ ამჯერად იუსკოვიაკის დარტყმული მოიგერია. ეს 70-ე წუთზე მოხდა. მეორე გოლი „ვოლფსბურგისთვის“ მნიშვნელოვანი იყო, რადგან მეორე ტაიმის დებიუტი მთლიანად სტუმრების კარნახით მიმდინარეობდა. რიშეს შეეძლო კიდეც წონასწორობის აღდგენა, მაგრამ ორიოდე მეტრიდან ბურთი კარს გადააცილა. თუმცა ერთი საპასუხო გოლი „ლაუტერნმა“ მაინც გაიტანა. 75-ე წუთზე რიდლის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ბალაკმა გამოიყენა.

მნიშვნელოვანი მატჩები წააგეს ჩემპიონთა ლიგის საგზურებისათვის მებრძოლმა „დორტმუნდმა“ და „მიუნხენმა“ ორივე ერთნაირი ანგარიშით დამარცხდა 0:2, თანაც სტუმრად, შესაბამისად, „ჰანზასთან“ და „ბოხუმთან“, რომლებიც, მათგან განსხვავებით, ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან.

სამი ტურის წინ „ჰამბურგის“ პრეზიდენტმა ვერნერ ჰაკმანმა მწვრთნელი ფრანკ პაგელსდორფი დაიბარა და გააფრთხილა, „ბოხუმთან“ საგარეო მატჩსაც თუ ვერ მოიგებ, გუდანაბადს აგაკვრევინებო. მუქარამ გაჭრა, „ჰამბურგმა“ ჯერ „ბოხუმს“ სძლია, მერე „ფრაიბურგს“ ახლა კი მათ გზას „დუისბურგიც“ გაუყვა. იქნებ „ფრაიბურგსაც“ ამან უშველოს?

**ვანო ოქროპირიძე**

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბაიერნი | 25 | 19 | 4 | 2 | 58:16 | +42 | 61 | 13 | 11 | 2 | 0 | 36:9 | +27 | 35 | 12 | 8 | 2 | 2 | 22:7 | +15 | 26 |
| 2 | ლევერკუზენი | 25 | 13 | 9 | 3 | 47:22 | +25 | 48 | 13 | 7 | 5 | 1 | 24:10 | +14 | 26 | 12 | 6 | 4 | 2 | 23:12 | +11 | 22 |
| 3 | ლაუტერნი | 25 | 13 | 6 | 6 | 38:34 | +4 | 45 | 13 | 8 | 3 | 2 | 24:15 | +9 | 27 | 12 | 5 | 3 | 4 | 14:19 | -5 | 18 |
| 4 | ჰერტა | 25 | 13 | 5 | 7 | 39:24 | +15 | 44 | 12 | 10 | 1 | 1 | 23:5 | +18 | 31 | 13 | 3 | 4 | 6 | 16:19 | -3 | 13 |
| 5 | დორტმუნდი | 25 | 11 | 7 | 7 | 35:25 | +10 | 40 | 13 | 10 | 2 | 1 | 27:7 | +20 | 32 | 12 | 1 | 5 | 6 | 8:18 | -10 | 8 |
| 6 | ვოლფსბურგი | 25 | 10 | 9 | 6 | 42:33 | +9 | 39 | 13 | 7 | 4 | 2 | 29:13 | +16 | 25 | 12 | 3 | 5 | 4 | 13:19 | -6 | 14 |
| 7 | მიუნხენ 1860 | 25 | 10 | 7 | 8 | 39:34 | +5 | 37 | 12 | 6 | 3 | 3 | 20:12 | +8 | 21 | 13 | 4 | 4 | 5 | 19:22 | -3 | 16 |
| 8 | ჰამბურგი | 25 | 9 | 7 | 9 | 30:34 | -4 | 34 | 13 | 6 | 4 | 3 | 17:13 | +4 | 22 | 12 | 3 | 3 | 6 | 13:21 | -8 | 12 |
| 9 | შტუტგარტი | 25 | 7 | 10 | 8 | 31:32 | -1 | 31 | 12 | 6 | 4 | 2 | 21:11 | +10 | 22 | 13 | 1 | 6 | 6 | 10:21 | -11 | 9 |
| 10 | დუისბურგი | 25 | 7 | 9 | 9 | 29:36 | -7 | 30 | 12 | 6 | 4 | 2 | 20:13 | +7 | 22 | 13 | 1 | 5 | 7 | 9:23 | -14 | 8 |
| 11 | ვერდერი | 25 | 7 | 7 | 11 | 31:34 | -3 | 28 | 13 | 2 | 5 | 6 | 17:21 | -4 | 11 | 12 | 5 | 2 | 5 | 14:13 | +1 | 17 |
| 12 | შალკე 04 | 25 | 6 | 10 | 9 | 27:38 | -11 | 28 | 12 | 4 | 5 | 3 | 15:13 | +2 | 17 | 13 | 2 | 5 | 6 | 12:25 | -13 | 11 |
| 13 | ფრაიბურგი | 25 | 6 | 9 | 10 | 26:31 | -5 | 27 | 13 | 3 | 6 | 4 | 13:13 | 0 | 15 | 12 | 3 | 3 | 6 | 13:18 | -5 | 12 |
| 14 | ბოხუმი | 25 | 7 | 6 | 12 | 30:40 | -10 | 27 | 12 | 5 | 2 | 5 | 16:15 | +1 | 17 | 13 | 2 | 4 | 7 | 14:25 | -11 | 10 |
| 15 | ნიურნბერგი | 25 | 5 | 11 | 9 | 30:42 | -12 | 26 | 12 | 2 | 9 | 1 | 18:17 | +1 | 15 | 13 | 3 | 2 | 8 | 12:25 | -13 | 11 |
| 16 | აინტრახტი | 25 | 5 | 8 | 12 | 27:40 | -13 | 23 | 12 | 4 | 4 | 4 | 15:15 | 0 | 16 | 13 | 1 | 4 | 8 | 12:25 | -13 | 7 |
| 17 | ჰანზა | 25 | 5 | 8 | 12 | 33:47 | -14 | 23 | 13 | 4 | 5 | 4 | 20:19 | +1 | 17 | 12 | 1 | 3 | 8 | 13:28 | -15 | 6 |
| 18 | გლადბახი | 25 | 3 | 6 | 16 | 26:56 | -30 | 15 | 12 | 3 | 1 | 8 | 15:26 | -11 | 10 | 13 | 0 | 5 | 8 | 11:30 | -19 | 5 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| პრეეტცი (ჰერტა) | 16 |
| ელბერი (ბაიერნი) | 13 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 13 |

XXVI ტური
14 აპრილი

| | |
|---|---|
| ლაუტერნი | - ბაიერნი (0:4) |
| მიუნხენი | - ლევერკუზენი (1:1) |
| ვერდერი | - ჰამბურგი (1:1) |
| დორტმუნდი | - ფრაიბურგი (2:2) |
| გლადბახი | - ბოხუმი (1:2) |
| შტუტგარტი | - ნიურნბერგი (2:2) |
| ჰერტა | - დუისბურგი (0:0) |
| შალკე | - ჰანზა (2:2) |
| აინტრახტი | - ვოლფსბურგი (0:2) |

## მეორე ბუნდესლიგა

XXV ტური

### ობერჰაუზენი 0:4 კიოლნი

0:1 მუნტიანუ (13), 0:2 აზიზი (44), 0:3 ვოლიტცი (54), 0:4 ვოიგტი (61)

### კიკერსი 2:2 ფიურტი

0:1 კლეე (10), 1:1 მარიჩი (58), 1:2 ვან ლენტი (59), 2:2 პფუდერერი (90)

### ურდინგენი 0:0 ვატენშაიდი

### კოტბუსი 4:2 უნტერჰახინგი

0:1 მ. ციმერმანი (30), 1:1, 2:1, 3:1 ფრანკლინი (43, 53, 58), 3:2 მ. ციმერმანი (63), 4:2 ლაბაკი (84)

### გიუტერსლო 1:0 ბერლინი

1:0 ელბერფელდი (62)

### მაინცი 1:1 ულმი

1:0 კრამნი (34), 1:1 კულიბალი (67)

### ფორტუნა 1:1 არმინია

0:1 ლაბადია (26), 1:1 ვესტერბეკი (31)

### ზტ. პაული 0:2 ჰანოვერი

0:1 კელი (41), 0:2 მორინასი (55)

### დიუსელდორფი 0:1 კარლსრუე

0:1 მაისნერი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნტერჰახინგი | 25 | 15 | 3 | 7 | 34:20 | 48 |
| ფიურტი | 25 | 13 | 8 | 4 | 35:17 | 47 |
| არმინია | 25 | 14 | 5 | 6 | 41:24 | 47 |
| კარლსრუე | 25 | 14 | 1 | 10 | 43:33 | 43 |
| ულმი | 25 | 10 | 11 | 4 | 46:39 | 41 |
| ბერლინი | 25 | 12 | 5 | 8 | 39:33 | 41 |
| ჰანოვერი | 25 | 12 | 4 | 9 | 37:27 | 40 |
| მაინცი | 25 | 10 | 6 | 9 | 35:35 | 36 |
| კიოლნი | 25 | 8 | 9 | 8 | 33:37 | 33 |
| კიკერსი | 25 | 9 | 6 | 10 | 25:32 | 33 |
| ფორტუნა | 25 | 8 | 8 | 9 | 38:42 | 32 |
| ობერჰაუზენი | 25 | 6 | 10 | 9 | 29:39 | 28 |
| ზტ. პაული | 25 | 7 | 6 | 12 | 28:36 | 27 |
| კოტბუსი | 25 | 5 | 10 | 10 | 29:33 | 25 |
| გიუტერსლო | 25 | 6 | 7 | 12 | 31:43 | 25 |
| ვატენშაიდი | 25 | 5 | 8 | 12 | 20:32 | 23 |
| ურდინგენი | 25 | 4 | 9 | 12 | 26:36 | 21 |
| დიუსელდორფი | 25 | 3 | 12 | 10 | 27:38 | 21 |

# რა კარგია მიწაზე და რა ცუდია ცაში

## იტალია

XXVIII ტური

### რომა 3:1 ლაციო

1:0, 2:0 დელვეკიო (13, 43), 2:1 ვიერი (79), 3:1 ტოტი (90)
რომა: კონსელი, კაფუ (კუადრინი 80), ალდაირი, ძაგო, კანდელა, ალეინიჩევი, ტომაზი, დი ფრანჩესკო, გაუტიერი (პაულო სერჟიო 68), დელვეკიო, ტოტი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, მიხაილოვიჩი, პანკარო, კონსეისაო (ლომბარდო 69), ალმეიდა, მანჩინი (დე ლა პენია 69), ნედვედი, სალასი (ბოკშიჩი 61), ვიერი
გაფრთხილება: ნეგრო, პანკარო, ტოტი, გაუტიერი
გაძევება: პაულო სერჟიო (70), მიხაილოვიჩი (70), ნესტა (84)
მსაჯი: ბორიელო

### მილანი 2:1 პარმა

0:1 ბალბო (38), 1:1 მალდინი (59), 2:1 განცი (73)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, მალდინი, ბა, ამბროზინი, ჯუნტი (ნგოტი 73), გულიელმინპიეტრო, ბობანი (დონადონი 76), ბირჰოფი (განცი 46), ვეა
პარმა: ბუფონი, ტურამი (სარტორი 57), სენსინი, კანავარო, ფუზერი, დ. ბაჯო, ფიორე, ბენარივო (ვანოლი 78), ვერონი (სტანიჩი 66), ბალბო, კრესპო
გაფრთხილება: კოსტაკურტა, ვერონი, ბობანი
მსაჯი: დე სანტისი

### კალიარი 1:2 უდინეზე

0:1 იორგენსენი (43), 0:2 ვალემი (60), 1:2 კალონი (81)
კალიარი: სკარპი, ვილა, ძანონჩელი, გრასადონია, ბერეტა, ძანეტი (კალონი 56), დე პატრე (კავეცი 61), ნიატი (ესპოზიტო 46), ვაზარი, ონილი, მუცი
უდინეზე: ტურჩი, ძანკი, კალორი, ბერტოტო, ჟენო, ჯანიკედა, ვალემი (გარგო 83), იორგენსენი, ლოკატელი (ვან დერ ვეგტი 72), სოსა (პოჯი 75), ამოროზო
გაფრთხილება: ძანეტი, ბერტოტო, ტურჩი
მსაჯი: ბრასკი

### ფიორენტინა 2:2 ბარი

1:0 რუი კოშტა (40), 1:1 ოსმანოვსკი (60), 2:1 პადალინო (72), 2:2 გუერერო (88)
ფიორენტინა: მარეჯინი, პადალინო, ფალკონე, რეპკა, ჰაინრიხი, ტორიჩელი, კოისი, რუი კოშტა (რობიატი 75), ამოროზო (ფიჩინი 64), ედმუნდო (ესპოზიტო 64), ბატისტუტა
ბარი: გრეგორი, დე როზა (მადსენი 58), დე აშენტისი, ინოჩენტი, გარსია, ძამბროტა, ბრესანი (გუერერო 77), დ. ანდერსონი, მარკოლინი (ჯორჯეტი 46), ოსმანოვსკი, მასინგა
გაფრთხილება: მასინგა, მარკოლინი, ტორიჩელი, ბრესანი
მსაჯი: როდომონტი

### იუვენტუსი 2:2 ბოლონია

1:0 ფ. ინძაგი (16), 1:1 კოლივანოვი (33), 1:2 კაპიოლი (51), 2:2 დი ლივიო (81)
იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, იულიანო, ფერარა, პესოტო (დი ლივიო 46), კონტე, დეშამი, დავიდსი, ანრი (ესნაიდერი 67), ზიდანი (ამორუზო 46), ფ. ინძაგი
ბოლონია: ანტონიოლი, რინალდი, ბია, პაგანინი, ბეტარინი, ნერვო, ინგესონი, მაინი (მაროკი 73), კაპიოლი, კ. ანდერსონი (სინიორი 46), კოლივანოვი (სიმუტენკოვი 85)
გაფრთხილება: კ. ანდერსონი
მსაჯი: ბოლონინო

### სალერნიტანა 2:0 ინტერი

1:0 დი მიკელე (9), 2:0 ჯამპაოლო (90)
სალერნიტანა: ბალი, ბოლიჩი, ფუსკო, ფრეზი, დელ გროსო, გატუზო (როსი 90), ბერნარდინი, ტედესკო, ჯამპაოლო, დი მიკელე (ვანუკი 66), დი ვაიო
ინტერი: ფრეი, სიმიჩი, კოლონეზე, ვესტი, სილვესტრი, ძანეტი (ჯორკაეფი 58), ვინტერი, კოე, სოუზა, რონალდო, სამორანო
გაფრთხილება: ტედესკო, კოე, კოლონეზე, ჯამპაოლო
გაძევება: სამორანო (90)
მსაჯი: ჩეკარინი

### პიაჩენცა 2:0 პერუჯა

1:0 ლამაკი (90), 2:0 ს. ინძაგი (95)
პიაჩენცა: მარკონი, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, მანიგეტი, ბუზო (ლამაკი 68), კრისტალინი, მაცოლა (სტატუტო 62), სტროპა, ს. ინძაგი, პიოვანი (რიციტელი 46)
პერუჯა: მაცანტინი, ილარიო, რიპა (რივასი 77), მატრეკანო, მაცანო, კამპოლო, ტედესკო (ლეპკოსუო 61), ოლივე, კოლონელო (ბუკი 91), ნაკატა, რაპაიჩი
გაფრთხილება: კრისტალინი, პოლონია, მაცანტინი, რიპა, ლეპკოსუო, ოლივე, ბუკი
გაძევება: რიციტელი (89)
მსაჯი: ფარინა

### ვიჩენცა 2:0 ემპოლი

1:0 ნეგრი (50), 2:0 ოტერო (73)
ვიჩენცა: ბრივიო, კარდონე, სტოვინი, დიჩარა, სკენარდი, მენდესი, ვივიანი, ბეგეტო (კონტე 76), ძაული, ოტერო (ამბროზეტი 76), ნეგრი (დი კარლო 82)
ემპოლი: სერენი, ფუსკო (ბიზოლი 54), ბიანკონი, კამარა, ლუჩენტი, კრიბარი, პანე, ბონომი (კიაპარა 78), ტონეტო, ჩერბონე (კაპელინი 64), მარტუშელო
გაფრთხილება: მენდესი, სტოვინი, ფუსკო, მარტუშელო, პანე, ბონომი
გაძევება: კამარა (90)
მსაჯი: ტრეოსი

### სამპდორია 2:1 ვენეცია

1:0 მონტელა (53), 1:1 ვალტოლინა (52), 2:1 კატე (71)
სამპდორია: ფერონი, გრანდონი, ფრანჩესკეტი, საკიჩი, ბალერი (კატე 66), პეკია, დორივა, ლაილი, სგრო (კრისტალინი 46), ორტეგა, მონტელა (უგო 89)
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი (დე ფრანჩესკი 82), პავანი, ლუპი, დალ კანტო, ვალტოლინა, ვოლპი, მიჩელი (ტუტა 75), პედონე, რეკობა (მარანგონი 78), მანიერო
გაფრთხილება: პედონე, ლუპი, ბალერი, გრანდონი, ვოლპი, დალ კანტო, პავანი, მონტელა
მსაჯი: პელეგრინო


REUTERS ტფურნიდან

იუვენტუსი — ბოლონია 2:2. ბოლონიელი ინგესონი დეშამპსა (№14) და დავიდსს შორის

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ლაციო | 28 | 16 | 8 | 4 | 55:26 | +29 | 56 | 14 | 10 | 4 | 0 | 36:10 | +26 | 34 | 14 | 6 | 4 | 4 | 19:16 | +3 | 22 |
| 2 | მილანი | 28 | 14 | 10 | 4 | 41:30 | +11 | 52 | 15 | 11 | 3 | 1 | 28:15 | +13 | 36 | 13 | 3 | 7 | 3 | 13:15 | -2 | 16 |
| 3 | ფიორენტინა | 28 | 15 | 6 | 7 | 45:30 | +15 | 51 | 15 | 12 | 3 | 0 | 30:8 | +22 | 39 | 13 | 3 | 3 | 7 | 15:22 | -7 | 12 |
| 4 | პარმა | 28 | 13 | 9 | 6 | 49:30 | +19 | 48 | 14 | 8 | 5 | 1 | 25:11 | +14 | 29 | 14 | 5 | 4 | 5 | 24:19 | +5 | 19 |
| 5 | რომა | 28 | 12 | 9 | 7 | 55:37 | +18 | 45 | 14 | 11 | 3 | 0 | 35:10 | +25 | 36 | 14 | 1 | 6 | 7 | 20:27 | -7 | 9 |
| 6 | უდინეზე | 28 | 13 | 6 | 9 | 41:38 | +3 | 45 | 14 | 9 | 4 | 1 | 23:10 | +13 | 31 | 14 | 4 | 2 | 8 | 18:28 | -10 | 14 |
| 7 | იუვენტუსი | 28 | 11 | 9 | 8 | 33:29 | +4 | 42 | 14 | 8 | 4 | 2 | 20:11 | +9 | 28 | 14 | 3 | 5 | 6 | 13:18 | -5 | 14 |
| 8 | ბოლონია | 28 | 10 | 10 | 8 | 37:33 | +4 | 40 | 14 | 7 | 4 | 3 | 25:15 | +10 | 25 | 14 | 3 | 6 | 5 | 12:18 | -6 | 15 |
| 9 | ინტერი | 28 | 11 | 6 | 11 | 47:39 | +8 | 39 | 13 | 9 | 2 | 2 | 37:16 | +21 | 29 | 15 | 2 | 4 | 9 | 10:23 | -13 | 10 |
| 10 | კალიარი | 28 | 9 | 6 | 13 | 39:41 | -2 | 33 | 14 | 8 | 3 | 3 | 27:15 | +12 | 27 | 14 | 1 | 3 | 10 | 12:26 | -14 | 6 |
| 11 | ბარი | 28 | 6 | 14 | 8 | 33:41 | -8 | 32 | 14 | 5 | 7 | 2 | 14:13 | +1 | 22 | 14 | 1 | 7 | 6 | 19:28 | -9 | 10 |
| 12 | ვენეცია | 28 | 8 | 8 | 12 | 28:37 | -9 | 32 | 14 | 7 | 5 | 2 | 18:11 | +7 | 26 | 14 | 1 | 3 | 10 | 10:26 | -16 | 6 |
| 13 | პერუჯა | 28 | 9 | 5 | 14 | 34:48 | -14 | 32 | 14 | 9 | 3 | 2 | 26:16 | +10 | 30 | 14 | 0 | 2 | 12 | 8:32 | -24 | 2 |
| 14 | პიაჩენცა | 28 | 8 | 7 | 13 | 41:44 | -3 | 31 | 14 | 8 | 4 | 2 | 31:18 | +13 | 28 | 14 | 0 | 3 | 11 | 10:26 | -16 | 3 |
| 15 | ვიჩენცა | 28 | 7 | 8 | 13 | 20:34 | -14 | 29 | 14 | 7 | 4 | 3 | 15:11 | +4 | 25 | 14 | 0 | 4 | 10 | 5:23 | -18 | 4 |
| 16 | სამპდორია | 28 | 7 | 8 | 13 | 29:46 | -17 | 29 | 14 | 6 | 6 | 2 | 21:12 | +8 | 24 | 14 | 1 | 2 | 11 | 8:33 | -25 | 5 |
| 17 | სალერნიტანა | 28 | 7 | 6 | 15 | 28:46 | -18 | 27 | 14 | 6 | 4 | 4 | 19:15 | +4 | 22 | 14 | 1 | 2 | 11 | 9:31 | -22 | 5 |
| 18 | ემპოლი* | 28 | 4 | 9 | 15 | 22:49 | -27 | 19 | 13 | 4 | 4 | 5 | 13:16 | -3 | 16 | 15 | 0 | 5 | 10 | 9:33 | -24 | 5 |

* „ემპოლის“ დაკლებული აქვს ორი ქულა

ოლონდ, ეხლა, მოსკოვის „ლოკომოტივს“ ნურაფერს დავაბრალებთ. რუსთა გუნდმა გასული კვირის შუაში რაც ქნა დიდი საქმე იყო და მეტის მიწერა საჭირო არ არის. ისიც გასაგებია, რომ „ლოკომოტივში“ ქართველი ფეხბურთელი ზაზა ჯანაშია თამაშობს, რის გამოც ჩვენ, ალბათ, დიდი სურვილი გვაქვს რომის „ლაციოს“ 17 მატჩიანი, დაუმარცხებელი სვლის შეწყვეტაში მისი ღვაწლი და ამაგი შევნიშნოთ, მაგრამ არ უნდა იყოს მთლად ეგრე.

რასაც ვერ დაუკარგავ მოსკოველებსა და მათ ქართველ თავდამსხმელს, რომაელებთან თასების თასის ნახევარფინალში ნათამაშევი 1:1-ია. ანკი რატომ უნდა გინდოდეს, რომ დაუკარგო, მაგრამ „ლაციო“ „ლოკომოტივის“ დათრგუნული და გაბზარული არ გვგონია. თუთამშხიასი არ იყოს, არაა სიომინი ის კაცი ერიკსონს რომ ესვრის, მოსკოვში ერთ თამაშს ფრედ რომ ითამაშებს, ის კაცია სიომინი.

„ლაციოს“ ადრეც უთამაშია შუა კვირაში, ევროშეჯიბრებაზე, მერე დაბრუნებულა რომში და ისევ არ წაუგია. ახლა კი... ახლა მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რაც ბუნებრივია — გუნდმა წააგო. თან „რომასთან“.

„სტადიო ოლიმპიკოზე“ ფრანჩესკო ტოტიმ მარკო დელვეკიოს ორი გოლი გაატანინა, მესამე თავად შეაგდო და 1994 წლის შემდეგ პირველად გაიმარჯვა დედაქალაქურ დერბიში. რომ მოეგო, „ლაციო“ უახლოეს მდევარს მთელი შვიდი ქულით გაუსწრებდა, მაგრამ ახლა სულ ოთხ ქულიანი უპირატესობა აქვს. ოთხი ქულა, მოგეხსენებათ, ერთი მოგება და ერთი ფრეა, მოკლედ, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ორ ტურში ბათილდება, წინ კი ექვსი ტურია.

ამრიგად, იტალიის პირველობამ ახალი ინტრიგა შეიძინა.

28-ე წუთზე „რომას“ სასარგებლოდ პენალტიც უნდა დანიშნულიყო. რუსმა დმიტრი ალეინიჩევმა ლუკა მარკეჯანის ბაქანზე იყოჩაღა და ის-ის იყო გოლი უნდა შეეგდო, რომ მეკარის ნახტომმა მინდორზე დასცა.

ამ დროისთვის უკვე 1:0 იყო. ანგარიში მე-13 წუთზე გაიხსნა, როდესაც ტოტიმ 30 მეტრიანი პასით დელვეკიოს მეტოქის კარისკენ გაუხსნა გზა. დელვეკიომ გზად ალმართულ სინიშა მიხაილოვიჩს ფინტით ჩაუქროლა და ძლიერი დარტყმით ბურთი მარკეჯანის მიღმა მაღალ კუთხეში შეაგდო.

პირველი ტაიმის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ტოტიმ დელვეკიოს მეორედ გაატანინა.

„ლაციოს“ სხვაობის შესამცირებლად შესვენებამდეც ჰქონდა კარგი შესაძლებლობა და შესვენების შემდეგაც, ხოლო მეორე ნახევრის 25-ე წუთზე, უბურთოდ ძიძგილაობისთვის, მისგან მიხაილოვიჩი, ხოლო „რომასგან“ პაულუ სერჟიო გააძევეს მოედნიდან.

გაძევებიდან 9 წუთის შემდეგ „ლაციოს“ დიდებულმა თავდამსხმელმა, კრისტიან ვიერიმ, ახლოდან, მაინც გადააკვეთინა ბურთს მოწინააღმდეგის კარის ხაზი და ერიკსონის ფეხბურთელებს თუნდაც ერთი ქულის მოპოვების იმედიც ჩაესახათ, მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე მსაჯმა ლაციოელთა კიდევ ერთ მოთამაშეს, ალესანდრო ნესტას, ალუმართა წითელი ბარათი. ბოლოს, უმცირესობაში დარჩენილ მოწინააღმდეგეს ტოტიმ მესამე გოლი გაუტანა, და 22 ნოემბრის მერე მის პირველ წარმატებას ბეჭედი დაესვა.

„პირველ ტაიმში „რომამ“ იმდენად კარგად ითამაშა, რომ გამარჯვებას იმსახურებდა“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე ერიკსონმა, რომელსაც მომდევნო ტურში, „იუვენტუსთან“, ძლიერი მცველების, ნესტასა და მიხაილოვიჩის გარეშე მოუწევს თერთმეტი კაცის შერჩევა.

მილანში „სან სიროს“ კი „პარმა“ სტუმრობდა. ლიდერთა ჯგუფის ორი წარმომადგენლის ბრძოლას დიახაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აკი მათ შორის გამარჯვებული, „მილანი“, ავიდა კიდეც მეორე ადგილზე როგორც მოგახსენეთ მასა და ლიდერს, „ლაციოს“ შორის სხვაობა ახლა ოთხი ქულაა.

ანგარიში „პარმას“ არგენტინელმა თავდამსხმელმა, აბელ ბალბომ გახსნა, მაგრამ როდესაც მისი ფრანგი ზანგი, დიდებული და დაშავებული მცველი ლილიან ტურამი ლუიჯი სარტორმა შეცვალა გუნდის ძრავაში რაღაც მოიშალა, რაც საბოლოოდ ტაბლოზე 1:2-ით აისახა. ჯერ იყო და პაოლო მალდინიმ დაახლოებით 20 მეტრიდან გაქვითა ანგარიში, ხოლო მერე მაურიციო განცმა მასპინძელთა გამარჯვების გოლიც შეაგდო.

„ფეხბურთში ყველაფერს [illegible] მყარად დგომა ჯობს“ — ბრძანა „სან სიროს“ საპრესკონფერენციო დარბაზში შესულმა მილანელთა მწვრთნელმა ალბერტო ძაკერონიმ და ეტყობა ცაში მფრინავ „ლაციოს“ გადაუკრა ქარაგმულად.

აი, „ფიორენტინას“ კი „ბარისთან“ ფრე არამც და არამც არ უნდა ეთამაშა, მით უფრო, რომ ორჯერ გახლდათ წაწინაურებული. მოეგო და ახლა მესამე ადგილის ნაცვლად მეორეზე იქნებოდა, თანაც „ლაციო“ სულ სამი ქულითღა ეყოლებოდა წინ გაშვებული.

„იუვენტუსზე“ რა უნდა ითქვას. უჯობს ლიგას მიხედოს და ასეც იქცევა.

„ინტერი“...

**ბაპუნა კედია**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ბატისტუტა (ფიორენტინა) | 19 |
| კრესპო (პარმა) | 16 |
| დელვეკიო (რომა) | 16 |

### XXIX ტური

18 აპრილი

| | | |
|---|---|---|
| ბოლონია | - | ფიორენტინა (0:1) |
| პერუჯა | - | რომა (1:5) |
| უდინეზე | - | მილანი (0:3) |
| ლაციო | - | იუვენტუსი (1:0) |
| ვენეცია | - | კალიარი (1:0) |
| პარმა | - | სამპდორია (2:0) |
| ემპოლი | - | პიაჩენცა (0:0) |
| ბარი | - | სალერნიტანა (2:2) |
| ინტერი | - | ვიჩენცა (1:1) |

## სერია B

XXIX ტური

### კიევო 0:0 რეჯანა

### კრემონეზე 1:1 ჯენოა

1:0 გირარდელო (1), 1:1 ფრანკიოზო (33)

### ლეჩე 1:0 ლუკეზე

1:0 კიმარელი (28)

### მონცა 3:0 კოზენცა

1:0 მაზოლინი (33), 2:0, 3:0 ტოპიჩი (62, 74)

### ნაპოლი 2:0 ბრეშა

1:0 მურჯიტა (2), 2:0 შვოკი (58)

### პესკარა 2:1 ტორინო

1:0 ლუიზო (1), 1:1 ფერანტე (46), 2:1 ესპოზიტო (88)

### რავენა 0:2 ტერნანა

0:1, 0:2 ბორგობელო (25, 72)

### რეჯინა 3:1 ჩეზენა

1:0 პოსანცინი (30), 1:1 კომადინი (43), 2:1 ტომიჩი (90), 3:1 არტიკო (93)

### ტრევიზო 1:3 ფ. ანდრია

1:0 დი ბარი (4), 1:1 ტუდისკო (13), 1:2 ფლორიანჩიჩი (51), 1:3 კორადი (79)

### ატალანტა 3:2 ვერონა

1:0 დონი (9), 2:0 ძენონი (15), 2:1 კამარატა (30), 3:1 სოტილი (47), 3:2 ბროსკი (68)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვერონა | 29 | 16 | 9 | 4 | 54:26 | 57 |
| ტორინო | 29 | 15 | 6 | 8 | 45:27 | 51 |
| ლეჩე | 29 | 14 | 7 | 8 | 34:28 | 49 |
| ტრევიზო | 29 | 12 | 12 | 5 | 42:30 | 48 |
| რეჯინა | 29 | 12 | 12 | 5 | 34:23 | 48 |
| ატალანტა | 29 | 11 | 13 | 5 | 35:25 | 46 |
| ბრეშა | 29 | 11 | 12 | 6 | 31:23 | 45 |
| ნაპოლი | 29 | 11 | 11 | 7 | 30:24 | 44 |
| პესკარა | 29 | 12 | 8 | 9 | 39:35 | 44 |
| რავენა | 29 | 10 | 9 | 10 | 36:41 | 39 |
| მონცა | 29 | 9 | 10 | 10 | 28:30 | 37 |
| ჯენოა | 29 | 9 | 9 | 11 | 42:42 | 36 |
| კიევო | 29 | 8 | 10 | 11 | 28:36 | 34 |
| ფ. ანდრია | 29 | 9 | 7 | 13 | 24:35 | 34 |
| კოზენცა | 29 | 8 | 8 | 13 | 31:42 | 32 |
| ჩეზენა | 29 | 6 | 11 | 12 | 23:32 | 29 |
| ტერნანა | 29 | 5 | 14 | 10 | 26:39 | 29 |
| ლუკეზე | 29 | 5 | 10 | 14 | 24:32 | 25 |
| რეჯანა | 29 | 4 | 12 | 13 | 26:36 | 24 |
| კრემონეზე | 29 | 3 | 10 | 16 | 27:54 | 19 |

# აშკარად დაუჯერებელი

## ესპანეთი

XXIX ტური

### ესპანიოლი 2:1 სარაგოსა

1:0 ტამუდო (24), 1:1 მარკოს ვალესი (76), 2:1 ბენიტესი (90)
ესპანიოლი: ტონი, ნანდო, პოჩეტინიო, სერხიო, ივან ელგერა, არტეაგა, კაპდევილა, ნან რიბერა (ბენიტესი 77), ჯორდი სილვა (ლოპო 90), კიკე მარტინი (დე ლუკასი 68), ტამუდო
სარაგოსა: მონდრაგონი, კუარტერო (ხოსე იგნასიო 85), აგუადო, პაბლო, პარო, გარიტანო, კილი გონსალესი, ტორო აკუნია, მილოშევიჩი, გ. ლოპესი (ვუტერი 90), მარკოს ვალესი
გაფრთხილება: ნანდო, პოჩეტინიო, სერხიო, კუარტერო, პაბლო, კილი გონსალესი
გაძევება: კილი გონსალესი (27)
მსაჯი: პერეს ბურული

### ოვიედო 0:0 ბილბაო

ოვიედო: ესტებანი, რაბანიროვი (ხაიმე 58), მანელი, ბანიო, პაულო ბენტო, ონოპკო, ივან ანია (მიოლერი 53), ესკურსა, ნადი, დელი ვალდესი, დუბოვსკი (კეიტა 79)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ფელიპე, ლაკრუსი, ფერეირა, რობერტო რიოსი, ურუტია, ი. გერერო, ალკისა, ესკუერო, ხ. ეჩებერია (ხავი გონსალესი 46), ურსაისი
გაფრთხილება: რაბანიროვი, პაულო ბენტო, დუბოვსკი, ურუტია
მსაჯი: ესკინას ტორესი

### სელტა 5:1 რეალი

1:0 პენევი (7), 2:0 მაზინიო (11), 3:0 პენევი (15), 3:1 მორიენტესი (32), 4:1 მოსტოვოი (33), 5:1 პენევი (61)
სელტა: დუტრუელი, მიჩელ სალგადო, კასერესი, ჯოროვიჩი (ოსკარ ვალესი 79), ხოსემა, მაზინიო, კარპინი, მოსტოვოი (ტომასი 63), მაკელელე, რევივო (სანჩესი 74), პენევი
რეალი: ილგნერი, პანუჩი, სანჩისი, კარანკა, რედონდო, ზეედორფი (ხაიმე 69), გუტი (მორიენტესი 50), იარნი, კარემბუ, რაული, მიატოვიჩი (სავიო 52)
გაფრთხილება: კარპინი, კარანკა
მსაჯი: ჯაპონ სევილია

### ატლეტიკო 2:2 ვილიარეალი

0:1 კრაიოვეანუ (28), 0:2 ალბერტო (42), 1:2 რობერტო (89), 2:2 ჟუნინიო (90)
ატლეტიკო: მოლინა, შამოტი, სანტი, აგილერა, სერენა (ტონი 69), სოლარი (ლარდინი 55), ვენტურინი, იუგოვიჩი, ჟუნინიო, ვალერონი, ხოსე მარი (რობერტო 14)
ვილიარეალი: ლაინესი, პასკუალი, ტელესი, ტაშევსკი, აიტორ არეგი, რობერტო, ალბელდა, ხერარდო, კრაიოვეანუ (ვალტერ გაიტანი 52), ალბერტო, მოიზესი (ალფარო 38)
გაფრთხილება: სანტი, იუგოვიჩი, ტელესი, ალბელდა, ალბერტო
მსაჯი: დიას ვეგა

### მალიორკა 1:0 ვალიადოლიდი

1:0 დანი (53)
მალიორკა: როა, მ. სოლერი, სივიერო, მარსელინო, ოლაისოლა, სტანკოვიჩი (პაუნოვიჩი 72), ლორენი, ფ. სოლერი, ენგონგა, ლუკე (კარერასი 83), ბიაჯინი (დანი 46)
ვალიადოლიდი: სეზარი, გარსია კალვო, სანტამარია, პენია, ტორეს გომესი, ვისკაინო, ტურიელი (ჩემა 71), აროლდ ლოსანო, კამინერო (კლიმოვიჩი 75), პეტერნაკი (ალბერტო 62), ვიქტორი
გაფრთხილება: ტორეს გომესი, კლიმოვიჩი
მსაჯი: პუენტეს ლეირა

### ტენერიფე 2:3 ბარსელონა

0:1 კოკუ (18), 0:2 რივალდო (37), 1:2 პინილია (44), 1:3 სელადესი (47), 2:3 მაკაი (56)
ტენერიფე: მონო მონტოია, ლორენი, ალექსისი, ლუსენჰოფი (ხუანელე 41), ბასავილბასო, იოკანოვიჩი, დანი (მისტა 68), ჩანო, ემერსონი, პინილია, მაკაი
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, პელეგრინო (ბოგარდი 46), სერხი, ფ. დე ბური, გვარდიოლა, ფიგუ (ზენდენი 61), სელადესი, კოკუ, რივალდო, კლუივერტი (ანდერსონი 86)
გაფრთხილება: ხუანელე, იოკანოვიჩი, დანი, ემერსონი, ჰესპი, ფ. დე ბური, ფიგუ, კოკუ
გაძევება: პინილია (73), ალექსისი (90)
მსაჯი: მეგია დავილა

### ვალენსია 1:1 ესტრემადურა

0:1 ესპოზიტო (62), 1:1 სერბანი (64)
ვალენსია: კანისარესი, ჯუკიჩი, ბიორკლუნდი, კარბონი, ანგლომა, მენდიეტა, ფარინოსი (სერბანი 58), შვარცი, კ. ლოპესი, ვლაოვიჩი (რუბენ ნავარო 83), ანგულო
ესტრემადურა: გასპერჩიჩი, ფელიქსი, ოსკარი, ბელენგერი, დავიდი, ხუანიტო, ვიოდო, ტონი ველამასანი, დურე (ტორილი 63), ესპოზიტო (პოლი 80), მანუელი (გაბრიჩი 75)
გაფრთხილება: სერბანი
მსაჯი: ანდრადას ასურმენდი

### სალამანკა 1:2 რასინგი

0:1 მაგალანეში (31), 1:1 კორინო (86პ), 1:2 სალვა (90)
75-ე წუთზე ვიქტორმა (რასინგი) ვერ გაიტანა პენალტი.
სალამანკა: აისპურუა, კორინო, ლორენი, ლანა, ტაირა (როხერიო 46), ედუ ალონსო, მარინესკუ (ლუნარი 46), ჯოვანელა, კარდეტი, ველისკა, სილვანი (კასარტელი 60)
რასინგი: მარკოსი, მელბერგი, არსენო, სიეტესი, ხელი (ბესჩასტნიხი 60), ტაისი, ისმაელი, ვივარ დორადო, ვიქტორი (ჩემა 88), მაგალანეში (სალვა 70), მუნიტისი
გაფრთხილება: აისპურუა, კორინო, ლორენი, ტაირა, როხერიო, სიეტესი, ხელი, ტაისი, ვივარ დორადო
მსაჯი: პრადოს გარსია

### ალავესი 2:1 დეპორტივო

1:0 სივორი (34), 1:1 ტურუ ფლორესი (44), 2:1 მანო (52)
ალავესი: ტიტო, კარმონა, ბელსუე (ალფონსო 81), ხოსეტე, ბერუე, გერარდი, დესიო, სივორი, მანო (ალექსი 83), სალინასი, ვიტამინა სანჩესი (ალბისტეგი 87)
დეპორტივო: სონგო, არმანდო, რომერო, შურერი, მაურო სილვა, ჯალმინია (პაულეტა 63), ფრანი, ზიანი (ბონისელი 79), დონატო, ხოსე რამონი (მანხარინი 57), ტურუ ფლორესი
გაფრთხილება: ბერუე, გერარდი, სივორი, სალინასი, ვიტამინა სანჩესი, ბონისელი, დონატო, ტურუ ფლორესი
მსაჯი: გარსია არანდა

### სოსიედადი 1:0 ბეტისი

1:0 სა პინტუ (53)
სოსიედადი: ალბერტო, არანსაბალი, გომესი, ლორენი, პიკაბეა, ხ. გერერო (ანტია 88), ლოპეს რეკარტე, ადეპოჟუ, სა პინტუ (ალდეონდო 90), კოვაჩევიჩი, იდიაკესი (გრასია 78)
ბეტისი: ვალერიო, ურენია (კანიასი 70), ოტერო, ოლიასი, ფილიპესკუ, ალექსისი, იტო (მარკესი 78), ბენხამინი (ოლი 60), ფერნანდო, ფინიდი, გალვესი
გაფრთხილება: პიკაბეა, ოლიასი
მსაჯი: ფერნანდეს მარინი

...1929-30 წლების საფეხბურთო სეზონში მადრიდის „რეალმა“ „ესპანიოლთან“ 1:8 წააგო. სამეფო კლუბის მრავალწლიან ისტორიაში ეს მარცხი დღემდე სარეკორდოა.

1999 წლის 11 აპრილს, ჩემპიონთა თასის მფლობელი „რეალი“ ვიგოში ჩავიდა და „ბალაიდოსზე“ 1:5 დამარცხდა. დიდი შანსი იყო, მადრიდელთა ისტორიის ზემოხსენებული უსიამოვნო რეკორდი განახლებულიყო. პირველ ტაიმში „რეალი“ 1:4 აგებდა(!)

მატჩის დასაწყისი რაიმე გასაოცარს არ მოასწავებდა — ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი თამაში, შეტევათა მონაცვლეობა... თანაფარდობა დიდხანს არ გაგრძელებულა — დაახლოებით მეხუთე წუთიდან მასპინძლები აბობოქრდნენ და მალე თვალსასეირო სანახაობა დაიწყო.

მე-7 წუთი: ვიგოელთა რუსი გამთამაშებელი ალექსანდრ მოსტოვოი მარცხენა ფლანგიდან მადრიდელთა საჯარიმოში მყოფ ლუბოსლავ პენევს ჩინებულ პასს აძლევს და ბულგარელი ფორვარდიც თავური დარტყმით ანგარიშს ხსნის — 1:0.

მე-11 წუთი: კუთხური „რეალის“ კართან. კვლავ ალექსანდრ მოსტოვოის საგოლე გადაცემა და მასპინძელთა კაპიტანს, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონ ბრაზილიელ მაზინიოს გოლი გააქვს. სტუმართა მეკარე, მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონი ბოდო ილგნერი მაზინიოს უძლიერეს დარტყმას ვერ იგერიებს.

მე-15 წუთი: „სელტას“ გოლს ისევ ალექსანდრ მოსტოვოი ქმნის — პენევს მესამე ბურთი ილგნერის კარში სწორედ რუსი ლეგიონერის გადაცემის შემდეგ გააქვს.

პირველ 15 წუთში სამი გოლი! წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია! მადრიდის „რეალის“ ფიასკოა და ეგაა. სხვა რა შეიძლება ითქვას გუნდზე, რომელიც საშინლად თამაშობს, უფრო სწორად, ფრთაშესხმულ მასპინძელს თამაშში ხელს უშლის და ხეირიანად ამასაც ვერ ახერხებს.

საყვარელი კლუბის განადგურებამ მადრიდის „რეალის“ გულშემატკივრები აიძულა სტატისტიკისთვის თვალი შეევლოთ. ბრწყინვალე წარსულის არცთუ სასიამოვნო ეპიზოდების ქექვის შემდეგ ქომაგებმა სამ ძირითად მომენტს მიაქციეს ყურადღება:

1. 1953 წლიდან მოყოლებული გასულ კვირადღემდე ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრებში „რეალს“ პირველ ტაიმში ოთხი გოლი არ გაეშვა...

2. 1963 წლის შემდეგ „რეალის“ კარში სამი გოლი თამაშის პირველ 15 წუთში „სელტამდე“ ვერავის გაეტანა...

3. 1994 წელს „რეალს“ „ბარსელონამ“ გაუტანა ხუთი გოლი. კატალონიელთა შემდეგ სწორედ ვიგოს კლუბი გახდა პირველი, რომელმაც სამეფო გუნდის კარის ბადე ხუთჯერ შეარხია.

რა უნდა თქვა? — კაცმა რომ თქვას, ბევრი არაფერი — „რეალმა“ იმ ანგარიშით წააგო, მისნაირად მოთამაშე კლუბი რომ იმსახურებდა. მადრიდელთა მარცხი ლოგიკურია, მეტიც, მოსალოდნელიც გახლდათ. დღეს ძველი დამსახურებისთვის მედლებს აღარავინ იძლევა — ყველაზე ტიტულოვანიც რომ იყო, თუ აღარ ვარგიხარ, გზა სხვას, თუნდაც სრულიად უსახელოს, მაგრამ შენზე კარგს უნდა დაუთმო. ის სხვა სწორედ ახლა მიდის გამარჯვებისკენ.

ვიგოს „სელტა“, რომლის ყველაზე დიდი მიღწევა ესპანეთის ჩემპიონატში 1947-48 წლების სეზონში დაკავებული მე-4 ადგილია, გამარჯვებისკენ მართლაც ახლა მიდის. მიაღწევს თუ არა „სელტა“ საბოლოოდ მიზანს, ახლა, პირველობის დასრულებამდე ცხრა ტურით ადრე, ამის თქმა ჭირს, მაგრამ ძალიან რომ ცდილობს, ეს ცხადზე უცხადესია. „რეალი“? — ასეთი [illegible] სეზონი სამეფო კლუბს, ალბათ, [illegible] — პრემიერა დივიზიონში სიტუაცია აშკარად მადრიდელთა საწინააღმდეგოდაა. კლუბი ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლასაც გამოეთიშა და ერთადერთი იმედი „რეალისთვის“ ქვეყნის თასია. იმედი იმედად რომ არ დარჩეს, ყველაფრის სათანადოდ გაანალიზებაა საჭირო, მაგრამ არის ამისთვის დრო? მიმდინარე ჩემპიონატში, ალბათ, არა.

— არაფერი გვაქვს სათქმელი. „რეალის“ დღევანდელ მდგომარეობაზე ყველაზე უკეთ „ბალაიდოსზე“ წაგებული მატჩი მეტყველებს. ფეხბურთელმა სათქმელი მოედანზე უნდა თქვას. „რეალმაც“ ამოღერღა, რისი თავიც ჰქონდა. ეს საშინელებაა. იცით, მე არც ანგარიშმა დამწყვიტა გული და არც წაგებამ. უბრალოდ, ის მაღიზიანებს, რომ გუნდი საშინლადაა დასნეულებული და ვერ თამაშობს — ემოციურად ისაუბრა დამარცხებულთა ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა პრესკონფერენციაზე.

ესპანეთის სახელოვანი კლუბის ვიგოში განადგურებამ, ცხადია, უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. მეოთხე ხელისუფლებამ „რეალის“ მარცხში ფეხბურთელები დაადანაშაულა, ზოგმა კრიზისის მიზეზად მწვრთნელთა მცდარი სატრანსფერო პოლიტიკა მიიჩნია. მავანთა აზრით, მარცხის გამომწვევი მიზეზი თავად მწვრთნელები არიან.

რომელია მართალი? ძნელი სათქმელია. ყველა დამნაშავეა, პრეზიდენტიდან დაწყებული, ექიმით დამთავრებული.

ხუან მანუელ ერერო, მადრიდის „რეალის“ პირველი ვიცე-პრეზიდენტი: „რეალის“ დონის კლუბს ასეთი რამ არ უნდა ემართებოდეს. როგორც ჩანს, ფეხბურთელები ვერ აცნობიერებენ, რომელი კლუბის ღირსებას იცავენ. თუ მათთვის ეს მომენტი უმნიშვნელოა, ჩვენთვისაც სულერთია, რა სახით დაისჯებიან“. ეს განცხადება კვირას გაკეთდა. ორშაბათს კი გაზეთი „AS“ წერდა, რომ მადრიდული კლუბის თითოეული ფეხბურთელის ჯიბე 10-10 ათასი დოლარით შეთხელდა.

**ლაშა გოდუაძე**



REUTERS ვალენსიადან

ვალენსია — ესტრემადურა 1:1. მასპინძელთა მე-15 ნომერ ამადეო კარბონის სტუმართა მცველები ხშირად ეუხეშებოდნენ

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ბარსელონა | 29 | 18 | 5 | 6 | 65:33 | +32 | 59 | 15 | 10 | 2 | 3 | 41:20 | +21 | 32 | 14 | 8 | 3 | 3 | 24:13 | +11 | 27 |
| 2 | სელტა | 29 | 14 | 10 | 5 | 58:29 | +29 | 52 | 14 | 10 | 4 | 0 | 40:11 | +29 | 34 | 15 | 4 | 6 | 5 | 18:18 | 0 | 18 |
| 3 | ვალენსია | 29 | 15 | 6 | 8 | 44:28 | +16 | 51 | 14 | 8 | 4 | 2 | 24:10 | +14 | 29 | 15 | 7 | 2 | 6 | 20:18 | +2 | 23 |
| 4 | მალიორკა | 29 | 15 | 6 | 8 | 32:21 | +11 | 51 | 15 | 10 | 3 | 2 | 19:7 | +12 | 33 | 14 | 5 | 3 | 6 | 13:14 | -1 | 18 |
| 5 | რეალი | 29 | 15 | 4 | 10 | 58:49 | +9 | 49 | 14 | 9 | 2 | 3 | 34:20 | +15 | 29 | 15 | 6 | 2 | 7 | 24:29 | -5 | 20 |
| 6 | დეპორტივო | 29 | 13 | 9 | 7 | 41:31 | +10 | 48 | 15 | 9 | 4 | 2 | 26:12 | +14 | 31 | 14 | 4 | 5 | 5 | 15:19 | -4 | 17 |
| 7 | ბილბაო | 29 | 12 | 8 | 9 | 33:34 | -1 | 44 | 14 | 7 | 5 | 2 | 19:12 | +7 | 26 | 15 | 5 | 3 | 7 | 14:22 | -8 | 18 |
| 8 | სოსიედადი | 29 | 11 | 9 | 9 | 35:32 | +3 | 42 | 15 | 9 | 4 | 2 | 25:12 | +13 | 31 | 14 | 2 | 5 | 7 | 10:20 | -10 | 11 |
| 9 | სარაგოსა | 29 | 11 | 7 | 11 | 41:39 | +2 | 40 | 14 | 7 | 2 | 5 | 23:19 | +4 | 23 | 15 | 4 | 5 | 6 | 18:20 | -2 | 17 |
| 10 | ესპანიოლი | 29 | 9 | 12 | 8 | 31:33 | -2 | 39 | 14 | 5 | 7 | 2 | 15:13 | +2 | 22 | 15 | 4 | 5 | 6 | 16:20 | -4 | 17 |
| 11 | ოვიედო | 29 | 9 | 11 | 9 | 33:38 | -5 | 38 | 15 | 6 | 5 | 4 | 15:13 | +2 | 23 | 14 | 3 | 6 | 5 | 18:25 | -7 | 15 |
| 12 | ვალიადოლიდი | 29 | 10 | 7 | 12 | 29:32 | -3 | 37 | 15 | 8 | 3 | 4 | 19:12 | +7 | 27 | 14 | 2 | 4 | 8 | 10:20 | -10 | 10 |
| 13 | ბეტისი | 29 | 10 | 7 | 12 | 28:36 | -8 | 37 | 14 | 6 | 3 | 5 | 14:16 | -2 | 21 | 15 | 4 | 4 | 7 | 14:20 | -6 | 16 |
| 14 | ატლეტიკო | 29 | 9 | 8 | 12 | 43:38 | +5 | 35 | 15 | 7 | 5 | 3 | 30:12 | +18 | 26 | 14 | 2 | 3 | 9 | 13:26 | -13 | 9 |
| 15 | რასინგი | 29 | 9 | 8 | 12 | 36:40 | -4 | 35 | 14 | 5 | 3 | 6 | 20:18 | +2 | 18 | 15 | 4 | 5 | 6 | 16:22 | -6 | 17 |
| 16 | ვილიარეალი | 29 | 7 | 11 | 11 | 35:43 | -8 | 32 | 15 | 5 | 6 | 4 | 20:18 | +2 | 21 | 14 | 2 | 5 | 7 | 15:25 | -10 | 11 |
| 17 | ალავესი | 29 | 8 | 6 | 15 | 28:42 | -14 | 30 | 15 | 7 | 4 | 4 | 18:11 | +7 | 25 | 14 | 1 | 2 | 11 | 10:31 | -21 | 5 |
| 18 | ესტრემადურა | 29 | 6 | 8 | 15 | 19:45 | -26 | 26 | 14 | 5 | 2 | 7 | 10:18 | -8 | 17 | 15 | 1 | 6 | 8 | 9:27 | -18 | 9 |
| 19 | ტენერიფე | 29 | 4 | 12 | 13 | 28:45 | -17 | 24 | 15 | 2 | 8 | 5 | 15:20 | -5 | 14 | 14 | 2 | 4 | 8 | 13:25 | -12 | 11 |
| 20 | სალამანკა | 29 | 6 | 4 | 19 | 23:52 | -29 | 22 | 14 | 6 | 3 | 5 | 19:20 | -1 | 21 | 15 | 0 | 1 | 14 | 4:32 | -28 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რაული (რეალი) | 19 |
| რივალდო (ბარსელონა) | 19 |

### XXX ტური

18 აპრილი

ვილიარეალი - დეპორტივო (1:2)
ვალიადოლიდი - ატლეტიკო (1:6)
ბარსელონა - მალიორკა (0:1)
ბილბაო - ტენერიფე (1:0)
ბეტისი - ოვიედო (1:0)
სარაგოსა - სოსიედადი (0:0)
რასინგი - ესპანიოლი (1:1)
ესტრემადურა - სალამანკა (1:2)
რეალი - ვალენსია (1:3)
სელტა - ალავესი (0:2)

* ფრჩხილებში — პირველი წრის შედეგები

## მეორე დივიზიონი

XXXII ტური

### მალიორკა B 1:1 ლეიდა

### ბარსელონა B 3:1 მერიდა

0:1 ბრაულიო (11), 1:1 მიგელ ანხელი (58პ), 2:1 მარიო (73პ), 3:1 ანტონიო (75)

### სპორტინგი 3:1 კომპოსტელა

0:1 ფაბიანო (39), 1:1 ხოსე მანუელი (49), 2:1 პეროვიჩი (58), 3:1 ლედიახოვი (69)

### ალბასეტე 0:0 რეკრეატივო

### ერკულესი 0:1 ლეგანესი

0:1 პაჩონი (76)

### ლას პალმასი 0:2 ნუმანსია

0:1 კასტანიო (45), 0:2 ანხელ ლუისი (71)

### რაიო 0:2 მალაგა

0:1, 0:2 კატანია (3, 11)

### ატლეტიკო B 3:2 ლოგრონიესი

0:1 მანელი (8), 0:2 ინო (21), 1:2, 2:2, 3:2 ლორენი (42, 44, 52)

### ტოლედო 2:0 ორენსე

1:0 მიგელ ანხელი (21), 2:0 ხურადო (22)

### ოსასუნა 2:0 ბადახოსი

1:0 პალაციოსი (17), 2:0 მარკოვიჩი (62)

### ეიბარი 1:3 სევილია

0:1 ცარტასი (52), 1:1 იტურინო (54პ), 1:2 ცარტასი (83პ), 1:3 გლუშევიჩი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაგა | 32 | 16 | 10 | 6 | 54:38 | 58 |
| რაიო | 32 | 15 | 12 | 5 | 51:38 | 57 |
| ატლეტიკო B | 32 | 15 | 9 | 8 | 52:42 | 54 |
| ნუმანსია | 32 | 15 | 8 | 9 | 50:30 | 53 |
| ოსასუნა | 32 | 14 | 11 | 7 | 39:29 | 53 |
| ტოლედო | 32 | 14 | 9 | 9 | 42:36 | 51 |
| ლას პალმასი | 32 | 13 | 12 | 7 | 44:29 | 51 |
| ლეიდა | 32 | 12 | 12 | 8 | 35:31 | 48 |
| სევილია | 32 | 13 | 9 | 10 | 43:40 | 48 |
| კომპოსტელა | 32 | 12 | 11 | 9 | 44:35 | 47 |
| რეკრეატივო | 32 | 12 | 11 | 9 | 31:20 | 47 |
| მერიდა | 32 | 12 | 11 | 9 | 39:30 | 47 |
| ბადახოსი | 32 | 11 | 8 | 13 | 26:29 | 41 |
| მალიორკა B | 32 | 11 | 6 | 15 | 39:44 | 39 |
| ალბასეტე | 32 | 9 | 12 | 11 | 26:30 | 39 |
| ლეგანესი | 32 | 9 | 11 | 12 | 31:37 | 38 |
| სპორტინგი | 32 | 9 | 10 | 13 | 32:39 | 37 |
| ლოგრონიესი | 32 | 9 | 10 | 13 | 38:46 | 37 |
| ბარსელონა B | 32 | 10 | 5 | 17 | 40:49 | 35 |
| ერკულესი | 32 | 7 | 8 | 17 | 26:48 | 29 |
| ეიბარი | 32 | 7 | 5 | 20 | 26:50 | 26 |
| ორენსე | 32 | 4 | 6 | 22 | 25:63 | 18 |

## შოტლანდია

XXX ტური

**კილმარნოკი 4:2 აბერდინი**

0:1 ვინტერსი (2), 1:1 მაჰუდი (9), 2:1 მაკფერსონი (19), 2:2 ჰამილტონი 52), 3:2, 4:2 მაკკაჩონი (88, 90)

**მოზერველი 1:2 დანდი**

1:0 სპენსერი (2), 1:1 ფალკონერი (65), 1:2 გრედი (73)

### თასის ნახევარფინალები

**სენტ ჯონსტონი 0:4 რეინჯერსი**

0:1 უოლესი (14), 0:2 ვან ბრონკჰორსტი (33), 0:3 იოჰანსონი (61), 0:4 მაკკენი (69)

**სელტიკი 2:0 დანდი იუნ.**

1:0 ბლინკერი (30), 2:0 ვიდუკა (39)

შოტლანდიის თასის ფინალი ძალიან საინტერესო იქნება, ამის თქმა უკვე დღეს შეიძლება თამამად. ქვეყნის ორი უძლიერესი, უტიტულოვანესი კლუბი „სელტიკი" და „რეინჯერსი" 29 მაისს გლაზგოურ სტადიონ „ემპდენ პარკზე" იომებს თასისთვის. ბრიტანული ფეხბურთის ქომაგთ მართლაც დიდი სანახაობა ელით.

ჩემპიონმა შინ მოუგო „დანდი იუნაიტედს" 2:0, ხოლო ჩემპიონატის ლიდერი „რეინჯერსი" პირველობაზე ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ „სენტ ჯონსტონს" ესტმურა და სულ კუდით ქვა ასროლინა — 4:0 მოუგო.

— ამ მატჩამდე ერთი კვირის განმავლობაში ჩემს ფეხბურთელებს პრესასთან ურთიერთობა აკრძალული ჰქონდათ. „რეინჯერსმა" ორი შეხვედრა „ჩააგდო", ამიტომაც დრო იყო, ჩვენი ძალა დაგვემტკიცებინა — თქვა მატჩის შემდეგ „რეინჯერსის" ჰოლანდიელმა თავკაცმა დიკ ადვოკაატმა.

— გლაზგოელებმა აშკარად დაგვჯაბნეს, ჩვენ კი ვერაფრით ვუპასუხეთ — ეს სიტყვები „სენტ ჯონსტონის" დამრიგებელ სენდი კლარკს ეკუთვნის.

რაც შეეხება „სელტიკის" სლოვაკ თავკაც იოჟეფ ვენგლოშს, სწორედ მასზეა ნათქვამი, მადა ჭამაში მოდისო. მისი თქმით, „სელტიკი" ახლა გაცილებით კარგ ფორმაშია, ვიდრე „რეინჯერსი", ამიტომ თასის ფინალშიც მოუგებს და დიდი შანსია, ჩემპიონობაც ცხვირწინ აართვას.

ვნახოთ, რა როგორ იქნება და გამართლდება თუ არა ვენგლოშის ვარაუდი. მანამდე კი გეტყვით, რომ გლაზგოური ფინალი შოტლანდიის თასზე აგერ უკვე ათი წელია, აღარ ყოფილა. ბოლოს ეს გუნდები 1989 წელს შეხვდნენ გადამწყვეტ მატჩში და მაშინ გამარჯვება „სელტიკს" დარჩა.

ნოდარ ქასრაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 29 | 19 | 5 | 5 | 64:27 | 62 |
| სელტიკი | 29 | 16 | 8 | 5 | 72:25 | 56 |
| კილმარნოკი | 30 | 13 | 11 | 6 | 38:24 | 50 |
| სტ. ჯონსტონი | 29 | 12 | 9 | 8 | 35:36 | 45 |
| მოზერველი | 30 | 8 | 10 | 12 | 31:43 | 34 |
| აბერდინი | 30 | 9 | 7 | 14 | 36:54 | 34 |
| დანდი | 30 | 9 | 6 | 15 | 26:51 | 33 |
| დანდი იუნ. | 29 | 7 | 8 | 14 | 29:37 | 29 |
| ჰართსი | 29 | 7 | 7 | 15 | 27:43 | 28 |
| დანფერმლაინი | 29 | 4 | 15 | 10 | 23:41 | 27 |

## ავსტრია

27-ე ტური: აუსტრია — ლინცერი 2:0; რიდი — ტიროლი 2:0; ზალცბურგი — გრაცერი 3:0; შტაირი — რაპიდი 3:3; შტურმი — ლუსტენაუ 5:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 27 | 15 | 9 | 3 | 42:20 | 54 |
| შტურმი | 27 | 17 | 2 | 8 | 54:25 | 53 |
| გრაცერი | 27 | 15 | 5 | 7 | 32:20 | 50 |
| ლინცერი | 27 | 13 | 5 | 9 | 39:31 | 44 |
| ზალცბურგი | 27 | 11 | 8 | 8 | 39:32 | 41 |
| აუსტრია | 27 | 10 | 8 | 9 | 31:32 | 38 |
| ტიროლი | 27 | 9 | 8 | 10 | 29:34 | 35 |
| რიდი | 27 | 6 | 7 | 14 | 22:31 | 25 |
| ლუსტენაუ | 27 | 3 | 10 | 14 | 20:48 | 19 |
| შტაირი | 27 | 2 | 6 | 19 | 23:58 | 9 |

*შტაირს დაკლებული აქვს 3 ქულა.*

## თურქეთი

27-ე ტური: ბეშიქთაში — გენჩლერბირლიგი 2:0, გალათასარაი — ქარაბუქი 2:0, ანკარაგიუჯიუ — ფენერბახჩე 2:4, ანთალია — ერზურუმი 1:0, დარდანელი — ბურსა 3:1, ალთაი — ქოჯაელი 3:1, გაზიანთეფი — ისთანბული 2:1, ტრაბზონი — სამსუნი 3:1, საქარია — ადანა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 27 | 19 | 6 | 2 | 70:25 | 63 |
| ბეშიქთაში | 27 | 18 | 6 | 3 | 46:23 | 60 |
| ფენერბახჩე | 27 | 17 | 4 | 6 | 64:22 | 55 |
| ტრაბზონი | 27 | 16 | 5 | 6 | 42:26 | 53 |
| ანთალია | 27 | 13 | 5 | 9 | 36:32 | 44 |
| ქოჯაელი | 27 | 12 | 5 | 10 | 33:29 | 41 |
| გაზიანთეფი | 27 | 10 | 10 | 7 | 40:36 | 40 |
| გენჩლერბირლიგი | 27 | 10 | 8 | 9 | 39:36 | 38 |
| ისთანბული | 27 | 9 | 7 | 11 | 38:41 | 34 |
| ანკარაგიუჯიუ | 27 | 9 | 5 | 13 | 39:43 | 32 |
| ალთაი | 27 | 9 | 5 | 13 | 39:47 | 52 |
| სამსუნი | 27 | 9 | 4 | 14 | 31:46 | 31 |
| ბურსა | 27 | 9 | 4 | 14 | 41:57 | 31 |
| ადანა | 27 | 8 | 5 | 14 | 26:43 | 29 |
| საქარია | 27 | 7 | 6 | 14 | 33:42 | 27 |
| ერზურუმი | 27 | 6 | 8 | 13 | 30:54 | 26 |
| დარდანელი | 27 | 5 | 8 | 14 | 22:35 | 23 |
| ქარაბუქი | 27 | 4 | 5 | 18 | 19:51 | 17 |

## პორტუგალია

**პორტუ 1:0 ბრაგა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 27 | 19 | 5 | 3 | 62:23 | 62 |
| ბოავიშტა | 27 | 16 | 9 | 2 | 44:21 | 57 |
| ბენფიკა | 27 | 17 | 5 | 5 | 58:20 | 56 |
| სპორტინგი | 27 | 15 | 9 | 3 | 51:21 | 54 |
| ეშტრელა | 27 | 10 | 9 | 8 | 29:31 | 39 |
| ვიტორიო | 27 | 10 | 8 | 9 | 28:30 | 38 |
| უნიაო | 27 | 10 | 8 | 9 | 26:22 | 38 |
| გიმარაეში | 27 | 9 | 7 | 11 | 40:37 | 34 |
| სალგეირუში | 27 | 6 | 13 | 8 | 35:43 | 31 |
| კამპომაიორენსე | 27 | 8 | 6 | 13 | 33:40 | 30 |
| რიუ ავე | 27 | 6 | 11 | 10 | 23:37 | 29 |
| ფარენსე | 27 | 7 | 8 | 12 | 26:42 | 29 |
| მარიტიმუ | 27 | 7 | 8 | 12 | 32:36 | 29 |
| ალვერკა | 27 | 6 | 10 | 11 | 26:37 | 28 |
| ბრაგა | 27 | 6 | 10 | 11 | 30:45 | 28 |
| ბეირა მარი | 27 | 5 | 12 | 10 | 26:39 | 27 |
| შავეში | 27 | 5 | 9 | 13 | 34:51 | 24 |
| აკადემიკა | 27 | 4 | 7 | 16 | 26:54 | 19 |

## ნორვეგია

პირველი ტური: ვალერენგა — ბოდო გლიმტი 1:1, მიოლდე — ტრომსო 4:0, ბრანი — ლილესტრიომი 1:3, რუსენბორგი — მოსი 5:0, სტაბეკი — სკაიდი 5:0, სტრომსგოდსეტი — კონგსვინგერი 2:1, ვიკინგი — ოდი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| სტაბეკი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| მიოლდე | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ლილესტრიომი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ოდი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სტრომსგოდსეტი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ბოდო გლიმტი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვალერენგა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| კონგსვინგერი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ვიკინგი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბრანი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ტრომსო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| მოსი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |
| სკაიდი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |

## უკრაინა

მე-20 ტური: მეტალურგი (დონეცკი) — დინამო 1:4, ვორსკლა — შახტიორი 1:2, ზირკა — დნეპრი 2:0, მეტალურგი (ზაპორიჟიე) — ნივა 2:1, პრიკარპატიე — მეტალისტი 1:2, კრივბასი — კარპატი 0:0, ტავრია — მეტალურგი (მარიუპოლი) 0:2, ცსკა — მიკოლაევი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტიორი | 20 | 15 | 1 | 4 | 57:19 | 46 |
| დინამო | 18 | 13 | 4 | 1 | 51:13 | 43 |
| კარპატი | 20 | 10 | 7 | 3 | 34:19 | 37 |
| კრივბასი | 20 | 9 | 9 | 2 | 22:10 | 36 |
| მეტალურგი (მ) | 19 | 9 | 4 | 6 | 27:17 | 31 |
| მეტალისტი | 20 | 9 | 3 | 8 | 20:25 | 30 |
| ცსკა | 18 | 6 | 8 | 4 | 22:19 | 26 |
| მეტალურგი (ზ) | 19 | 7 | 3 | 9 | 27:34 | 24 |
| ზირკა | 19 | 6 | 5 | 8 | 17:21 | 23 |
| მეტალურგი (დ) | 20 | 6 | 5 | 9 | 21:33 | 23 |
| ვორსკლა | 19 | 6 | 4 | 9 | 19:26 | 22 |
| ნივა | 20 | 6 | 4 | 10 | 19:27 | 22 |
| ტავრია | 20 | 5 | 6 | 9 | 18:24 | 30 |
| დნეპრი | 19 | 6 | 2 | 11 | 16:31 | 20 |
| პრიკარპატიე | 20 | 3 | 5 | 12 | 17:41 | 14 |
| მიკოლაევი | 19 | 2 | 4 | 13 | 11:39 | 10 |

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

## შვეიცარია

ფინალური ეტაპი

VI ტური

**ბაზელი 1:2 ლოზანა**

0:1 გერბერი (12), 0:2 კროიცერი (54ს.კ.), 1:2 ფრიკი (60)

**ლუცერნი 2:1 სერვეტი**

1:0, 2:0 კოუმანტარაკისი (43, 64), 2:1 რეი (82)

**ციურიხი 2:2 ქსამაქსი**

1:0 ჰოდელი (10), 2:0 კუნცი (18), 2:1 ისაბელა (64), 2:2 ნდიაე (85)

ციურიხი: შორუნმუ, ჰუბერი, ჰოდელი, კუნცი (ვიდერკერი 74), სანტანა, ლიმა, ნიქსონი, შასო, ლოდისე (ჯამარაული 75), დი ჯორიო, ტარონე

**სენტ გალენი 0:0 გრასჰოპერი**

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, მიულერი, სმილინიჩი, ტიკვა, კაბანასი (ბერნერი 59), ფოგელი, მაგრო, დე ნაპოლი (მანინი 62), ყაველაშვილი (სერმეტერი (77)

„გრასჰოპერმა" გასულ შაბათს მნიშვნელოვანი ორი ქულა დაკარგა. სტუმრად „სენტ გალენთან" „კალიები" გამარჯვებას ნამდვილად იმსახურებდნენ, მაგრამ იმ დღეს ფორტუნა მასპინძელთა მხარეს იყო. „გრასჰოპერი" მთელი მატჩის განმავლობაში უდიდეს უპირატესობას ფლობდა და „სენტ გალენის" კართან უამრავი მომენტიც შექმნა, მაგრამ მთავარი — გოლის გატანა ვერ მოახერხა. მასპინძელთა კარის დალაშქვრა მიხეილ ყაველაშვილსაც შეეძლო, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი ძელმა მოიგერია. ამ ეპიზოდიდან ხუთ წუთში დე ნაპოლიმ სანტიმეტრებით ააცილა კარს. ყველაზე რეალური შანსი სტუმრებს 69-ე წუთზე მიეცათ, მაგრამ ტიკვამ ხუთიოდე მეტრიდან ცარიელ კარს ვერ დაუმიზნა ბურთი. 75-ე წუთზე „კალიები" ათი კაცით დარჩნენ მინდორზე. უხეში თამაშისთვის მსაჯმა სმილიანიჩი გააძევა მინდვრიდან. „გრასჰოპერის" თავკაცი როჯერ ჰეჯიც იძულებული გახდა, ფრეს შენარჩუნებაზე ეფიქრა. ამიტომაც იყო, რომ 77-ე წუთზე ყაველაშვილი მცველ სერმეტერით შეცვალა.

ისევ ვერ მოიგო გოჩა ჯამარაულის „ციურიხმა", რომელიც „ქსამაქსს" მასპინძლობდა. მე-18 წუთზე ანგარიში უკვე 2:0 გახლდათ ჩვენებურის გუნდის სასარგებლოდ, მაგრამ მიუხედავად ასეთი სოლიდური სხვაობისა, „ციურიხმა" ანგარიშის შენარჩუნება ვერ შეძლო და მეორე ნახევარში ორი ბურთი გაუშვა. წინა ტურში კარგი თამაშის შემდეგ ჯამარაული ძირითად შემადგენლობაში რომ არ დააყენეს, ცოტა გასაკვირიც იყო. გოჩა მატჩის დასრულებამდე 15 წუთით ადრე შევიდა მინდორზე, მაგრამ გუნდს ვერ უშველა. დიდი სათამაშო უპირატესობის კვალობაზე ფრე „ციურიხისთვის" უარყოფით შედეგად უნდა ჩავთვალოთ.

მეექვსე ტურში ლიდერი შეიცვალა. „ლოზანამ" „ბაზელი" იმ ანგარიშით დაამარცხა, რითაც „სერვეტი" ლუცერნში დამარცხდა. შედეგად „ლოზანა" პირველ ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო „სერვეტი" მეორეზე ჩამოქვეითდა.

ვანო ოქრობირიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოზანა | 6 | 5 | 0 | 1 | 14:5 | 34 |
| სერვეტი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 32 |
| გრასჰოპერი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 30 |
| ბაზელი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:8 | 23 |
| ქსამაქსი | 6 | 1 | 3 | 2 | 7:11 | 22 |
| ციურიხი | 6 | 0 | 2 | 4 | 4:10 | 21 |
| სენტ გალენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 21 |
| ლუცერნი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:9 | 21 |

## სლოვენია

22-ე ტური: მარიბორი — კოროტანი 3:0, ველენიე — სელიე 0:0, ბელტინცი — მურა 2:0, ოლიმპია — ტრიგლავი 1:1, ნოვა გორიცა — აიდოვშინა 2:1, კოპერი — დომზალე 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მარიბორი | 22 | 13 | 6 | 3 | 50:24 | 45 |
| ნოვა გორიცა | 22 | 14 | 3 | 5 | 42:25 | 45 |
| მურა | 22 | 11 | 5 | 6 | 38:19 | 38 |
| ველენიე | 22 | 10 | 6 | 6 | 26:16 | 36 |
| კოროტანი | 22 | 9 | 5 | 8 | 31:31 | 32 |
| ოლიმპია | 22 | 8 | 5 | 9 | 32:32 | 29 |
| ბელტინცი | 22 | 8 | 3 | 11 | 27:38 | 27 |
| აიდოვშინა | 22 | 7 | 5 | 10 | 26:28 | 26 |
| კოპერი | 22 | 6 | 5 | 11 | 24:41 | 23 |
| სელიე | 22 | 4 | 10 | 8 | 15:24 | 22 |
| დომზალე | 22 | 5 | 6 | 11 | 21:39 | 21 |
| ტრიგლავი | 22 | 4 | 7 | 11 | 18:33 | 19 |

# საქმეში მეუღლე ჩაერია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყველაფერი ჰორია — ზიდანი არსადაც არ მიდის

„იუვენტუსისა" და „ბოლონიას" შეხვედრაში, ბოლო ტურში, ზინედინ ზიდანი შესვენებისას გამოცვალეს. მან ნატკენი ფეხი გაიმიზეზა, მაგრამ ტურინელთა საბედნიეროდ ფრანგი გამთამაშებლის ახალი ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

„სანერვიულო თითქოს არაფერია. ცხადია, უფრო კონკრეტულად საღამოს, ვარჯიშის შემდეგ შეგვეძლება საუბარი, მაგრამ წესითა და რიგით მან ჩვეულებრივად უნდა ივარჯიშოს." — ამბობდა გუშინ, შუადღისას, „იუვენტუსის" პრესატაშე.

ზიდანის მორიგი ტრავმა „ბებერ ქალბატონს" ხელს არაფრით აძლევს, რადგან უახლოეს დღეებში მას ორი სერიოზული მატჩი აქვს ჩასატარებელი. პირველი შიდა პირველობისაა, რომში, „ლაციოსთან", მეორე კი უმთავრესი გახლავთ, შინ, „მანჩესტერ იუნაიტედთან", ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალური.

შეგახსენებთ, რომ პირველ ნახევარფინალში, მანჩესტერში, მეტოქეებმა თითო გოლი გაუტანეს ერთმანეთს.

ამასობაში „იუვენტუსის" ხელმძღვანელობას საჯაროდ გამოსვლა და ზიდანთან დაკავშირებული ხმების უარყოფაც მოუოხდა. ხმები ამბობენ, რომ ზიდანი ტურინიდან მადრიდის „რეალში", „ატლეტიკოში" ან სულაც „მანჩესტერ იუნაიტედში" გადადისო, მაგრამ „იუვეს" გენერალურმა დირექტორმა, ლუჩანო მოგიმ, განაცხადა: „მანჩესტერელთა თავმჯდომარესთან, მარტინ ედუარდსთან ამ თემაზე არასდროს მისაუბრია. რომ მდომებოდა გასულ ოთხშაბათას, ოფიციალური ვახშამის დროს გავაკეთებდი. დიახ, ჩვენ ზიდანზე არასდროს არაფერი გვითქვამს, როდგან მის გაყიდვას არ ვაპირებთ. „იუვენტუსი" მომდევენო სეზონშიც დიდ იმედებს ამყარებს ფრანგ ფეხბურთელზე".

ტურინული გაზეთის, „ტურტოსპორტის" თქმით კი ზიდანი მართლა იყიდებოდა მანჩესტერში, მაგრამ ეს გარიგება მოთამაშის მეუღლემ ჩაშალა, რომელმაც ინგლისურ კლიმატში ცხოვრება იუარა და ამიტომ, ამიერიდან, მისი გადასვლა, სავარაუდოდ, ესპანურ კლუბებშია მოსალოდნელი.

## ჰოლანდია

XXVIII ტური

**ფეიენოორდი 4:2 უტრეხტი**

0:1, 0:2 მოლსი (15, 20), 1:2 დალ ტომასონი (29), 2:2 ბოსველტი (40), 3:2 დალ ტომასონი (53), 4:2 ბოსველტი (79)

**კამბური 4:1 აიაქსი**

0:1 არველაძე (6), 1:1, 2:1 დურმუსოღლუ (23, 35), 3:1 ლევჩენკო (80), 4:1 ვან უტრეხტი (85)

**ბრედა 0:0 როდა**

**გრააფსხაპი 0:0 სიტარდი**

**ტილბურგი 2:0 ალკმაარი**

1:0 ბომბარდა (17), 2:0 შულპი (60)

**ვიტესი 1:1 ტვენტე**

1:0 იოჰემსენი (32), 1:1 ჰესელინკი (63)

**სპარტა 0:1 ვალვაიკი**

0:1 ვან არუმი (69)

**მაასტრიხტი 1:1 ეინდჰოვენი**

0:1 ვან ნისტელროი (12), 1:1 ვრიესდე (63)

**ჰერენვენი 3:2 ნაიმეგენი**

0:1 დე გიერი (53), 1:1 დე ნოიერი (61), 1:2 დე რომინი (63), 2:2 ტალანი (85), 3:2 ცვეტკოვი (86)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 27 | 21 | 4 | 2 | 65:27 | 67 |
| ვიტესი | 27 | 16 | 6 | 5 | 51:31 | 54 |
| ტილბურგი | 29 | 16 | 5 | 8 | 55:42 | 53 |
| ეინდჰოვენი | 27 | 14 | 8 | 5 | 66:40 | 50 |
| როდა | 28 | 13 | 8 | 7 | 48:33 | 47 |
| ჰერენვენი | 28 | 12 | 9 | 7 | 47:36 | 45 |
| ტვენტე | 28 | 12 | 9 | 7 | 42:35 | 45 |
| აიაქსი | 27 | 12 | 8 | 7 | 55:32 | 44 |
| ალკმაარი | 27 | 9 | 11 | 7 | 40:45 | 38 |
| სიტარდი | 28 | 10 | 7 | 11 | 36:40 | 37 |
| უტრეხტი | 28 | 9 | 7 | 12 | 49:53 | 34 |
| ნაიმეგენი | 27 | 8 | 8 | 11 | 35:43 | 32 |
| კამბური | 28 | 7 | 8 | 13 | 32:52 | 29 |
| გრააფსხაპი | 28 | 6 | 11 | 11 | 31:46 | 27 |
| მაასტრიხტი | 28 | 5 | 9 | 14 | 32:51 | 24 |
| ვალვაიკი | 28 | 4 | 6 | 18 | 28:53 | 18 |
| სპარტა | 28 | 5 | 3 | 20 | 27:59 | 18 |
| ბრედა | 27 | 3 | 7 | 17 | 27:48 | 16 |

## ფეხბურთის რუკასთან



**არგენტინის** ჩემპიონატი. მე-7 ტური. რივერ პლეიტი — ინდეპენდიენტე 2:1, ველესი — ლანუსი 3:2, სან ლორენცო — ტალერესი 1:0, ესტუდიანტესი — როსარიო 1:1, ბელგრანო — ხიმნასია (ლა პლატა) 3:1, არგენტინოს ხუნიორსი — ურაკანი 1:2, კოლონი — უნიონი 0:0, ნეველს ოლდ ბოისი — ბოკა ხუნიორსი 0:1, რასინგი — ხიმნასია (ხუხუი) 2:0. 19 ქულით გათამაშებას ლიდერობს „ბოკა ხუნიორსი". მას სამი ქულით ჩამორჩება „რივერ პლეიტი".

**შვედეთის ჩემპიონატი. I ტური. ელფსბორგი — კალმარი 3:0, აიკი — ერებრიო 1:1, ფროლუნდა — მალმიო 2:1, ტრელებორგი — ჰამარბიუ 2:2, იორგრიტე — ჰალმშტადი 1:0, დიურგარდენი — ნიორჩოპინგი 3:0, ჰელსინგბორგი — გიოტებორგი 3:1.**

**დანიის** ჩემპიონატი. 22-ე ტური. ბრონდბიუ — ოლბორგი 1:2, აბ — ვიბორგი 1:1, სილკებორგი — ლუნგბიუ 1:1, ვეილე — ჰერფოლგე 1:1, ფრემადი — ბ 93 2:0, კოპენჰაგენი — ორჰუსი 1:1. 44 ქულით გათამაშებას ლიდერობს დედაქალაქის „აბ". მას ორი ქულით ჩამორჩება „ოლბორგი".

**ჩეხეთის ჩემპიონატი. 22-ე ტური. სპარტა — ტეპლიცე 2:0, ჰრადეცი — სლავია 0:2, ოლომოუცი — დრნოვიცე 0:1, იაბლონეცი — ზმელი 1:0, ვიქტორია (ჟიჟკოვი) — დუკლა 1:1, ბობი — ბანიკი 3:0, ვიქტორია (პლზენი) — სლოვანი 1:2, კარვინა — ოპავა 2:1. 46 ქულით გათამაშებას ლიდერობს „სპარტა". მას 8 ქულით ჩამორჩება „სლავია".**

**სლოვაკეთის** ჩემპიონატი. 21-ე ტური. სლოვანი — ტაურისი 3:0, კოშიცე — რუზომბეროკი 1:0, ტატრანი — ნიტრა 2:0, ბარდეიოვო — დუბნიცა 0:2, ზილინა — ართმედია 1:1, სპარტაკი — დუკლა ბანსკა ბისტრიცა 5:2, ბანიკი — ჰუმენიე 0:1, ოზეტა — ინტერი 0:0. 48 ქულით გათამაშებას ლიდერობენ დედაქალაქის გუნდები „ინტერი", „სლოვანი" და ტრნავის „სპარტაკი".

# პრეზიდენტი კი მაგრად დგას

**პოლონური** ფეხბურთის დიდმოხელეებმა ფიფას თავიანთი ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნების მოგვიანებით გამართვა სთხოვეს, მაგრამ ცივი უარი მიიღეს.

გეხსომებათ, ფიფამ დაახლოებით ერთი კვირის წინ პოლონელებს არჩევნების 8 აპრილამდე გამართვა უბრძანა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ნაკრების ევრო 2000-ის შესარჩევი ეტაპიდან მოკვეთით დაემუქრა, მაგრამ ჯერჯერობით არც მწვადი დამწვარა და არც შამფური.

პოლონური საინფორმაციო სააგენტოს **PAP**-ს ცნობით, ჟენევამ ვარშავას ახსნა-განმარტებისთვის კიდევ ხუთი დღე მისცა. მოკლედ, მსოფლიოს ორგზის ბრინჯაოსმედალოსანი ქვეყანა, სრულიად შესაძლებელია, სერიოზულად დაისაჯოს.

ევრო 2000-ის ფინალურ ეტაპზე გასასვლელად პოლონელთა ეროვნული გუნდი მეხუთე შესარჩევ ჯგუფში იბრძვის, სადაც მის გარდა ინგლისი, შვედეთი, ბულგარეთი და ლუქსემბურგი არიან. დღეისთვის პოლონელები ცხრილში ინგლისსა და შვედეთს ჩამორჩებიან, ხოლო ბულგარეთსა და ლუქსემბურგს უსწრებენ.

პოლონურ ფეხბურთში არეულობა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, მარიან ძიუროვიჩსა და სპორტის მინისტრს, იაცეკ დებსკის შორის დაპირისპირებამ ააგორა. დებსკიმ მიუროვიჩს უვიცობასა და მექრთამეობაში დასდო ბრალი, რის შემდეგაც დაიმუქრა, ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები მაქსიმუმ ოთხ თვეში თუ არ გაიმართება, გადავდგებიო. დებსკის ფეხბურთში მომსახურე მრავალმა ადამიანმა აუბა მხარი, მაგრამ ძიუროვიჩი არც გადადგომას ფიქრობს და არც ახალი არჩევნების დანიშვნას.

ძიუროვიჩის სიჯიუტეს მისი იმედი ხსნის, რომლის შესახებაც ფედერაციის პრესატაშემ ტომაშ იაგოძინსკიმ ისაუბრა: „შეჯიბრებიდან ჩვენს ნაკრებს არავინ მოხსნის და ეს მრავალჯერ გვითქვამს. შესაძლოა, დაპირისპირებაში ჩათრეული აქტივისტები დაზარალდნენ, მაგრამ მთელი საფეხბურთო თემი ნამდვილად არ დაისჯება".

## რუსეთი

II ტური

**ლოკომოტივი 1:2 ტორპედო**

0:1 სემშოვი (12), 0:2 ლუხვიჩი (24), 1:2 გურენკო (79)

ლოკომოტივი: ნიგმატულინი, არიფულინი, დროზდოვი, ხარლაჩოვი (მამინოვი 30), ჩერევჩენკო, ჩუგაინოვი, სმერტინი, ლავრიკი (ბულიკინი 46), ჯანაშია, ლოსკოვი, ბოროდიუკი (გურენკო 64)

**ალანია 0:1 ცსკა**

0:1 ხომუხა (79З)

ალანია: ხაპოვი, პაგაევი, ფიოდოროვი, ქუტაუტასი, წერეთელი, კანიშჩევი, ბატისტა (ედუ 81), ჩაიკა, პაულუ ემილიუ (ბაზაევი 55), დემეტრაძე, ჯეფერსონი (ტარლოვსკი 58)

**ურალანი 0:1 სპარტაკი**

0:1 ბარანოვი (50)

ურალანი: ალექსეევი, ტერეშჩენკო, ცვეიბა, კოზლოვი, რებეჟა, დანჩენკო, ტუტიჩენკო (საიუნი 74), მიკალაიუნასი, შუკანოვი, ივანოვი, აკსენოვი (ვიშნევსკი 24)

**კრილია 0:1 როტორი**

0:1 ესიპოვი (36)

კრილია: კოშელევი, მკრტჩიანი, სიომინი, საკი, მამედოვი (ჟორჟინიო 80), ფოფხაძე, ევდოკიმოვი (ციგანკოვი 38), კულკოვი, საფრონოვი, წიკლაური, მიქაელიანი (ტეტერინი 63)

**ჟემჩუჟინა 1:1 ნ. ნოვგოროდი**

0:1 ავაკოვი (58), 1:1 გოგრიჭიანი (83)

ჟემჩუჟინა: ტუმილოვიჩი, ბონდარუკი, ჟურაველი, ოპრია, ეშჩენკო, სოკოლოვი, კუზნეცოვი, ბონდარევი, გოგიაშვილი, გოგრიჭიანი, ზაცეპინი

**ჩერნომორეცი 1:1 სატურნი**

1:0 დიომინი (47), 1:1 მედვედევი (89)

ჩერნომორეცი: უსმინსკი, შკურინი (მომოტოვი 89), ტჩუისე, ჟიროვი, დიომინი, მაიოროვი, გერაშჩენკო, კამნევი, ბერეზნერი (სპანდერაშვილი 67), დოგუზოვი, ეკუნგა (ბაკაევი 57)

**დინამო 4:0 როსტსელმაში**

1:0, 2:0 რომაშჩენკო (12, 63), 3:0 გუსევი (83), 4:0 პისარევი (90)

**შინიკი 0:0 ზენიტი**

რუსეთის ჩემპიონატის მეორე ტურში აშკარად სტუმრებმა იმარჯვეს. რვა შეხვედრიდან მასპინძლებმა მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს.

ზედიზედ მეორე შინაური მარცხი იწვნია „ალანიამ". კვლავ მოსკოვურ კლუბს ემსხვერპლა და შარშანდელივით ცსკა-ს ვლადიკავკაზიდან სამი ქულა გაატანა. არადა, გაზაევის შეგირდები წაგებას არ იმსახურებდნენ. არმიელები თავიანთ მეკარეს და ჩვენებურ დემეტრაძეს უნდა უმადლოდნენ, საკუთარი კარი უგოლოდ რომ შეინახეს. დემეტრაძეს ორი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა. ჯერ თავურით ვერ დასაჯა სტუმართა მეკარე, შემდეგ კი ახლოდან ააცილა. ვლადიკავკაზში უკვე გაზაევის განთავისუფლებაზე ალაპარაკდნენ.

ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივის" ცუდი სტარტი გასაგებია. რკინიგზელებს მთელი ყურადღება თასების თასის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩზე აქვთ გადატანილი. „ლაციოსთან" შინაური შეხვედრით გადაღლილებმა ვერაფერი მოუხერხეს ჩემპიონატისთვის კარგად მომზადებულ „ტორპედოს".

ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო „სპარტაკმა". აი, „ურალანის" შემადგენლობაში კი ჯერჯერობით არ ჩანს ჩვენებური „არსენალისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელის — გემეზაშვილის გვარი.

სოჭის „ჟემჩუჟინა" წაგებას ვეტერანმა გოჩა გოგრიჭიანმა შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე გადაარჩინა. იგი კვლავ გუნდის ლიდერად რჩება.

საჩემპიონო ბრძოლაში სერიოზულ პრეტენზიას უნდა ველოდეთ მოსკოვის „დინამოსგან". ამ მიზნით გიორგი იარცევმა კარგი, გამოცდილი ფეხბურთელები შეარჩია.

წლევანდელი გათამაშების დებიუტანტმა „სატურნმა" სიურპრიზებით დაიწყო. სტუმრად ზედიზედ ორ შეხვედრაში 4 ქულის აღებას, დამეთანხმებით, რამენსკოელებისგან არავინ ელოდა.

ხვიჩა სანიკიძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 3 | 3 | 0 | 0 | 5:0 | 9 |
| დინამო | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ტორპედო | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ზენიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| სატურნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| შინიკი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| როტორი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ლოკომოტივი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჟემჩუჟინა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ჩერნომორეცი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ნ. ნოვგოროდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| კრილია | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |
| როსტელმაში | 2 | 0 | 1 | 1 | 1:5 | 1 |
| ალანია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ურალანი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | 0 |

## პოლონეთი

21-ე ტური: ვისლა — რაძიონკოვი 6:0, ოდრა — ვიძევი 2:0, პოგონი — პოლონია 1:0, გურნიკი — ზაგლებიე 2:2, ლკს — შტომილი 2:0, რუხი — ლეხი 2:1, გკს (ბელხატოვი) — ამიცა 1:1, ლეგია — გკს (კატოვიცე) 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 21 | 18 | 1 | 2 | 54:15 | 55 |
| ვიძევი | 21 | 13 | 1 | 7 | 36:24 | 40 |
| ლეხი | 21 | 13 | 1 | 7 | 42:23 | 40 |
| ლეგია | 21 | 10 | 8 | 3 | 25:15 | 38 |
| პოლონია | 21 | 9 | 6 | 6 | 31:23 | 33 |
| გურნიკი | 21 | 8 | 7 | 6 | 26:21 | 31 |
| ამიცა | 21 | 7 | 4 | 10 | 26:32 | 25 |
| გკს (ბ) | 21 | 7 | 4 | 10 | 22:33 | 25 |
| რაძიონკოვი | 21 | 6 | 7 | 8 | 27:28 | 25 |
| ოდრა | 21 | 6 | 6 | 9 | 25:29 | 24 |
| ზაგლებიე | 21 | 5 | 8 | 8 | 30:35 | 23 |
| რუხი | 21 | 6 | 5 | 10 | 16:31 | 23 |
| ლკს | 21 | 5 | 8 | 8 | 22:29 | 23 |
| პოგონი | 21 | 6 | 4 | 11 | 24:38 | 22 |
| შტომილი | 21 | 6 | 2 | 13 | 17:31 | 20 |
| გკს (კ) | 21 | 5 | 4 | 12 | 17:33 | 19 |

## ბელგია

შარლერუა 0:2 ანდერლეხტი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენკი | 28 | 18 | 6 | 4 | 60:30 | 60 |
| ბრიუგე | 28 | 18 | 4 | 6 | 51:30 | 58 |
| ანდერლეხტი | 28 | 16 | 6 | 6 | 55:36 | 54 |
| მუსკრონი | 28 | 15 | 7 | 6 | 64:43 | 52 |
| სტანდარდი | 28 | 16 | 2 | 10 | 50:30 | 50 |
| სენტ ტრუიდენი | 29 | 13 | 8 | 8 | 48:37 | 47 |
| გენტი | 28 | 13 | 8 | 7 | 48:48 | 47 |
| ლოკერენი | 28 | 13 | 6 | 9 | 53:49 | 45 |
| ლიერსი | 28 | 13 | 5 | 10 | 57:40 | 44 |
| ეკერენი | 28 | 11 | 6 | 11 | 39:39 | 39 |
| ჰარელბეკი | 28 | 9 | 9 | 10 | 39:40 | 36 |
| ვესტერლო | 28 | 10 | 5 | 13 | 48:50 | 35 |
| აალსტი | 28 | 8 | 7 | 13 | 39:51 | 31 |
| შარლერუა | 28 | 6 | 11 | 11 | 35:43 | 29 |
| ლომელი | 28 | 5 | 5 | 18 | 24:45 | 20 |
| ბევერენი | 28 | 5 | 5 | 18 | 27:54 | 20 |
| კორტრაიკი | 29 | 4 | 7 | 18 | 39:70 | 19 |
| ოსტენდე | 28 | 2 | 9 | 17 | 23:63 | 15 |

## ლატვია

პირველი ტური: პოლიციასი — ვალმიერა 0:1, სკონტო — ვენტსპილსი 0:1, რიგა — დინაბურგი 0:0, რეზეკნე — მეტალურგი 0:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეტალურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ვენტსპილსი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ვალმიერა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| რიგა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დინაბურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სკონტო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პოლიციასი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| რეზეკნე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XXVI ტური** | | | |
| 14.04 | დორტმუნდი — ფრაიბურგი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | ჰერტა — დუისბურგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| | მიონხენგლადბახი — ბოხუმი | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| | მიუნხენ 1860 — ლევერკუზენი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| | **ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა** | | | |
| 14.04 | მიდლსბრო — ჩელსი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | **ინგლისის თასის ნახევარფინალი** | | | |
| 14.04 | არსენალი — მანჩესტერი (ბირმინგემში) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | **იტალიის თასის ფინალი. I მატჩი** | | | |
| 14.04 | პარმა — ფიორენტინა | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| | **საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIX ტური** | | | |
| 14.04 | ბორდო — ლორიანი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | ოსერი — მონაკო | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| | მეცი — პარი სენ ჟერმენი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | ლე ავრი — ნანტი | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| | მონპელიე — ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,3 |
| | სტრასბური — ტულუზი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 15.04 | მარსელი — ნანსი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | **ჰოლანდიის თასის ნახევარფინალი** | | | |
| 14.04 | აიაქსი — ფეიენოორდი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| | **ბელგიის ლიგის თასის ნახევარფინალი** | | | |
| 14.04 | გენკი — სენტ ტრუიდენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | **შვედეთის თასის მეოთხედფინალი** | | | |
| 15.04 | ლუდვიკა (II) — მალმიო | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | ჰელსინგბორგი — იორგრიტე | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | აიკ — ტრელესბორგი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | ნორჩიოპინგი — გიოტებორგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | **თურქეთის ჩემპიონატი** | | | |
| 15.04 | ქარაბუქი — ტრაბზონი | 6,5 | 3,6 | 1,4 |
| | **თურქეთის თასის ფინალი. I მატჩი** | | | |
| 14.04 | გალათასარაი — ბეშიქთაში | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | **შოტლანდიის ჩემპიონატი** | | | |
| 14.04 | რეინჯერსი — დანფერმლაინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| | ჰართსი — სელტიკი | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | **ავსტრიის ჩემპიონატი. XXVIII ტური** | | | |
| 14.04 | გრაცერი — ზალცბურგი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | რაპიდი — შტაირი | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | ტიროლი — რიდი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| | ლინცერი — აუსტრია | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | **მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი. მერვედფინალი** | | | |
| 14.04 | ირლანდია — ნიგერია | 5,3 | 3,1 | 1,6 |
| | განა — კოსტა რიკა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | პარაგვაი — ურუგვაი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | ბრაზილია — ხორვატია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 15.04 | იაპონია — პორტუგალია | 8,0 | 4,4 | 1,25 |
| | ესპანეთი — აშშ | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | მექსიკა — არგენტინა | 6,0 | 3,3 | 1,5 |
| | მალი — კამერუნი | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | ***NBA*** | | | |
| 14.04 | ბოსტონი — ატლანტა | 2,8 | 12,0 | 1,3 |
| | ფილადელფია — ტორონტო | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| | ვაშინგტონი — ნიუ იორკი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| | შარლოტი — დეტროიტი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | ინდიანა — ორლანდო | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| | ჩიკაგო — კლივლენდი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| | მილუოკი — მაიამი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | ჰიუსტონი — ვანკუვერი | 1,05 | 12,0 | 7,5 |
| | სან ანტონიო — მინესოტა | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | დენვერი — ნიუ ჯერსი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| | სიეტლი — ფინიქსი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 15.04 | დალასი — მინესოტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| | ჰიუსტონი — პორტლენდი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | კლიპერსი — იუტა | 5,0 | 12,0 | 1,1 |
| | გოლდენ სტეიტი — დენვერი | 1,2 | 12,0 | 3,5 |
| | საკრამენტო — სიეტლი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| | ***NHL*** | | | |
| 14.04 | ბუფალო — ნიუ ჯერსი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ტორონტო — აილენდერსი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| | კაროლინა — ვაშინგტონი | 1,4 | 4,4 | 3,4 |
| | ფლორიდა — მონრეალი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| | დეტროიტი — ნეშვილი | 1,1 | 4,4 | 6,5 |
| | ვანკუვერი — კალგარი | 2,4 | 4,4 | 1,7 |
| | დალასი — ფინიქსი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| | ანაჰაიმი — სენტ ლუისი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| 15.04 | ბოსტონი — პიტსბურგი | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| | ოტავა — რეინჯერსი | 1,25 | 4,4 | 4,4 |
| | ჩიკაგო — ნეშვილი | 1,5 | 4,4 | 3,0 |
| | კალგარი — კოლორადო | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| | ფინიქსი — სენტ ლუისი | 1,6 | 4,4 | 2,7 |
| | ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

10th FIFA World Youth Championship
Nigeria 1999
3 - 24 April 1999

# ყველაფერი თავიდან იწყება

*შაბათს ნიგერიის პრეზიდენტი მოკლეს, ქვეყნის ხელისუფლებას სამხედრო გადატრიალების საფრთხე დაემუქრა, თუმცა ყველაფრის მიუხედავად მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი შეუფერხებლად მიმდინარეობს.*

*დასრულდა ჯგუფური ტურნირი. ჩაირა პირველმა ვნებათაღელვამ. გათამაშებას შემორჩენილები უმნიშვნელოვანეს ეტაპზე გავიდნენ დღეიდან გუნდებს მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს.*

*რა ვნახეთ ჯგუფურ ტურნირში? მექსიკის, ხორვატიის, კამერუნის, განის და მალის კარგი თამაში, ქართველი მსაჯის დავით ლორიას ამაო ბრძოლა მეტოქეებთან, ინგლისელთა უსუსური მოქმედება, გერმანელთა მოჩვენებითი სიძლიერე, ბრაზილიელთა სუსტი მხარეები და მსოფლიოს ჩემპიონ არგენტინის ისე რა თამაში.*

*ეს იყო ჯგუფურ ტურნირში. ახლა სულ სხვა თამაშები იქნება.*

## A ჯგუფი

### ნიგერია 1:2 პარაგვაი

0:1 ფერნანდესი (9), 0:2 მალდონადო (22), 1:2 შიტუ (38)
მე-9 წუთზე სანტა კრუზმა (პარაგვაი) ვერ გაიტანა პენალტი.
36-ე წუთზე აფოლაბიმ (ნიგერია) ვერ გაიტანა პენალტი.
ნიგერია: ოკოუე, ოკუნოვო, ენე, არანკა, იკემეფუნა, ბაბანგიდა (იობო 40), გარბა, მუსა, შიტუ (დომბრაე 54), აფოლაბი, აგაოვა
პარაგვაი: ფლორენტინი, მარტინესი, და სილვა, მალდონადო, ხიმენესი, ფერნანდესი (დომინგესი 46), სანტა კრუზი (ვერა 80), მარეკოსი, კაბანასი (კუევასი 46), ბრიტესი, ფრეტესი
გაფრთხილება: ფრეტესი (28), ოკუნოვო (60), აფოლაბი (61), იკემეფუნა (65), ბრიტესი (72), აგაოვა (90)
გაძევება: ენე (75)
მსაჯი: იან ვეგერაფი (ჰოლანდია)

ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ პარაგვაისთან მარცხის შემდეგ გუნდის მწვრთნელი ნურუდინ ოლატუნდე დისუ თანამდებობიდან მოხსნა.

ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ მოგვიანებით დაადგინა, რომ ნიგერიის ახალგაზრდულ ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის დასასრულამდე „სუპერარწივების" მწვრთნელი, ჰოლანდიელი ტის ლიბრეგტსი ჩაუდგება სათავეში.

რაც შეეხება მატჩს, იგი ძალიან დაძაბული იყო. მეტოქეებმა თითო პენალტი ვერ გამოიყენეს — მე-9 წუთზე პარაგვაელთა საუკეთესო მოთამაშე როკე სანტა კრუზმა ბურთი ძელს მოარტყა, 36-ზე კი ნიგერიელთა კაპიტანმა აფოლაბიმ საერთოდ ააცილა.

...მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატების ისტორიაში მხოლოდ ორჯერ მოხდა, რომ ტურნირის მასპინძელი ქვეყნის გუნდი ფინალურ ეტაპზე არ დამარცხდა — 1985 წელს, მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე ადგილზე გავიდა, საბჭოთა კავშირის ნაკრები უძლეველი იყო (ნახევარფინალი და მატჩი მე-3 ადგილისთვის საბჭოთა ნაკრებმა პენალტების სერიაში წააგო), ისევე, როგორც 1991 წელს მსოფლიოს პირველობის მასპინძელი და მომგები პორტუგალია.

### კოსტა რიკა 2:1 გერმანია

1:0 ბრენესი (33), 1:1 ტიმი (38), 2:1 სანტანა (69)
კოსტა რიკა: ვილეგასი, გარიტა, მარტინესი, ალპისარი, სანტანა, უგარტე, ფონსეკა (პარკსი 58), არიასი, ბრენესი, ვიკესი (როდრიგესი 76), ესკუიველი
გერმანია: ჰილდებრანდი, როსენი (კაული 73), შრამი, რაპი, შტუკმანი, ვოსი, რუტჰოლცი, ფალკი (ფორკელი 67), შაპერი, ტიმი, კერნი (გენსლერი 59),
გაფრთხილება: ფონსეკა (15), როსენი (35), მარტინესი (51), შტუკმანი (62), გენსლერი (65), ვოსი (72), ვიკესი (75), ბრენესი (90), ფორკელი (90)
გაძევება: ვოსი (78)
მსაჯი: ანხელ ოსვალდო სანჩესი (არგენტინა)

კოსტა რიკა და გერმანია მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე მეორედ შეხვდნენ და კვლავ ევროპელები დამარცხდნენ — 1995 წელს კოსტა რიკამ გერმანია 2:1 დაამარცხა. სხვათა შორის, იმ შეხვედრაში, ისევე, როგორც ახლა, გერმანელი გააგდეს — მაშინ წითელი ბარათი სვენ ფიშერს უჩვენეს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:6 | 6 |
| ნიგერია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| კოსტა რიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| გერმანია | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 3 |

## B ჯგუფი

### განა 3:0 ყაზახეთი

1:0 გაიანი (51), 2:0 ადუ (53), 3:0 გაიანი (69)
განა: აჯეი (ბოატენგი 87), გაიანი, ამოაკო (აბდული 77), ისა, რაზაკი, აპია, ლარია, ეკუ, ადუ (ამუზუ 49), ბლეი, აფრიიე
ყაზახეთი: ლორია, პროსკურინი, სოლიშენკო, კუჩმა (ისაევი 75), ალიევი (ურაჟაევი 80), ტრავინი, კუმისბეკოვი, კიშჩენკო, დინაევი (ტარასოვი 62), არტემოვი, ზემცოვი
მსაჯი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

მეთორმეტედ იმართება მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი და ამ გათამაშების თითქმის 25-წლიან ისტორიაში ყაზახეთის ნაკრები გახდა მეექვსე გუნდი, რომელმაც ქულაც ვერ მოიპოვა. აქამდე უქულო ხუთეულში ტოგო, მალაიზია, გვინეა, ტრინიდადი და ტობაგო და ინდონეზია შედიოდნენ.

### ხორვატია 0:0 არგენტინა

ხორვატია: პლეტიკოსა, მილადინი (საბლიჩი 60), პოლოვანეცი, მიატოვიჩი, სერიჩი, მიკიჩი, ვრანიესი, ბალატინაჩი (ბანოვიჩი 78), დერანია (ბუდანი 81), საბოლსკი, ანდრიჩი
არგენტინა: კოსტანცო, როლდანი, ფერნანდესი (მონტენეგრო 57), კამბიასო, კროსა, გალეტი (ფარიასი 79), დუშერი, პერალტა (ინსუა 72), რივაროლა, გრაბინსკი, ფლორეს კორონელი
გაფრთხილება: პოლოვანეცი (15), როლდანი (31)
მსაჯი: ლუ იუნი (ჩინეთი)


REUTERS ლენტიდან

პარაგვაელები ნიგერიელებთან მოგებამ ძალიან გაახარა

ფრე ორივესთვის მისაღები აღმოჩნდა — ხორვატიაც და არგენტინაც შემდეგ ეტაპზე გავიდნენ.

— მთავარია, რომ მერვედფინალში გავედით. პირველ ყოვლისა, შედეგი მაინტერესებს, მერე დანარჩენი. ცხადია, თამაშის ხარისხიც მნიშვნელოვანია, მაგრამ ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული — არგენტინის ნაკრები ჩემი ხელმძღვანელობით არასდროს ითამაშებს ძალიან ცუდად — ხოსე პეკერმანი, არგენტინის ნაკრების მწვრთნელი, უკვე მერვედფინალზე ფიქრობს.

— ფრე ლოგიკურად მიმაჩნია. თანაბარი ძალის მეტოქეთა პაექრობაში ვერც ერთი მოიგებდა — ხორვატთა მწვრთნელი მარტინ ნოვოსელაკი.

...არგენტინამ მხოლოდ მესამე შეხვედრა დაასრულა ფრედ და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სამჯერვე ევროპელი მეტოქე ჰყავდა: 1991 წლის 20 ივნისს, ლისაბონში არგენტინამ ირლანდიასთან გაიყო ქულა — 2:2, 1981-ში, 5 ოქტომბერს კი სიდნეიში ინგლისელთა დამარცხება ვერ შეძლო 1:1. ახლა ხორვატია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| განა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ხორვატია | 3 | 1 | 2 | 0 | 6:2 | 5 |
| არგენტინა | 3 | 1 | 1 | 1 | 1:1 | 4 |
| ყაზახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:9 | 0 |

## C ჯგუფი

### ავსტრალია 0:4 ირლანდია

0:1 სედლირი (20), 0:2 დაფი (73), 0:3 პილი (74), 0:4 კროსლი (90)
ავსტრალია: ტერნბული, ემერტონი, უილსონი, კოლოზიმო, ბოსნარი, კულინა (ინვინსიბილი 46), ვრელა, ბრეშიანო, მაისანო (კარე 46), სტერიოვსკი, ტერმინელო (გრიფიტსი 69)
ირლანდია: დელინი, პირი, გევინი, ქუინი (კროსლი 84), მაკფილი, კინი (ბეიკერი 79), დაფი, პილი, სედლირი (კეისი 68), დონოლი, ფერგიუსონი
გაფრთხილება: გრელა (37), გევინი (50), კოლოზიმო (90)
მსაჯი: სერგეი შმოლიკი (ბელარუსი)

...1987 წლის 14 ოქტომბერს ჩილეს ქალაქ სანტიაგოში ავსტრალია იუგოსლავიამ 4:0 დაამარცხა — მას შემდეგ მოყოლებული მწვანე კონტინენტელებს ასეთი საშინელი სხვაობით არ წაუგიათ.

ცნობისთვის: დემიენ დაფმა მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატების ფინალურ ეტაპზე მე-10 მატჩი ითამაშა. მასზე მეტი მხოლოდ პორტუგალიელ ჟოაო პინტუს (12), ურუგვაელ ფერნანდო ალვესს (11) და ავსტრალიელ კევინ მუსკატს (11) ჩაუტარებიათ.

### საუდეთი 1:1 მექსიკა

0:1 ლ. გონსალესი (30), 1:1 ალ საქრი (37)
საუდეთი: ზაიდი, ფ. ალ შერი, ალ მუტაირი, ომარი, ალ სუბია, ალ საქრი, დაბო, ალ აგბანი, ალ აბდულაზიზი (ალ აბეა 85), ალ გარნი (ალ ზაფრინი 24), ალ ობაილი
მექსიკა: კ. მარტინესი, მასკორო, მარკესი, ტორადო, ნავა (ვიქტორინო 46), მენდოსა, ხ. როდრიგესი, ოსორნო (მორალესი 76), ლ. გონსალესი (მენდესი 62), ე. როდრიგესი, პაჩეკო
გაფრთხილება: ალ ზაფრინი (59), ტორადო (71), ფ. ალ შერი (72)

ზალეჰ ალ საქრი შეიქნა მერვე საუდელი ფეხბურთელი, რომელმაც მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გოლი გაიტანა. აქამდე საუდეთის ნაკრებს შვიდი გოლი გაეტანა და შვიდივე სხვადასხვა ფეხბურთელს შეეგდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:1 | 6 |
| ავსტრალია | 3 | 1 | 0 | 2 | 4:8 | 3 |
| საუდეთი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |

## D ჯგუფი

### ურუგვაი 0:0 პორტუგალია

ურუგვაი: კარინი, კარენო, სორონდო (მაჩადო 46), პოუსო, პელეგრინი, კორეა, პერესი, ჩევანტონი, ლიგუერა, ალბერმაგერი (მაკალესო 46), კარდოსო (ანჩენი 72)
პორტუგალია: ლეიტე, ფილიპე ანუნსიასაო, კანეირა, კორეია, ფრედი, უგო ლეალი, ესტევეში (ნეკა 90), სოუზა, პაულო კოშტა (ლუიშ ფილიპე 88), ბარბოსა, კარეირა
გაფრთხილება: ალბერმაგერი (17), ფრედი (33), პერესი (43), ლიგუერა (46), კორეია (49), ჩევანტონი (63), მაჩადო (65)
მსაჯი: აილუფემი ორიმისონი ილანიანი (ნიგერია)

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულმა პორტუგალიამ ამ ტურნირში მონაწილეობის მანძილზე მეოთხედ ითამაშა ფრედ და ოთხჯერვე 0:0.

### მალი 2:4 კორეა

0:1 კი ეონ სეოლი (3), 0:2 ჰე გეუნ ნა (22), 0:3 კი ეონ სეოლი (35), 1:3 დისა (57), 2:3 ბაგაიოკო (60), 2:4 ლონგ გოკ ლი (69)
მალი: ი. ტრაორე დ. კულიბალი, ა. ტრაორე, ე. კულიბალი, სისე (ბაგაიოკო 35), ტუნკარა, ნდიაე, დიარა, ს. კეიტა, სისოკო (დისა 46), ა. კულიბალი (დიარა 56)
კორეა: იანგ დაე კონგ, ბუმ ჯიგ ლი, დონგ ხონ შინი, ჩონგ გუგ სონგი, კი ბოკ სეო (იან სეოკ ვუ 62), იაე ჰო ჩუნი, ჰე გეუნ ნა (ლონგ გოკ ლი 63), ეუნ იუნგ კიმი (ბონგ ჯუ ჰო 72), კი ეონ სეოლი, იუნგ კუნ კიმი, ჰიუნგ ჯე კიმი
გაფრთხილება: ს. კეიტა (10), დ. კულიბალი (20), იუნგ კუნ კიმი (59), იაე ჰო ჩუნი (66)
მსაჯი: ზელიკო სირიჩი (ხორვატია)

პირველი ორი შეხვედრა მალიმ მოიგო და კორეელებთან თავი არ გამოუდვია, მაგრამ პირველი ტაიმის შუაწელში სამი ბურთით რომ ჩამორჩა, გონს მოეგო და ათამაშდა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 6 |
| პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| ურუგვაი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| კორეა | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | 3 |

## E ჯგუფი

### კამერუნი 1:3 აშშ

0:1 თველმენი (38), 0:2 ბოკანეგრა (57), 1:2 კიოუო (63), 1:3 თველმენი (79)
კამერუნი: ნჯამა ბაია, მოდო აბუნა (კიოუო 59), ჰამგა, ლებე, ინოგე, დიკუმე ესინდი, კომოლო (იდრისუ 62), ნგომ კომი, იბრაჰიმა, ბიკოი, ტაბი
აშშ: ჰოვარდი, ტორინგტონი (ოლბრაიტი 66), გარსია, კალიფი, ჩერუნდოლო, დაუნინგი, მორისონი (პირსი 54), გომესი, ბოკანეგრა, თველმენი, გიბსი
გაფრთხილება: იბრაჰიმა (32), ლებე (65)
მსაჯი: არტურო დუდენ იბანესი (ესპანეთი)

ამერიკელებმა საუკეთესო შეხვედრა ჩაატარეს და მერვედფინალში დამსახურებულად გავიდნენ.

### იაპონია 2:0 ინგლისი

1:0 იშიკავა (39), 2:0 ონო (48)
იაპონია: მინამი, ტეშიმა, ცუჯიმოტო, საკაი, ოგასავარა, ტაკაჰარა, მოტოიამა (ტაკადა 77), ენდო (კაჯი 70), ნაკატა, ონო, ნაგაი (იშიკავა 31)
ინგლისი: რაჩუბკა, ლინკოლნი (კრაჩი 52), რაიტი, ჰასლამი, მერფი, ჯონსონი, დადლი (ა. ჩამბერსი 78), ატერინგტონი, ნიკოლსი, კუპერი (ჯ. ჩამბერსი 56), ვერნასა
გაფრთხილება: ონო (17), ნიკოლსი (23), რაიტი (39), რაიტი (77), ნიკოლსი (90)
გაძევება: რაიტი (77), ნიკოლსი (90)
მსაჯი: მურად დაამი (ტუნისი)

ინგლისი ჩემპიონატის ერთადერთი მონაწილეა, რომელმაც გოლი ვერ გაიტანა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| აშშ | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| კამერუნი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:4 | 6 |
| ინგლისი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:4 | 0 |

## F ჯგუფი

### ზამბია 1:5 ბრაზილია

1:0 სინკალა (8), 1:1 რონალდო (27), 1:2 ფაბიო აურელიო (45), 1:3 ფერნანდო ბაიანო (65), 1:4 მანჩინი (71), 1:5 როდრიგო გრალი (85)
ზამბია: მუმბა, ლუნგუ, ზიმბა, კამპამბა (კაბვე 84), მვაბა, ჩინტუ, მანგამუ, მუტაპა, ზულუ (მბამბარა 52), სინკალა, მაკუფი
ბრაზილია: ფაბიო, ხუანი, ფაბიო ბილიკა, ფერუჯემი, ფაბიო აურელიო, რონალდო (როდრიგო გრალი 77), ალექსანდრი, ფერნანდო ბაიანო, ედუ, ტიაგო (მილტონ როჟერიო 77), ინდიო (მანჩინი 63)
გაფრთხილება: ფერუჯემი (48), კამპამბა (61)
მსაჯი: სიმონ მიკალეფი (ავსტრალია)

— მიუხედავად ესპანეთთან ცუდად თამაშისა, ვფიქრობ შევძელით ფავორიტთა შორის დაბრუნება. გუნდი შემდგომში უკეთესად ითამაშებს — განაცხადა ბრაზილიელთა მწვრთნელმა ჟოაო კარლოს და სალვა კოსტამ.

### ჰონდურასი 1:3 ესპანეთი

0:1 პაბლო (11), 0:2 ვარელა (27), 0:3 რუბენი (32), 1:3 ოლივა (76)
ჰონდურასი: სილიესარი, კონტრერასი, ვასკესი, ისაგირე, ვალეჩილო, დ. სუაზო, ლეონი (რუდალესი 46), გუტიერესი, მ. სუაზო (ტილგუატი 46), მარინი, ოლივა (ფორტინი 77)
ესპანეთი: იკერი, კოირა, ბერმუდო, იესუე, გაბრი (ალექსი 46), პაბლო (აგანსო 46), კოლსა, იესტე, ვარელა, რუბენი, ალვარო (ორბაისი 55)
გაფრთხილება: გუტიერესი (24), ალვარო (46), მიუდალესი (47), ისაგირე (50), აგანსო (70), კონტრერასი (70)
მსაჯი: მოჰამედ გუაზიზი (მაროკო)

ესპანეთის ნაკრებს 256 წუთის მანძილზე არ გაეშვა გოლი. სერია კვლავ გაგრძელდებოდა, მაგრამ ოლივამ სხვანაირად ინება.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| ზამბია | 3 | 1 | 1 | 1 | 5:8 | 4 |
| ჰონდურასი | 3 | 0 | 0 | 3 | 4:10 | 0 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ენრიკო კერნი (გერმანია) | 3 |
| გასპარ კომოლი (კამერუნი) | 3 |

## მერვედფინალური მატჩები

| 14 აპრილი | | 15 აპრილი | |
|---|---|---|---|
| ლაგოსი | პარაგვაი - ურუგვაი | იბადანი | მექსიკა - არგენტინა |
| კადუნა | განა - კოსტა რიკა | ენუგუ | მალი - კამერუნი |
| კანო | ირლანდია - ნიგერია | ბაუჩი | იაპონია - პორტუგალია |
| კალაბარი | ბრაზილია - ხორვატია | პორტ-ჰარკორტი | ესპანეთი - აშშ |

# ჩიკაგოური, ჯერ არნახული, ჯერ არგაგონილი

9 აპრილი

**ვანკუვერი 98:93 სიეტლი**

ვანკუვერი: ბიბი (7), ლოპესი (21 ქულა, 11 მოხსნა), აბდულ-რაჰიმი (28 ქულა, 11 მოხსნა), პარქსი (9), მასენბურგი (8); სმიტი (9), ჩილქათი (8), ვითი (5), დეპია (3), ჰენდერსონი

სიეტლი: პეიტონი (13 ქულა, 12 პასი, 6 მოხსნა), ჰოკინსი (17), შრემპფი (10), ბეიკერი (15 ქულა, 11 მოხსნა), პოლინაისი (11); ელისი (20), კროტი (5), მაკკოი (2)

სიეტლს წესით უნდა მოეგო. თუნდაც იმიტომ, რომ ვანკუვერი ერთ-ერთი უსუსტესია ლიგაში და მასზე გაცილებით დაბალი კლასის გუნდები სულ იოლად ამარცხებენ. „ვანკუვერ გრიზლიზი" ის კლუბია, რომელსაც მთელი სეზონის განმავლობაში მოგება ენატრება, შემთხვევით თუ მოხდება, ვინმე მაჩანჩალას მოერიოს და თავისი დივიზიონის ცხრილის ფსკერზე იმდენად მყარად დაფუძნებულა, ახლო მომავალში ამ ადგილის დაკარგვის „საფრთხე" არსაიდან ემუქრება. აი, მასთანაც წააგო 90-იანი წლების ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა, რომელიც ამ სეზონში სულ იოლად ჩამოშორდა ბობოლებს და საშუალო დონემდე დაეშვა.

სიეტლის მთავარ მწვრთნელ პოლ ვესტფალს 12 კაცი ჰყავდა განაცხადში, თუმცა აქედან ოთხი მოთამაშე და მათ შორის ვლადიმერ სტეფანია საერთოდ არ გაიყვანა მოედანზე. რვა კაცმა კი ვერაფერი მოუხერხა აღმაფრენით მოთამაშე მასპინძლებს, მით უმეტეს, რომ წინა დღით „სუპერსონიქსმა" დიდი ბრძოლა გაუმართა ლიგის უძლიერეს გუნდს, პორტლენდს და 87:86 მოუგო. მატჩის შემდგომ ვესტფალმა მარცხის გამომწვევი მიზეზების ჩამოთვლას მიჰყო ხელი და ბლომადაც გამოუვიდა. მათგან სიმართლესთან ყველაზე უფრო ახლოს მაინც პორტლენდთან გადამღლელი თამაში უნდა იყოს. ეს ყველაზე უფრო გუნდის ლიდერ გერი პეიტონს დაეტყო, ვისაც, მართალია, ცდა არ დაუკლია და ლამის თავიც გადადო, სულ ოთხი მოხსნა დააკლდა სამმაგ დუბლამდე, მაგრამ სროლებში ხელი მოეცარა და 17-დან მხოლოდ 4 ჩააგდო. სიეტლმა ფონს გასვლა სამქულიანებით სცადა და ამ საქმეში ჭიპმოჭრილმა და ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე მხცოვანმა მოთამაშემ დეილ ელისმა ექვსი სამქულიანი ჩაუგდო ვანკუვერს, თუმცა, როგორც შემდეგ გამოჩნდა, ამაოდ დაშვრა. მეტოქეთა შორის გუნდის ლიდერი, შარიფ აბდულ-რაჰიმი ბრწყინავდა. მართალია, ახალბედა მაიკლ ბიბიმ ბევრი ვერაფერი მოუხერხა პეიტონს და თავად 7 ქულასღა დასჯერდა, მაგრამ აქ თავი გამოიდო ბიბის მეწყვილემ უკანა ხაზში, მასავით ახალბედა ფელიპე ლოპესმა და სეზონში ყველაზე მეტ, 21 ქულას და 11 მოხსნას მოუყარა თავი. სწორედ აბდულ-რაჰიმის და ლოპესის ძალისხმევით ვანკუვერმა მესამე მეოთხედის მერე ხუთი ქულით დაწინაურება მოახერხა და ეს მცირე სხვაობა ჯანგაცლილი სიეტლისთვის საკმარისი აღმოჩნდა.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

იუტა — ვანკუვერი. მაიკლ სმიტი (ბურთით) იუტელთა ფარისკენ მიიწევს

11 აპრილი

**ლეიკერსი 109:113 სიეტლი**

ლეიკერსი: ჰარპერი (8), ბრაიანტი (25 ქულა, 9 პასი), პატერსონი (2), როდმანი (6 ქულა, 13 მოხსნა), ონილი (38 ქულა, 8 მოხსნა); ფიშერი (12), ლუ (10), ფოქსი (4), ჰორი (2), რიდი (2), რუქსი

სიეტლი: პეიტონი (33 ქულა, 9 პასი), ჰოკინსი (20), შრემპფი (14 ქულა, 10 მოხსნა), ბეიკერი (27 ქულა, 8 მოხსნა), პოლინაისი (4 ქულა, 8 მოხსნა); ელისი (10), კროტი (3), მაკკოი (2)

„საოცარი გუნდი ვართ — ამბობდა მატჩის შემდგომ ლოს ანჯელესში მრისხანე ლეიკერსის ძლევით ერთობ გახარებული სიეტლელთა დამრიგებელი პოლ ვესტფოლი — შეგვიძლია წავაგოთ დენვერთან, ვანკუვერთან, მაგრამ ვუგებთ ჰიუსტონს, პორტლენდს, ლეიკერსს. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრის გამწარება შეგვიძლია".

მოულოდნელად გაიბრწყინა ვინ ბეიკერმა, რომელმაც ერთი კვირის წინ მოირჩინა დაშავებული ცერი. მისი მეთაურობით სიეტლური წინა ხაზი მძლავრად შეება ლეიკერსულს და, მართალია, ონილისგან 38 ქულა (სეზონის რეკორდი) მიიღო, მაგრამ მოხსნებში 41:37 აჯობა კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ ლეიკერსს ჰყავს დენის როდმანი და ამ საქმეში მისი მჯობნი 90-იან წლებში არ მოიძებნება. უკანახაზელებს გერი პეიტონი წაუძღვა და ლეიკერსის კალათს მოხუც ჰერსი ჰოკინსთან ერთად სულ ბდღვირი ადინა.

თვით თამაში ძალიან დაძაბული იყო. ლეიკერსის შეშლილი თავდამსხმელის, დენის როდმანის თქმით, მისმა თანაგუნდელებმა თამაში მესამე მეოთხედში წააგეს. მესამე მეოთხედში ლოსანჯელესელები მეტოქეს ოთხი ქულით ჩამორჩნენ. ოთხი ქულა ლეიკერსისთანა გუნდისთვის სულაც არ წარმოადგენს დაუძლეველ ნაპრალს და ამიტომაც ბოლო მეოთხედი ყველაზე დაძაბული გამოდგა. გამგელებულმა მასპინძლებმა ერთი ამოსუნთქვით მოუნდომეს სიეტლს ჩაყლაპვა, მაგრამ ეს უკანასკნელი მაგრად დაუხვდა და მაქსიმუმი, რასაც მეტოქემ მიაღწია, ის იყო, შაკილ ონილის ჩატენვის შემდეგ ანგარიში გაათანაბრა — 88:88. ამას სიეტლის მხრიდან ჰერსი ჰოკინსის სამქულიანი მოჰყვა. ბოლო წუთებზე მასპინძლებმა დიდი დანაკლისი განიცადეს, მშვენივრად მოთამაშე კობი ბრაიანტი მეექვსე პერსონალურის შემდეგ თამაშს გამოეთიშა და ლეიკერსს იმედებიც გადუწურა, რადგან ეს მატჩი გამოტოვა გლენ რაისმა, რომელსაც გადამწყვეტი ბურთების სროლისას ხელი არ აუკანკალდებოდა. მართალია, მოედანზე მანამდე შაკილ ონილი ბრწყინავდა, მაგრამ ეს მთაკაცი დაძაბული მატჩების მიწურულს ტრადიციულად უსუსურად ირჯება და არც თანაგუნდელები აგდებენ დიდად სათვალავში. ახლაც ასე იყო, ონილი ამაოდ ელოდა თანაგუნდელთა პასებს და მატჩის შემდეგ გულდაბოლმილმა დაიჩივლა, ვერ გავიგია, ტყუილად ხომ არ ვარ ლიგაში უძლიერესი, გადამწყვეტი ბურთის ჩაგდება სხვებზე არანაკლებ მეხერხებაო. ასე თუ ისე, ბოლო 24 წამში ლეიკერსი 9 ქულით ჩამორჩებოდა მეტოქეს და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მხოლოდ ოთხი ქულით წააგო.

**ირაკლი ფირაშვილი**

9 აპრილი

**ლეიკერსი 96:89 მინესოტა**

ლეიკერსი: ონილი (25 ქულა, 15 მოხსნა), რაისი (25)

მინესოტა: ჰამონდსი (22), გარნეტი (16 ქულა, 16 მოხსნა)

**ბოსტონი 67:83 ფილადელფია**

ბოსტონი: პირსი (22 ქულა, 13 მოხსნა)

ფილადელფია: აივერსონი (23), რეთლიფი (16 ქულა, 14 მოხსნა, 7 დაფარება)

**ნიუ ჯერსი 106:99 ტორონტო**

ნიუ ჯერსი: ვან ჰორნი (30 ქულა 12 მოხსნა), მარბერი (20)

ტორონტო: კარტერი (26), ვილისი (20 ქულა, 13 მოხსნა)

**ორლანდო 95:83 მილუოკი**

ორლანდო: ჰარდევეი (26)

მილუოკი: ალენი (21)

**შარლოტი 90:88 ვაშინგტონი**

შარლოტი: კემპბელი (32 ქულა, 10 მოხსნა)

ვაშინგტონი: სტრიკლენდი (25 ქულა, 12 პასი), ტორპი (20)

**ატლანტა 78:86 ნიუ იორკი**

ატლანტა: ბლეილოკი (28)

ნიუ იორკი: სპრიუელი (18)

**იუტა 93:92 ფინიქსი**

იუტა: მელოუნი (31 ქულა, 10 მოხსნა)

ფინიქსი: კიდი (19 ქულა, 11 პასი)

**ინდიანა 101:102 დეტროიტი**

ინდიანა: სმიტსი (35)

დეტროიტი: ჰილი (30), დუმარსი (25)

სეზონის საუკეთესო მატჩის მიუხედავად, ინდიანას ჰოლანდიელი ცენტრი რიკ სმიტსი მატჩის ანტიგმირი შეიქმნა. სმიტსმა კარიერაში ყველაზე ბევრი, 15 საჯარიმო ჩააგდო — პირველი 15-დან ყველა, მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 5 წამით ადრე მეთხუთმეტე ჩაგდებულის შემდეგ მეთექვსმეტე ააცილა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ დეტროიტელმა ლინდსი ჰანტერმა (17 ქულა) სირენასთან ერთად ჩაგდებული სამქულიანით ერთი ქულით გაამარჯვებინა თავისიანებს.

10 აპრილი

**ჩიკაგო 49:82 მაიამი**

ჩიკაგო: დევიდი (13)

მაიამი: ჰარდევეი (22), მურნინგი (19 ქულა, 7 დაფარება)

„ჩიკაგო ბულზმა", 90-ანი წლების უძლიერესმა გუნდმა 48 წუთში ოდენ 49 ქულის ჩაგდება მოახერხა და კალათბურთის ეროვნული ასოციაციის 53-იანი ისტორიის მანძილზე შეიქმნა პირველი გუნდი, რომელმაც თამაშში 50 ქულაზე ნაკლები გააკეთა.

**ფინიქსი 110:84 სან ანტონიო**

ფინიქსი: რობინსონი (22)

სან ანტონიო: დანკანი (21 ქულა, 10 მოხსნა)

**საკრამენტო 110:104 დენვერი**

საკრამენტო: ვებერი (23 ქულა, 11 მოხსნა), დივაცი (21 ქულა, 15 მოხსნა, 8 პასი)

დენვერი: ვან ექსელი (29), ფორტსონი (22 ქულა, 17 მოხსნა)

**დალასი 90:91 გოლდენ სტეიტი**

დალასი: ტრენტი (33 ქულა, 11 მოხსნა)

გოლდენ სტეიტი: კოულზი (14)

**კლივლენდი 82:67 ატლანტა**

კლივლენდი: კემპი (24 ქულა, 12 მოხსნა)

ატლანტა: ჰენდერსონი (18)

**ინდიანა 90:92 შარლოტი**

ინდიანა: სმიტსი (22)

შარლოტი: ფილზი (23)

**კლიპერსი 70:97 პორტლენდი**

კლიპერსი: ნესბი (17)

პორტლენდი: ვოლესი (19)

11 აპრილი

**იუტა 85:76 ჰიუსტონი**

იუტა: რასელი (19)

ჰიუსტონი: ოლაჯუონი (23 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ ჯერსი 78:95 ნიუ იორკი**

ნიუ ჯერსი: კიტლზი (16)

ნიუ იორკი: ჯონსონი (22)

**მინესოტა 88:79 დეტროიტი**

მინესოტა: გარნეტი (20), სმიტი (19 ქულა, 17 მოხსნა)

დეტროიტი: ჰილი (27)

**ბოსტონი 87:81 ჩიკაგო**

ბოსტონი: ვოლკერი (23 ქულა, 11 მოხსნა)

ჩიკაგო: კუკოჩი (23)

**მაიამი 95:92 მილუოკი**

მაიამი: მაშბურნი (25), მურნინგი (23)

მილუოკი: ალენი (25)

**ვანკუვერი 88:91 საკრამენტო**

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (23 ქულა, 10 მოხსნა), ბიბი (21)

საკრამენტო: ვებერი (24 ქულა, 10 მოხსნა)

**ვაშინგტონი 105:98 ფილადელფია**

ვაშინგტონი: რიჩმონდი (24)

ფილადელფია: აივერსონი (32 ქულა, 10 მოხსნა)

**პორტლენდი 83:89 კლიპერსი**

პორტლენდი: რაიდერი (17)

კლიპერსი: ტეილორი (23)

ლიგის ყველაზე უსუსურმა გუნდმა კლიპერსმა მორიგი სასწაული ჩაიდინა. ორიოდ კვირაში ორი ძლიერი გუნდის, იუტასა და მინესოტას ძლევის შემდეგ ლიგის უძლიერესი გუნდი პორტლენდი მისსავე მოედანზე დასცა. ეს მაშინ, როცა ერთი დღის წინ საკუთარ მოედანზე მასთან 27 ქულით დამარცხებულიყო.

12 აპრილი

**იუტა 98:80 ვანკუვერი**

იუტა: ჰორნაჩეკი (18)

ვანკუვერი: აბდურ-რაჰიმი (22)

**დენვერი 96:104 გოლდენ სტეიტი**

დენვერი: მაკდაიესი (36), ბილაფსი (22)

გოლდენ სტეიტი: მარშალი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**სან ანტონიო 94:77 ფინიქსი**

სან ანტონიო: დანკანი (26 ქულა, 11 მოხსნა), ჯონსონი (20)

ფინიქსი: რობინსონი (25), კიდი (22 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი)

**მინესოტა 90:91 ჰიუსტონი**

მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა)

ჰიუსტონი: ოლაჯუონი (22 ქულა, 14 მოხსნა)

**დეტროიტი 86:92 შარლოტი**

დეტროიტი: რიდი (25)

შარლოტი: კემპბელი (27 ქულა, 11 მოხსნა)

**ტორონტო 99:109 ინდიანა**

ტორონტო: კარტერი (29)

ინდიანა: სმიტსი (18)

**ბოსტონი 103:89 კლივლენდი**

ბოსტონი: მერსერი (24), ბაროსი (23 ქულა, 13 პასი), ვოლკერი (21)

კლივლენდი: კემპი (23 ქულა, 11 მოხსნა)

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| ორლანდო | 28 | 10 | 73,7 |
| მაიამი | 24 | 11 | 68,6 |
| ნიუ იორკი | 20 | 17 | 54,1 |
| ფილადელფია | 19 | 17 | 52,8 |
| ვაშინგტონი | 14 | 22 | 38,9 |
| ბოსტონი | 14 | 23 | 37,8 |
| ნიუ ჯერსი | 10 | 26 | 27,8 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ინდიანა | 25 | 13 | 65,8 |
| ატლანტა | 22 | 16 | 57,9 |
| დეტროიტი | 22 | 16 | 57,9 |
| მილუოკი | 20 | 16 | 55,6 |
| ტორონტო | 18 | 18 | 50,0 |
| კლივლენდი | 18 | 18 | 50,0 |
| შარლოტი | 16 | 20 | 44,4 |
| ჩიკაგო | 10 | 27 | 27,0 |

**დასავლეთის კონფერენცია**

| | მ | წ | % |
|---|---|---|---|
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| იუტა | 28 | 8 | 77,8 |
| სან ანტონიო | 25 | 11 | 69,4 |
| ჰიუსტონი | 24 | 13 | 64,9 |
| მინესოტა | 21 | 17 | 55,3 |
| დალასი | 11 | 25 | 30,6 |
| დენვერი | 11 | 27 | 28,9 |
| ვანკუვერი | 7 | 31 | 18,4 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| პორტლენდი | 28 | 8 | 77,8 |
| ლეიკერსი | 25 | 14 | 64,1 |
| სიეტლი | 18 | 18 | 50,0 |
| ფინიქსი | 18 | 20 | 47,4 |
| საკრამენტო | 17 | 20 | 45,9 |
| გოლდენ სტეიტი | 16 | 21 | 43,2 |
| კლიპერსი | 5 | 31 | 13,9 |

# ხუთი ერი მოკვდა. გაუმარჯოს ექვს ერს!



შოტლანდიელ სტიუარტ გრიმსს (ბურთით) ფრანგმა კრისტოფ დომინიკმა ვერაფერი დააკლო

ხუთი ერის პირველობა

„სტად დე ფრანსზე“ თავმოყრილმა 79.000 მაყურებელმა ორი მკვეთრად განსხვავებული ტაიმი იხილა. პირველ ნახევარში ორივე გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა თავდასხმაში და ჯამში 8 ლელოც გავიდა. მეორე ორმოცწუთეულში კი მასპინძლებმაც და სტუმრებმაც საგულდაგულოდ ჩაკეტეს თავიანთი სალელოე მოედნის მისადგომები.

პირველი ლელო პირველივე წუთზე გავიდა. ფრანგებმა მშვენიერი შეტევა განახორციელეს, რომელიც ემილ ნტამაკმა დაასრულა. თუმცა ამ ეპიზოდში ისეთი რამ მოხდა, რამაც მატჩის შედეგზე დიდი გავლენა მოახდინა — „მამლების“ ერთ-ერთი ძირითადი ფიგურა, მეათე ნომრად მოთამაშე ტომა კასტანიედი დაიმტვრა. მისმა გამოკლებამ მასპინძელთა რიგები არია და 7 წუთის მანძილზე (მე-8-დან მე-14-მდე) მათ სამი ლელო გაუშვეს. შოტლანდიელთა დამრტყმელმა ლოგანმა სამივე გარდასახა - 5:21.

შეტევების და ლელოების წვიმა ამის მერეც გაგრძელდა და მაყურებელმაც ისიამოვნა. საბოლოოდ კი შოტლანდიამ მოიგო და კვირას გასამართ უელს-ინგლისის მატჩს დაელოდა.

„წარმოუდგენელია. ეს შოტლანდიის ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო. იმედი მაქვს, კვირას უძლიერესი მოიგებს“ — ჯიმ ტელფერს, სქოთთა მწვრთნელს, ალბათ, ლონდონელი ბუკმეიკერებივით სჯეროდა უელსელთა სიძლიერის.

დაძაბულობა, ლელოები და ინგლისის მარცხი. კვირასაც მშვენიერი თამაში იყო. არავის ეგონოს, თითქოს ინგლისის მოძულე ვარ. უბრალოდ, ეს ულამაზოდ მოთამაშე ნაკრები ხუთი ერის ბოლო პირველობის დიდი სლემით მოგებას ნამდვილად არ იმსახურებდა. ჩემპიონობა შოტლანდიაზე უფრო ალალი იყო.

დავუბრუნდეთ მატჩს. ინგლისმა კარგად დაიწყო და მალეც დაწინაურდა. პერის წამოწყებული იერიში ლაგერმა დააგვირგვინა. თხუთმეტიოდე წუთში კი ახალგაზრდა ჰენლიმ სანაკრებო დებიუტი ლელოთი გაილამაზა.

უელსელები ამ დროს ყურებჩამოყრილნი სულაც არ იყვნენ, მაგრამ ინგლისელთა რკინის დაცვას ვერაფრით აჯობეს. თუმცა პირველ ტაიმში 18 ქულა მაინც მიითვალეს. ეს მთლიანად მათი მე-10 ნომრის დამახურებაა — ჯენკინსმა 6-დან 6-ვე საჯარიმო უზადოდ შეასრულა. ტაიმის ბოლოს კი მასპინძლები დაცვაში შეცდნენ და მეტოქემ მესამედ დაამიწა მათ სალელოე მოედანზე ბურთი. ყველას ეგონა, რომ ინგლისელები მოიგებდნენ, მაგრამ უელსელები დანებებას არ აპირებდნენ.

მეორე ტაიმში ისინი გაორმაგებული ძალით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს და თავიანთი ქომაგების გასახარად, გაიმარჯვეს კიდეც. თუმცა მატჩის ბოლო წუთმა ინგლისელებს მასპინძელთა ნახევარზე მოუსწრო, ანგარიში კი 31:25 იყო მათ სასარგებლოდ. აი, აქ გადაწყდა ყველაფერი — მსაჯმა ინგლისელები დააჯარიმა და ჯენკინსმაც სტუმართა ნახევარზე გადაიტანა თამაში. აუტიდან მოწოდებულ ბურთს უელსელები დაეუფლნენ და გიბსმაც ლელო გაიტანა. იმ დღეს უშეცდომოდ მოთამაშე ჯენკისმა კი მერვე დარტყმაც ზუსტად შეასრულა და 32:31.

სამოციანი წლების მეორე ნახევრიდან ოთხმოციანების დასაწყისამდე ევროპული რაგბის ფლაგმანმა უელსმა ხუთი ერის ბოლო პირველობის ბოლო მატჩი მოიგო. გაისად კი ექვსი ერის პირველობა დაიწყება, რომელსაც რაგბის ყველა მოყვარული დიდი ინტერესით ელის. ჩვენ განსაკუთრებით ამ ტურნირის B ჯგუფის ჩამოყალიბება გვაღელვებს, რომელშიც სხვებთან ერთად ქართველი „ბორჯღალოსნებიც“ ითამაშებენ.

მაშ ასე, ხუთი ერის პირველობა მოკვდა, გაუმარჯოს ექვსი ერის პირველობას!

**გაიოზ თალაკვაძე**

პარიზი. „სტად დე ფრანსი“ 10 აპრილი. 79 000 მაყურებელი

**საფრანგეთი 22(22):36(33) შოტლანდია**

საფრანგეთი: 3ლ — ნტამაკი, ჟუიე, დომინიკი 2გ და 1ს — ოკანი
შოტლანდია: 5ლ — მ. ლესლი (2), ტაიტი (2), თაუნსენდი 4გ და 1ს — ლოგანი
მსაჯი: ტომასი (უელსი)

**საფრანგეთი**

ნტამაკი
გარბაჟოზა ჟიორდანი კომბა დომინიკი
კასტანიედი კარბონო
კასტელი ტ. ლიევრემონი ლაბი
კლედა ბრუზე
ტურნერი იბანესი (კაპ) კალიფანო

პილტონი ბალოქი ბარნელი
ს. მიურეი გრიმსი
პუნტნი რეიდი მ. ლესლი
არმსტრონგი (კაპ) თაუნსენდი
ლოგანი ჯ. ლესლი ტაიტი კ. მიურეი
მეტკალფი

**შოტლანდია**

*შეცვლები*
საფრანგეთი: ჟიორდანი — ლომბარი (63), კასტანიედი — ოკანი (2), კარბონო — ლასიუკი (38), კასტელი — ბენეტონი (66), ბრუზე — ორადუ (66), კალიფანო — მარკონე (56)
შოტლანდია: პუნტნი — უოლტონი (73), ს. მიურეი — რიდი (79), ჰილტონი — გრემი (66)

ლონდონი. „უემბლი“ 11 აპრილი. 78 000 მაყურებელი

**უელსი 32(18):31(25) ინგლისი**

უელსი: 2ლ — ჰოვართი, გიბსი 2გ და 6ს — ნ. ჯენკინსი
ინგლისი: 3ლ — ლაგერი, ჰენლი, რ. ჰილი 2გ და 4ს — ვილკინსონი
მსაჯი: უოტსონი (ს. აფრიკა)

**უელსი**

ჰოვართი
ტომასი ტეილორი გიბსი ეიმსი
ნ. ჯენკინსი ჰოული (კაპ)
ჩარვისი ქვინელი სინკინსონი
უაიტი კ. ქვინელი
ევანსი გ. ჯენკინსი როჯერსი

ლენარდი კოკრილი გერფორსი
ჯონსონი როდბერი
რ. ჰილი დალალიო (კაპ) ბექი
დოუსონი ქეტი
ჰენლი მათერი ვილკინსონი ლაგერი
პერი

**ინგლისი**

*შეცვლები*
უელსი: ტომასი — უოლნი (64), ევანსი — ლუისი (69), როჯერსი — იონგი (69)
ინგლისი: გერფორსი — უბოგუ (70)

# ჯო როფი
## გმირიც და ანტიგმირიც

დანიდინი. 9 აპრილი

**დანიდინი 23(13):6(3) კრაისტჩერჩი**

დანიდინი: 2ლ — როპატი, ლიმა 2გ, 2ს და 1ა — ბრაუნი
კრაისტჩერჩი: 2ს — მერთენსი

კარგი დასაწყისის შემდეგ (ორი მოგება და ერთი ფრე) შარშანდელმა ჩემპიონმა გაცილებით გააუარესა თამაშის ხარისხი და რამდენიმე მარცხი განიცადა. ჯვაროსნებმა ახლაც წააგეს დანიდინთან, რამაც მათ კიდევ უფრო შეუმცირა პლეიოფში მოხვედრის შანსები, დანიდინი კი პირიქით, მოგებამ კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვა ნახევარფინალს და „მთიელები“, ალბათ, ნახევარფინალურ მატჩსაც საკუთარ სარბიელზე ჩაატარებენ.

პირველ ტაიმში მასპინძლებმა ანგარიში ათქულიან უპირატესობას მიაღწიეს, მაგრამ სხვაობა სულ მცირე ორჯერ მეტი უნდა ყოფილიყო, იმდენად სჯობდნენ თამაშის ხარისხით მეტოქეს. მთელი შეხვედრის განმავლობაში სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ შეაღწიეს მასპინძელთა სალელოე მოედანში. მაგრამ იმ შემთხვევაშიც მცველებმა იმარჯვეს. მატჩს ახალი ზელანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელიც დაესწრო. როგორც ჩანს, ამ ფაქტმა მხოლოდ მასპინძლებზე იმოქმედა დადებითად და „ოლბლექსის“ კანდიდატებმა რენდელმა და კელეჰერმა აშკარად დაჯაბნეს თავიანთი კონკურენტები. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ისინი მსოფლიოს თასზეც ითამაშებენ.

ოკლენდი. 10 აპრილი

**ოკლენდი 23(9):7(7) ველინგტონი**

ოკლენდი: 1ლ — ჰოულეტი. 6ს — კეშმორი
ველინგტონი: 1ლ და 1გ — არნოლდი

მეორე ზელანდიურ შინაომშიც მასპინძლებმა იმარჯვეს. პირველ ნახევარში მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. „ლურჯებმა“ მხოლოდ ორი ქულით მოიგეს ტაიმი, თუმცა მეორეში ჩინებულად ათამაშდნენ და გაიმარჯვეს კიდეც.

ბრაკპანი. 9 აპრილი

**პრეტორია 7(7):17(3) ბრისბენი**

პრეტორია: 1ლ — დე კოკი, 1გ — ფ. სმიტი
ბრისბენი: 1ლ — ვილსონი, 4ს — სპუნერი

აფრიკელთა ასეთ გამოსვლას წლევანდელ გათამაშებაში არავინ ელოდა — „ხარები“ ზედიზედ მეშვიდედ დამარცხდა, არადა, პირველი ტაიმის მერე 7:3 იგებდნენ. თუმცა ასეთი ანგარიში უფრო სტუმარი ნათან სპუნერის დამსახურება იყო, ვიდრე მასპინძელთა — ავსტრალიელმა ხუთი საჯარიმო დარტყმა აცილა მიზანს. მეორე ტაიმში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. სტუმართა კლასმა თავისი გააკეთა მათ ქულაც არ აღებინეს მეტოქეს, თავად კი ერთი ლელო და სამი საჯარიმო გაიტანეს.

ნიულენდსი. 10 აპრილი

**კეიპტაუნი 35(13):19(8) დურბანი**

კეიპტაუნი: 4ლ — პულსი (2), როსოუ, ლენარდი. 3გ და 3ს — ვან სტრაატენი
დურბანი: 2ლ — რენსბურგი, სვორტი, 3ს — ჰონიბალი

გამარჯვებამ „მოიერიშეები“ სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე აღაზევა და თუ დარჩენილ შეხვედრებსაც მოიგებენ, ნახევარფინალში შინ თამაშის უფლებას მოიპოვებენ. ეს კი სრულიად რეალურია — კეიპტაუნი დარჩენილ ოთხ მატჩს შინ ატარებს.

საწყის ნახევარ საათში უპირატესობას დურბანელი „ზვიგენები“ ფლობდნენ. მასპინძლებმა მხოლოდ ტაიმის ბოლოს შეძლეს თამაშის გათანაბრება, მერე კი... მეორე ნახევრის დასაწყისში ანგარიში უკვე 20:8 იყო, მაგრამ ჰონიბალის კარგი თამაშის წყალობით სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა. თუმცა სტუმრებმა მეტის გაკეთება ვერ მოახერხეს და როგორც ჩანს, წლეულს პლეიოფის მიღმა აღმოჩნდებიან.

კანბერა. 10 აპრილი

**კანბერა 13(13):16(3) ჰამილტონი**

კანბერა: 1ლ, 1გ და 2ს — როფი
ჰამილტონი: 1ლ — მაკლეოდი, 1გ — ჯეკსონი, 3ს — კუპერი (2), ჯეკსონი

ასეთ შედეგს არავინ ელოდა. ჰამილტონმა წლეულს პირველად მოიგო და ისიც სტუმრად. ეს კი უმეტესწილად ჯონა ლომუს კარგმა თამაშმა განაპირობა, რომელმაც, მართალია, ლელო ვერ გაიტანა, მაგრამ მეტოქე მცველები გვარიანად დააწიოკა და თანაგუნდელებს საჯარიმოებიც არტყმევინა. მეორე ტაიმის შუაწელისთვის ყველაფერი ლოგიკურად ვითარდებოდა. მასპინძლები გაჭირვებით, მაგრამ მაინც უგებდნენ სტუმრებს, თუმცა ტაიმის ბოლოსთვის „ბელადებმა“ ჯერ გაათანაბრეს, მერე კი კუპერის 35 მეტრიდან გატანილი საჯარიმო დარტყმის წყალობით წინაც გავიდნენ. სტუმრების გამარჯვება ნაწილობრივ მასპინძელი ჯო როფის „დამსახურებაცაა“, რომელმაც მეორე ტაიმში ორი საჯარიმო აცილა, არადა, მანამდე გუნდს 13 ქულა მოუტანა.

**ბაათა თოთაძე**

## სადღეისო ვითარება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დანიდინი | 7 | 6 | 0 | 1 | 217:132 | 2 | 26 |
| კეიპტაუნი | 7 | 5 | 0 | 2 | 193:175 | 2 | 22 |
| ბრისბენი | 7 | 5 | 1 | 1 | 128:112 | 0 | 22 |
| სიდნეი | 6 | 3 | 1 | 2 | 165:125 | 4 | 18 |
| ოკლენდი | 6 | 3 | 1 | 2 | 114:98 | 2 | 16 |
| კრაისტჩერჩი | 6 | 3 | 1 | 2 | 145:117 | 1 | 15 |
| იოჰანესბურგი | 6 | 3 | 0 | 3 | 191:177 | 3 | 15 |
| დურბანი | 6 | 3 | 1 | 2 | 139:126 | 1 | 15 |
| კანბერა | 7 | 2 | 0 | 5 | 200:141 | 6 | 14 |
| ველინგტონი | 7 | 2 | 1 | 4 | 145:156 | 3 | 13 |
| ჰამილტონი | 6 | 1 | 0 | 5 | 100:172 | 2 | 6 |
| პრეტორია | 7 | 0 | 0 | 7 | 123:330 | 1 | 1 |



ოკლენდელ კრეგ ინესს (ბურთით) ველინგტონელები ხშირად ეუხეშებოდნენ და დაისაჯნენ კიდეც

# ჰაკინენს მთელი გერმანია გაეკიდა

1993 წელს ბრაზილიის დიდ პრიზზე აირტონ სენამ იმარჯვა და მას შემდეგ ბრაზილიელი გულშემატკივარი მოუთმენლად ელის მოწინავეთა შორის თანამემამულის გამოჩენას. წლეულს ბარიჩელოს ასპარეზობამ ხასიათზე მოიყვანა მაყურებელი. რუბინიომ ჯერ კიდევ კვალიფიკაციისას გამოიჩინა თავი, მე-3 სასტარტო ადგილი მოიპოვა, მერე კი რბოლაში მე-3 წრეზე ლიდერობა ჩაიბარა და პიტ-სტოპის შემდეგ პოდიუმზე მოხვედრის შანსსაც ინარჩუნებდა. ვივიენ სენაც (აირტონის და), ცხადია, მას უფრო მეტი ხალისით გადასცემდა პრიზს, ვიდრე სხვას, მაგრამ პილოტს „ფორდის" ძრავამ უმტყუნა და თვისტომნი კვლავ მომავლის იმედად დატოვა.

ბრაზილიელთათვის სარბოლო უქმეები თარსად დაიწყო. შაბათს ვარჯიშზე მძიმე ავარია განიცადა რიკარდო ზონტამ და ფეხმოტეხილი ჰოსპიტალში აღმოჩნდა. უიღბლობა კვირასაც გაგრძელდა, ფინიშამდე ვერც ერთმა ბრაზილიელმა ვერ მიაღწია.

კვალიფიკაცია სველ ტრასაზე ჩატარდა და „მაკლარენის" წყვილის გამარჯვებით დასრულდა. დანარჩენი პილოტები მესამე სასტარტო ადგილისთვის ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს და აქ ბარიჩელომ აჯობა ყველას. სუსტად იასპარეზეს ძანარდიმ და ვილნევმა — CART-ის ორივე ჩემპიონი მექანიკურმა პრობლემებმა გააწამა და ისინი ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდნენ. ასპარეზობის შემდეგ კი მსაჯებმა კანადელის ბოლიდის ავზიდან აღებული ბენზინი დაიწუნეს და მისი საკვალიფიკაციო დრო გააუქმეს. ჟაკს ბოლო, 21-ე ადგილიდან მოუწია რბოლის დაწყებამ.



**მიკა ჰაკინენი**
**ფინეთი**

დაიბადა 1968 წლის 29 სექტემბერს, ჰელსინკში
სიმაღლე 179 სმ, წონა 70 კგ.
ცხოვრობს მონაკოში. ჰყავს მეუღლე
პირველი სტარტი ფორმულა 1-ში: 1991, აშშ-ის დიდი პრიზი („ლოტუსი")
ასპარეზობდა „ლოტუსში" 1991-92
„მაკლარენშია" 1993 წლიდან
პირველი გამარჯვება: 1997, ევროპის დიდი პრიზი
1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი
114 რბოლა, 10 გამარჯვება, 12 პოული, 8 საუკეთესო წრე, 228 ქულა

სტარტიდან პირველი ჰაკინენი დაიძრა. მის გვერდით მდგომ კულჰარდს ძრავა ჩაუქრა და მეორე ადგილი ბარიჩელომ დაისაკუთრა, მას კი „ფერარის" წყვილი ამოუდგა უკან. კულჰარდს ორი წრის განმავლობაში ბოქსებში მოუხდა დგომა და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაება რბოლაში. სწორედ მაშინ, როდესაც დევიდი ტრასაზე ბრუნდებოდა, ჰაკინენმა მოულოდნელად რბოლა შეანელა და პირველი ადგილი ბარიჩელოს დაუთმო. ორი წრით ჩამორჩენილი კულჰარდი კი მეორეზე მყოფი შუმის წინ აღმოჩნდა. ჰაკინენი მალევე დაუბრუნდა ჩვეულებრივ ტემპს და მიხაელს შეუტია. ხოლო ბარიჩელო ნელნელა დაშორდა მეტოქეებს. ამაში მას კულჰარდიც დაეხმარა, რომელიც შუმის აფერხებდა და თანაგუნდელს მის დაწევას უადვილებდა. ლიდერი შესანიშნავად ასპარეზობდა, უშეცდომოდ გადიოდა წრეებს და ახერხებდა უპირატესობის შენარჩუნებას. თუმცა კი მას ორი პიტ-სტოპი ჰქონდა დაგეგმილი, მაშინ, როცა მეტოქეები ერთხელ აპირებდნენ ბოქსებში შევლას. ეს კი ბარიჩელოს გამარჯვებას სათუოს ხდიდა. 27-ე წრეზე ბრაზილიელმა ბოქსებში შეუხვია და ლიდერობა შუმის გადააბარა. ტრასაზე იგი ირვინის უკან, მეოთხე პოზიციაზე დაბრუნდა, მაგრამ მალევე სტარტ-ფინიშის სწორის ბოლოს ჩამოიტოვა ირლანდიელი და პოდიუმზე მოხვედრის შესაძლებლობაც გაუჩნდა. ბრაზილიელთა სიხარული ხანმოკლე აღმოჩნდა, 42-ე წრეზე „სტიუარტს" „ფორდის" ძრავამ უმტყუნა.

შუმახერი ბოქსებში შესვლამდე ლიდერობდა. მერე კი პირველობა ჰაკინენს დარჩა, რომელმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა და სწრაფად დაწინაურდა, მას არც საწვავის შევსების შემდეგ დაუკარგავს ლიდერობა და ფინიშამდე 2 წრით ადრე წრის რეკორდიც დაამყარა.

შესანიშნავად იასპარეზეს ალეზიმ და ვილნევმა, რომლებიც ჯერ ჩამორჩნენ, მაგრამ მერე მოახერხეს პოზიციების გაუმჯობესება. განსაკუთრებით აღსანიშნავი ფრანგი პილოტის რბოლაა, რომელიც მე-19-დან მე-4 ადგილზე ალზევდა. მეტსაც მოახერხებდა, ტექნიკას რომ არ დაეღალატებინა და დროზე ადრე არ დაესრულებინა რბოლა. ქულის მოპოვების შანსი ვილნევსაც ჰქონდა, მაგრამ მექანიკური პრობლემების გამო მანაც ბოქსებში, 49-ე წრეზე დაასრულა ასპარეზობა. „მინარდის" გუნდში დაშავებული ბადოერის ნაცვლად ფრანგი სარაცინი გამოჩნდა. დებიუტანტი კარგა ხანს ტოლს არ უდებდა მეორე ეშელონის პილოტებს, მაგრამ 31-ე წრეზე შეცდა, ბარიერს შეეჯახა, ერთხანს იბზრიალა და რბოლა შეწყვიტა.

მიკა ჰაკინენმა ბრაზილიაში თავისი მე-10 გამარჯვება მოიპოვა და დაამტკიცა, რომ ის და მისი „მაკლარენი" შესანიშნავ ფორმაში არიან და ჩემპიონობას იოლად არ დათმობენ.

**ალეკო ჭაბუკიანი**

REUTERS სან პაულუდან



მიკა ჰაკინენი და მიხაელ შუმახერი: ყოჩაღები შამპანურით ლაღობენ

**რბოლის შედეგები**

**ბრაზილიის დიდი პრიზი**

11 აპრილი, სან-პაულუ

დისტანცია — 72 წრე — 308.994 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ჰაკინენი (მაკლარენი) | 1:36.03,786 (192,994 კმ/სთ) | 10 |
| 2 | მ. შუმახერი (ფერარი) | ჩამორჩა 4,925 წმ-ით | 6 |
| 3 | ფრენცენი (ჯორდანი) | 1.13,487 | 4 |
| 4 | რ. შუმახერი (უილიამსი) | 1 წრით | 3 |
| 5 | ირვინი (ფერარი) | 1 | 2 |
| 6 | პანი (პროსტ-პეჟო) | 1 | 1 |
| 7 | ვურცი (ბენეტონი) | 2 | |
| 8 | ტაკაგი (ეროუსი) | 3 | |
| 9 | ჟენე (მინარდი-ფორდი) | 3 | |

**საუკეთესო წრე**

მიკა ჰაკინენი (მაკლარენი) 1.18,448 (70-ე წრე)

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| დე ლა როსა (ეროუსი) — მექანიკური პრობლემები | 52 | წრე |
| ვილნევი (BAR) — მექანიკური პრობლემები | 49 | წრე |
| ძანარდი (უილიამსი) — მექანიკური პრობლემები | 43 | წრე |
| ბარიჩელო (სტიუარტი) — ძრავა | 42 | წრე |
| ლინცი (ზაუბერი) | 42 | წრე |
| ფიზიკელა (ბენეტონი) | 38 | წრე |
| სარაცინი (მინარდი) — ავარია | 31 | წრე |
| ალეზი (ზაუბერი) | 27 | წრე |
| კულჰარდი (მაკლარენი) | 22 | წრე |
| ტრული (პროსტ-პეჟო) | 21 | წრე |
| ჰერბერტი (სტიუარტი) — ძრავა | 14 | წრე |
| ჰილი (ჯორდანი) — შეკიდულობა | 10 | წრე |

## განლაგება სტარტზე

| | |
|---|---|
| 21. ჟენე 1:20,710 მინარდი | 22. ვილნევი — BAR |
| 20. სარაცინი 1:20,016 მინარდი | 15. ტაკაგი 1:20,090 ეროუსი |
| 4. ძანარდი 1:19,452 უილიამსი | 14. დე ლა როსა 1:19,979 ეროუსი |
| 11. ალეზი 1:18,816 ზაუბერი | 12. დინიცი 1:19,194 ზაუბერი |
| 18. პანი 1:18,636 პროსტი | 19. ტრული 1:18,684 პროსტი |
| 17. ჰერბერტი 1:18,374 სტიუარტი | 6. რ.შუმახერი 1:18,506 უილიამსი |
| 8. ფრენცენი 1:17,902 ჯორდანი | 19. ვურცი 1:18,334 ბენეტონი |
| 4. ირვინი 1:17,843 ფერარი | 7. ჰილი 1:17,884 ჯორდანი |
| 3. მ.შუმახერი 1:17,578 ფერარი | 9. ფიზიკელა 1:17,810 ბენეტონი |
| 2. კულჰარდი 1:16,715 მაკლარენი | 15. ბარიჩელო 1:17,305 სტიუარტი |
| | 1. ჰაკინენი 1:16,568 მაკლარენი |

**FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP**

| | | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ირვინი** (ბრიტანეთი) ფერარი | 10 | 2 | | | | | | | | | | | | | | | 12 |
| 2 | **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| | **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | | 10 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 4 | **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 5 | **მ.შუმახერი** (გერმანია) ფერარი | | 6 | | | | | | | | | | | | | | | 6 |
| 6 | **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | | | | | | | | | | | | | | | | 3 |
| 7 | **ბარიჩელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | | | | | | | | | | | | | | | | 2 |
| 8 | **დე ლა როსა** (ესპანეთი) ეროუსი | 1 | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 9 | **პანი** (საფრანგეთი) პროსტ პეჟო | 1 | | | | | | | | | | | | | | | | 1 |
| 1 | ფერარი | 10 | 8 | | | | | | | | | | | | | | | 18 |
| 2 | ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | 4 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 2 | მაკლარენ მერსედესი | | 10 | | | | | | | | | | | | | | | 10 |
| 4 | უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | | | | | | | | | | | | | | | 7 |
| 5 | ბენეტონ სუპერტეკი | 3 | | | | | | | | | | | | | | | | 3 |

# არ დაიდარდო, ანდრე

REUTERS ჰონკონგიდან



ანდრე აგასი და ბორის ბეკერი

**ჰონკონგი. „სალემის" ღია პირველობა. ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

მეოთხედფინალი: **ჰენდრიკ დრეეკმანი** (გერმანია) — რიჩარდ კრაიჩეკი (1, ჰოლანდია) 6:3, 3:6, 6:3; **ანდრე აგასი** (3, აშშ) — ნიკოლას კიფერი (5, გერმანია) 6:2, 6:2; **ბერნდ კარბახერი** (გერმანია) — იონას ბიორკმანი (7, შვედეთი) 6:4, 6:4; **ბორის ბეკერი** (გერმანია) — ლორენს ტილმანი (იტალია) 7:6 (7:3), 7:6 (7:3).
ნახევარფინალი: **აგასი** — დრეეკმანი 6:3, 6:0; **ბეკერი** — კარბახერი 6:4, 6:4
ფინალი: **აგასი** — ბეკერი 6:7 (4:7), 6:4, 6:4

თუ ბოლო გვერდზე ჯერაც არ გადაგიფურცლავთ და იქ მოხსენიებული ამბავი არ გადაგიკითხავთ, აქვე გაცნობებთ, რომ ანდრე აგასი განაზევრდა — ხოტორა ვარსკვლავი გასულ კვირაში თავის მეუღლეს, მსახიობ ბრუკ შილდსს გაშორდა.

აგერ ორი წლის წინ იყო, უგრძეს თეთრ კაბაში გამოწყობილი მშვენიერი პატარძალი ლამის სირბილით რომ ავარდა პატარა კათოლიკური ეკლესიის კიბეებზე და გაბადრულ ანდრეს ხელი ჩასჭიდა, სანამ შეყვარებულები კარგა ხნით დაემალებოდნენ მასმედიას თაფლობის თვის გასატარებლად.

აგასის ქორწინება აშკარად არ მოუხდა: 1997 წლის ბოლოს სამგზის დიდი სლემის ტურნირის ჩემპიონი და მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი კლასიფიკაციაში 141-ე ადგილზე დაეშვა. შარშან 28 წლის ანდრე საუკეთესო ათეულს დაუბრუნდა, თუმცა სასურველი სტაბილურობა და წარმატებები დიდ ტურნირებზე არა და არ მოდიოდა.

„დიახ, მართალია, რომ განშორების შესახებ შევიტანეთ განცხადება... ყველაფერი დასრულდა" — ჩვეულებრივ ლაქლაქა ამერიკელი ჰონ კონგში ბევრი ლაპარაკის ხასიათზე არ გახლდათ და არც ის კითხვა ესიამოვნა, ასე შორს ამერიკიდან ჟურნალისტებისგან თავის დასაღწევად ხომ არ გადმოიხვეწეთო.

ამაზე უკეთეს ფინალზე კი ტურნირის ორგანიზატორები ვერც იოცნებებდნენ: აქეთ ანდრე, იქეთ უიმბლდონის სამგზის ჩემპიონი და მასავით მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ბორის ბეკერი. ოღონდ ეგ იყო, რომ მასპინძლები ჭირვეულმა ამინდმა დაალალატა — კვირას შუადღით დაწყებული მატჩი თავსხმა წვიმის გამო ხუთი საათის შემდეგ გაგრძელდა, მესამე სეტის დასაწყისში კი სულაც შეწყდა და მხოლოდ ორშაბათს დასრულდა.

დიდ გერმანელს წლეულს ჰონ კონგამდე სულ ერთი მოგება ჰქონდა ანგარიშზე, მაგრამ თავისთვისაც მოულოდნელად, აქ ზედიზედ ოთხი მეტოქე დაამარცხა და აგასისაც დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ამერიკელი გადამწყვეტ სეტში 5:1-ით დაწინაურდა, მაგრამ ბეკერმა სამი მატჩ-პოინტი გადაარჩინა, ათიოდ ეისიც მოაწოდა და ანგარიშის მინიმუმამდე შემცირებით ანდრეს გვარიანი შიში აჭამა.

„ძალიან დიდი სიამოვნება მივიღე ამ მატჩიდან, ორივემ კარგად ვითამაშეთ. ბორისს როცა ხვდები, წუთითაც არ შეიძლება მოეშვა" — აღნიშნა მოგვიანებით ბროლის დიდი ლარნაკითა და 46 ათასი დოლარით გამდიდრებულმა აგასიმ.

**მადრასი. ინდოეთი. GOLD FLAKE OPEN. ჰარდი. საპრიზო 405 ათასი $**

ნახევარფინალი: **ბაირონ ბლექი** (4, ზიმბაბვე) — იონ ვან ლოტუმი (8, ჰოლანდია) 6:1, 6:1; **რაინერ შუტლერი** (7, გერმანია) — პეტერ ვესელსი (ჰოლანდია) 6:1, 6:3
ფინალი: **ბლექი** — შუტლერი 6:4, 1:6, 6:3

**ესტორილის ღია პირველობა. პორტუგალია. თიხნარი. საპრიზო 760 ათასი $**

მეოთხედფინალი: ტოდ მარტინი (2, აშშ) — **ფერნანდო მელიგენი** (ბრაზილია) 4:5 — დისკვ; **მარსელო რიოსი** (3, ჩილე) — გუსტავო კუერტენი (5, ბრაზილია) 6:4, 6:3; **ალბერტ კოსტა** (4, ესპანეთი) — ფელიქს მანტია (6, ესპანეთი) 6:2, 6:4; **ჟერომ გოლმარი** (საფრანგეთი) — ქარიმ ალამი (მაროკო) 6:4, 7:6 (7:1).
ნახევარფინალი: **მარტინი** — რიოსი 6:3, 7:6 (7:4); **კოსტა** — გოლმარი 6:4, 6:4
ფინალი: **კოსტა** — მარტინი 7:6 (7:4), 2:6, 6:3

ამერიკელ ტოდ მარტინს ზედიზედ ორ მატჩში გაუწონასწორებელ სამხრეთამერიკელებთან თამაში მოუხდა. ჯერ იყო და მეოთხეფინალში ბრაზილიელმა ფერნანდო მელიგენიმ მორიგი აცილება არ აპატია საკუთარ თავს, ჩოგანი მთელი ძალით მოიქნია... და ბურთი ერთ-ერთ მაყურებელს მკერდზე დაასვა. ბოდიშებმა საქმეს არ უშველა — მელიგენი ტურნირიდან მოკვეთეს.

თითქოს ეს არ იყო საკმარისი, ნახევარფინალში მარტინის მეტოქე მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი მარსელო რიოსი გახლდათ და ყოფაქცევაში „სანიმუშოს" ვერც ამას დაუწერდი: კიკინიანი ჩილელი ჩოგანს გამუდმებით და მონდომებით უხათქუნებდა კორტს, მატჩის დასრულებამდე მაყურებლებიც მოიმდურა, პრესკონფერენციაზე კი ერთი ჟურნალისტისთვის პასუხის გაცემა იუარა, ეგ მაგარი ცუდი „ტიპიაო".

თუ ზემოხსენებული წინააღმდეგობები მარტინმა ასე თუ ისე იოლად გადალახა, კვირას ატლანტის ოკეანიდან მოვარდნილ ქარს და ალბერტ კოსტას ვერაფერი მოუხერხა — საკუთარ ნებაზე მფრინავ ბურთსა და კორტიდან ავარდნილ ქვიშის კორიანტელს ესპანელმა მოთიხნარემ ალლო უკეთ აუღო და საყვარელ საფარზე კარიერაში მეცხრედ იმარჯვა.

**ამელია აილენდი. აშშ. BAUSCH&LOMB-ის პირველობა. მწვანე თიხნარი. საპრიზო 520 ათასი $**

მეოთხედფინალი: **მონიკა სელეში** (2, აშშ) — ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) 6:3, 6:0; **კონჩიტა მარტინესი** (7, ესპანეთი) — მარი პირსი (4, საფრანგეთი) 3:6, 7:6 (7:4), 6:2; **ანა კურნიკოვა** (9, რუსეთი) — პატი შნიდერი (6, შვეიცარია) 6:0, 6:2; **რუქსანდრა დრაგომირი** (რუმინეთი) — ფაბიოლა ზულაგა (კოლუმბია) 6:3, 6:1.
ნახევარფინალი: **სელეში** — მარტინესი 6:0, 6:1; **დრაგომირი** — კურნიკოვა 6:3, 7:5
ფინალი: **სელეში** — დრაგომირი 6:2, 6:3

ანა კურნიკოვასთან მეოთხედფინალურ შეხვედრაში 20 წლის პატი შნიდერი მეტისმეტად უცნაურად იქცეოდა: ხშირად არ მისდევდა ერთი შეხედვით იოლად ასაღებ ბურთებს, ზოგჯერ თითქოს განზრახ აცილებდა, შესვენებებზე კი სულის მოთქმის ნაცვლად ოფლს იმშრალებდა და მაშინვე კორტზე ბრუნდებოდა. მოლედ, ყველანაირად უჩვენებდა, რომ მატჩის სასწრაფოდ დასრულება სურდა.

შეხვედრამ სულ 40 წუთი გასტანა, ყველაფერი კი მოგვიანებით გაირკვა: „მე ვერ ვიტან მასთან თამაშს. საუკეთესო მეგობრები ნამდვილად არა ვართ და ადრე გვიჩხუბია კიდეც. საქმე მის პიროვნებაშია. ჩემთვის ძნელია მასში მეტოქე დავინახო და არა ანა".

ის, რომ 17 წლის რუსი კოლეგებს მაინცდამაინც გულზე არ ეხატებათ, ახალი ამბავი არ არის. ბევრს შურს იმ ყურადღების, რასაც კურნიკოვას მიმართ მასმედია და ქომაგები იჩენენ. შნიდერს კი დამატებითი მიზეზიც აქვს — საძულველ მეტოქესთან მან ზედიზედ მესამე შეხვედრა წააგო, ერთხელ კი თაღლითობაშიც დასდო ბრალი, ტემპს განზრახ აგდებდა და ნერვები მომიშალაო.

თავად კურნიკოვამ ინციდენტის არსებობა სასტიკად იუარა, მასთან არასოდეს მისაუბრია და მით უმეტეს, არ მიკამათიაო, თუმცა მეტოქის ცოდვამ მალე უწია — წყვილებში თამაშისას ბარძაყის ტრავმა მიიღო და რუმინელ დრაგომირს ველარ აჯობა.

რაც შეეხება ამელია აილენდში გამარჯვებულს, მონიკა სელეშმა თავისთვის უჩვეულოდ გრძელი, შვიდთვიანი შესვენების შემდეგ სეზონის პირველი ტიტული მოიგო, თანაც გზად ხუთ მატჩში სულ 14 გეიმი წააგო, მაგრამ პრეტენზიების გამოთქმისთვის მაინც იპოვა მიზეზი: „უფრო სტაბილურად უნდა ვითამაშო. უმეტესობა ჩვენგანი ერთ-ორ ტურნირზე აღწევს წარმატებას, მარტინა ჰინგისი კი ყველგან კარგად ასპარეზობს. ერთ დროს მეც ასე ვიყავი და მსურს, სწორედ იგივეს მივაღწიო".

**ავთანდილ სვანიძე**

REUTERS ესტორილიდან



ალბერტ კოსტა



# NHL გამსვლელი [illegible]!

როგორც იქნა, გაირკვა პლეი ოფის მონაწილე ბოლო ორი კლუბის ვინაობაც. კაროლინელთა ეს წარმატება (სხვათა შორის, პირველი 1992 წლის შემდეგ) მოსალოდნელი იყო, მათ მხოლოდ ერთი ქულა აშორებდათ მიზნამდე. ედმონტონისა და კალგარის ჭიდილს კი, წესით, კულმინაციისთვის ჩემპიონატის ბოლოსწინა დღეს, მეტოქეთა მესამე სააპრილო პაექრობაში უნდა მიეღწია, მაგრამ კალგარელთა ნოკდაუნს ედმონტონში საშინაო ნოკაუტიც მოჰყვა. 12 აპრილს უიმედო აუტსაიდერ ვანკუვერთან მარცხის შემდეგ „ალებმა" ფარ-ხმალი დაყარეს და პლეი ოფში გზა ედმონტონს გადაულოცეს. ამან დალასის მესვეურები ძალიან დაამწუხრა, რადგან თასის ბოლო ორ გათამაშებაში სწორედ „მენავთობეებმა" სძლიეს ფავორიტებს. „ვარსკვლავები" მოუხერხებელ მეტოქესთან ზედიზედ მესამე დაპირისპირებას ველარ გაექცევიან.

9 აპრილი

**ანაჰაიმი — სან ხოსე 1:4**

0:1 1:0 0:3

0:1 კოროლიუკი 18'22 (9); 1:1 სანდსტრიომი 28'19 (13); 1:2 ფრიზენი 42'19 (22); 1:3 ნოლანი 49'30 (18); 1:4 მერფი 51'50 (24)

სანხოსელმა მეკარემ სტივ შილდსმა (28 მოგერიება) თვით ტეემუ სელიანეს შეჩერება შეძლო (მას 9 მატჩიანი შედეგიანი სერია შეუწყდა) და თავისი წაუგებელი სერიაც 11 მატჩამდე გაზარდა.

**დალასი — რეინჯერსი 3:1**

2:0 1:0 0:1

1:0 კინი 0'15 (5); 2:0 რეიდი 13'36 (6); 3:0 ნუინდაიკი 22'24 (25); 3:1 ნაბლი 43'14 (15)

ზედიზედ მეორე სეზონია, დალასი ჩემპიონატში გამარჯვებისთვის „პრეზიდენტის თასს" ეუფლება. ამასთანავე 110 ქულით ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარა.

**ფინიქსი — ნეშვილი 3:4**

2:0 0:1 1:3

1:0 ტკაჩუკი 8'13 (34); 2:0 ადამსი 16'25 (18); 2:1 ფიცჯერალდი 35'57 (13); 2:2 ვალიჩევიჩი 43'23 (3); 3:2 ადამსი 44'23 (19); 3:3 კრივოკრასოვი 48'47 (25); 3:4 ვალიჩევიჩი 52'49 (4)

ნეშვილმა მოთამაშე აღმოაჩინა — იუგოსლავიური წარმოშობის კანადელა რობ ვალიჩევიჩმა, რომელმაც წლების განმავლობაში ფეხი ვერსად მოიკიდა, ბოლო ხუთ თამაშში 4 შაიბა შეაგდო.

**ბუფალო — ფლორიდა 3:1**

1:0 2:0 0:1

1:0 შატანი 11'06 (37); 2:0 პეკა 20'24 (27); 3:0 ვული 35'27 (9); 3:1 გარპენლოვი 55'55 (8)

**კალგარი — ედმონტონი 1:4**

0:0 1:1 0:3

1:0 იგინლა 22'34 (25); 1:1 გრირი 33'22 (17); 1:2 მორო 45'13 (10); 1:3 რ. სმიტი 49'56 (13); 1:4 გრირი 58'34 (18)

მასპინძელთათვის საბედისწერო ისევ მესამე პერიოდი აღმოჩნდა — ექსჩიკაგოელმა ეტან მორომ, რომელსაც „დედლაინზე" ედმონტონში გადასვლის შემდეგ გოლი არ გაეტანა, ზუსტად დაარტყა.

**სენტ ლუისი — დეტროიტი 1:1**

0:0 1:1 0:0 0:0

0:1 ფიოდოროვი 37'41 (25); 1:1 ტარჯონი 39'11 (31)

10 აპრილი

**ვანკუვერი — ედმონტონი 1:1**

0:0 0:0 1:1 0:0

1:0 სოპელი 43'48 (1); 1:1 უეიტი 55'16 (6)

**აილენდერსი — კაროლინა 1:6**

1:2 0:2 0:2

0:1 რობერტსი 3'50 (13); 1:1 ჩერკავსკი 10'48 (19); 1:2 კაპანენი 18'20 (24); 1:3 ფრენსისი 30'26 (19); 1:4 კოვალენკო 39'42 (18); 1:5 ბატალია 46'41 (6); 1:6 ონეილი 55'15 (16)

ეფექტურმა გამარჯვებამ კაროლინას საპლეიოფო საგზური მოუტანა.

**მონრეალი — ნიუ ჯერსი 2:6**

1:3 0:2 1:1

0:1 ელიაში 0'37 (15); 0:2 კარპენტერი 5'45 (2); 0:3 სიკორა 11'37 (28); 1:3 ტორნტონი 19'38 (7); 1:4 როლსტონი 23'28 (21); 1:5 ოდელეინი 26'31 (5); 1:6 ელიაში 40'53 (16); 2:6 სტივენსონი 45'06 (8)

**ვაშინგტონი — ფილადელფია 1:2**

0:2 0:0 1:0

0:1 ჯოუნსი 6'22 (19); 0:2 დიუშენი 9'49 (6); 1:2 გრეტონი 47'58 (2)

**ოტავა — ბუფალო 1:1**

1:0 0:1 0:0 0:0

1:0 კრავჩუკი 15'55 (4); 1:1 უორდი 20'27 (20)

**ტორონტო — ფლორიდა 9:1**

2:0 3:1 4:0

1:0 ბერეზინი 14'41 (36); 2:0 ტომასი 18'42 (28); 3:0 სალივანი 22'23 (17); 4:0 სალივანი 27'02 (18); 5:0 სუნდინი 30'32 (30); 5:1 დვორჟაკი 33'02 (19); 6:1 იუშკევიჩი 50'55 (6); 7:1 კოტი 51'38 (4); 8:1 სალივანი 53'47 (19); 9:1 სალივანი 55'36 (20)

სტივ სალივანმა კარიერაში პირველად გაიტანა 4 გოლი.

**ბოსტონი — ტამპა 3:2**

1:2 1:0 1:0

0:1 გრეტონი 8'10 (8); 1:1 ჰაინცე 14'19 (22); 1:2 კუბინა 18'52 (8); 2:2 ტორნტონი 22'07 (15); 3:2 კარტერი 47'43 (22)

11 აპრილი

**ანაჰაიმი — ფინიქსი 3:0**

1:0 0:0 2:0

1:0 კარია 3'21 (37); 2:0 ნილსენი 51'52 (5); 3:0 სელიანე 59'12 (46)

**დეტროიტი — პიტსბურგი 0:3**

0:0 0:2 0:1

0:1 კოვალიოვი 35'02 (21); 0:2 პრდინა 41'57 (13); 0:3 კესა 57'54 (2)

კრიზისში მყოფმა, რვა თამაშ მოუგებელმა პიტსბურგმა, ისიც შესუსტებული შემადგენლობით, შეაჩერა ჩემპიონის ტრიუმფალური სვლა.

**სენტ ლუისი — კოლორადო 2:4**

0:0 2:2 0:2

იანგი, პიკარი — ფლერი, ჰანტერი, ფორსბერგი, გუსაროვი

**დალასი — ლოს ანჯელესი 6:2**

4:2 2:0 0:0

კინი, ჰრკაჩი, მარშალი, ჰალი, პლანტი საიდორი — კ. ჯონსონი, მაკენა

12 აპრილი

**ვაშინგტონი — ჩიკაგო 2:4**

1:1 1:1 0:2

1:0 გრეტონი 1'43 (3); 1:1 დაზე 10'08 (22); 1:2 ამონტე 30'10 (41); 2:2 გრეტონი 31'11 (4); 2:3 ამონტე 56'14 (42); 2:4 ჟამნოვი 59'29 (19)

**რეინჯერსი — ტამპა 2:1**

0:1 1:0 1:0

0:1 სილინჯერი 5'15 (8); 1:1 შნაიდერი 30'21 (10); 2:1 მაკლინი 51'31 (28)

**ნეშვილი — ლოს ანჯელესი 3:4**

1:0 1:2 1:2

1:0 ბორდელო 19'20 (16); 1:1 რობიტაილი 24'59 (36); 2:1 ტიმონენი 30'58 (2); 2:2 რობიტაილი 38'39 (37); 2:3 რობიტაილი 41'28 (38); 2:4 ნემეჩეკი 43'40 (1); 3:4 უოკერი 54'47 (14)

**სან ხოსე — ედმონტონი 4:5**

2:1 0:0 2:3 0:1

1:0 კოროლიუკი 2'04 (10); 2:0 მარლო 6'13 (21); 2:1 სელივანოვი 13'50 (13); 2:2 სელივანოვი 53'47 (14); 2:3 მარჩანტი 54'32 (12); 3:3 კოროლიუკი 57'22 (11); 4:3 რიჩი 59'00 (13); 4:4 მარჩანტი 59'42 (13); 4:5 პოტი 63'55 (5)

**ნიუ ჯერსი — აილენდერსი 2:4**

0:2 1:0 1:2

0:1 ორსაგი 12'17 (1); 0:2 ლინდგრენი 19'55 (8); 1:2 როლსტონი 25'04 (22); 1:3 უოტი 48'09 (8); 2:3 არნოტი 49'37 (27); 2:4 ლაპოინტი 57'41 (14)

**ოტავა — ფლორიდა 0:2**

0:2 0:0 0:0

0:1 პერიში 3'20 (23); 0:2 მელანბი 3'53 (17)

**კალგარი — ვანკუვერი 0:2**

0:0 0:0 0:2

0:1 განიე 53'43 (6); 0:2 მოგილნი 59'07 (13)

**სამველ ლარიბიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XXVI ტური

**ლაუტერნი 2:1 ბაიერნი**
0:1 დაეი (5), 1:1 ბუკი (29), 2:1 რიშე (43)

**ვერდერი 0:0 ჰამბურგი**

**შტუტგარტი 0:0 ნიურნბერგი**

**შალკე 1:0 ჰანზა**
1:0 ვოლფი (76)

**აინტრახტი 0:1 ვოლფსბურგი**
0:1 შური (ნხ.კ.)

## საფრანგეთი

XXIX ტური

**ბასტია 1:1 სოშო**
1:0 პერესი (33), 1:1 ბუჟე (77)

**რენი 2:0 ლანსი**
1:0 ნონდა (11), 2:0 ჟუსე (78)

## ჰოლანდია

**ალკმაარი 3:0 ბრედა**
1:0, 2:0, 3:0 მუტსერსი (79, 89, 90)

თასის ნახევარფინალი

**ეინდჰოვენი 1:3 სიტარდი**
1:0 ვან ნისტელროოი (26), 1:1 ჰამინგი (28), 1:2 როსტი (64), 1:3 ბოუმა (82)

## ინგლისი

პირველი დივიზიონი

**ბერი 2:5 სანდერლენდი**
0:1 ფილიპსი (53), 1:1 ბალოკი (22), 1:2 ქუინი (23), 1:3, 1:4 ფილიპსი (30, 33), 2:4 დაუსი (65), 1:5 ფილიპსი (90)

**გრიმსბი 1:0 ქუინზ პარკი**
1:0 ლესტერრი (70)

**პორტ ვეილი 1:1 ბრედფორდი**
1:0 ლი (20), 1:1 მილსი (33)

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 სვინდონი**
1:0 ჰუგესი (31), 1:1 ნდა (32)

**ბოლტონი 1:0 ბრისტოლი**
1:0 გუდიონსონი (7)

## ბელგია

ლიგის თასის ნახევარფინალი

**ეკერენი 3:2 ანდერლეხტი**
1:0 ვან ანკერენი (35), 1:1 ანასტასიუ (45), 1:2 სტოიჩა (54), 2:2 ჰოფმანსი (58), 3:2 ვან ანკერენი (61)

## ავსტრია

XXVIII ტური

**ლუსტენაუ 1:2 შტურმი**
0:1 რაინმაიერი (41), 0:2 ვასტიჩი (57), 1:2 კრისტო (84)

**კალათბურთი. საპორტას თასი. ფინალი**

ბენეტონი (იტალია) 64:60 პამესა (ესპანეთი)


REUTERS კაიზერსლაუტერნიდან

კაიზერსლაუტერნი — ბაიერნი 2:1. მიუნხენელი ციკლერი (მარცხნივ) ამაოდ დაშვრა — მისი გუნდი დამარცხდა


REUTERS მანჩესტერიდან

# ისევ ნასიმი

კრივის „უფლისწულად" შერაცხულმა ბრიტმა ნასიმ ჰამედმა (ფოტოზე მარჯვნივ), გასულ შაბათს მანჩესტერში მეთორმეტედ დაიცვა თავისი უმთავრესი საკრივო ტიტული — ორგანიზაციის (ვბო) ბუმბულის წონის (126 ფუნტი) ჩემპიონობა.

მან მეთერთმეტე რაუნდში დასცა აქამდე დაუმარცხებელი თანამემამულე პოლ ინგლი და პირადი რეკორდი 32 გამარჯვებამდე გაზარდა. მეოთხე წელიწადია, ნასიმი რჩება ორგანიზაციის უცვლელ და დაუმარცხებელ ჩემპიონად.

ბრძოლის შემდეგ ნასიმი გახარებულიც იყო და შეშფოთებულიც, მგონი ხელი მომტყდა და უეჭველად რენტგენი უნდა გადავიღოო.

სხვაფრივ, ბრძოლა აღსანიშნავი იყო იმით, რომ „უფლისწულის" კუთხეში პირველად იდგა ახალი მწვრთნელი პუორტორიკოელი ოსკარ სუარესი. აქამდე ნასიმს წვრთნიდა და ზრდიდა ბრენდან ინგლი, ვინაც მაშინ ჩაიბარა მომავალი ჩემპიონი, როცა იგი ჯერ კიდევ შვიდი წლისა იყო. ახალი მწვრთნელის, სუარესის ზურგსუკან კი დგას ნასიმის ბანაკში მთავარ ექსპერტად მოწვეული იმანუილ სტიუარდი, ბევრი ჩემპიონის აღმზრდელი და ამჟამად ბრიტი მძიმეწონოსნის ლენოქს ლუისის მწვრთნელი.

# აი, ბეისბოლი!

შაბათს, სენტ ლუისში ყირამალების დღე იყო. იქაურ „კარდინალთა" ფერნანდო ტატისმა იმგვარად დაჰკრა ბურთს, რომ მას გადევნებული ცინცინატელი დამჭერი ედი ტაუბენსი თევზირს მილმა გადაეშვა. სტუმართა თავგანწირულ მრბოლს ყირამ ბურთი ვერ დააჭერინა, თუმცა ამგვარ კისრისტეხას ტრავმაც არ მოჰყოლია.


REUTERS სენტ ლუისიდან



# განქორწინება მეგობრულად

ასეთ იდილიურ სურათს, ისევე, როგორც ანდრე აგასის საქომაგოდ შეფოფრილ ბრუკ შილდსს ამიერიდან ტრიბუნაზე ვეღარ ვიხილავთ სულ რაღაც ორი წლის წინ მარადიულ სიყვარულსა და ერთგულებაში შეფიცულმა ვარსკვლავურმა წყვილმა გასულ პარასკევს განშორების შესახებ განაცხადა.

„ჩვენ ძალიან გვიყვარს და პატივს ვცემთ ერთმანეთს, საუკეთესო მეგობრებადაც დავრჩებით" — ეს თავად ცისფერლაგუნელი ლამაზმანის კომენტარი გახლავთ. კი, მაგრამ ასე კარგად თუა საქმე, ზემოხსენებული ფაქტი რაღას უნდა მივაწეროთ?


REUTERS ჩიკაგოდან

# ძეგლი კაცსა და ხმას

ჩიკაგოს ბეისბოლის არენაზე რადიოკომენტატორ ჰარი კერეის ქანდაკება გაიხსნა. კერეი ორმოც წელიწადს გადასცემდა „ჩიკაგო კაბსის" თამაშების რეპორტაჟებს და ამ ქალაქში იმგვარად იყო ცნობილი, როგორც ჩვენში ეროსი მანჯგალაძე. კერეი შარშან გარდაიცვალა და მადლიერ ჩიკაგოელებს ამგვარად დაუფასებიათ ამაგი და ერთგულება.


REUTERS ნიუ იორკიდან

# მწერალთა ჩემპიონი

ლენოქს ლუისი ეგრეც ვერ გახდა მძიმე წონის უდავო ჩემპიონი. ევანდერ ჰოლიფილდთან ფრედ დასრულებული სკანდალური ბრძოლის ექო დღემდე სწვდება ყურს. თუმცაღა, მსოფლიოს მთელ რიგ ადგილებში ლუისს მაინც ჩემპიონად თვლიან, უდავო გამარჯვებულის შარავანდედით მოსავენ. ამ საქმეში თავისი გავლენიანი სიტყვა ამერიკის კრივზე მწერალთა ასოციაციამაც თქვა. ამ განთქმულმა საძმომ 9 აპრილს საგანგებო სადილი გაუმართა ნიუ იორკში ჩასულ ლუისს და ოქროს ქამრითაც დააჯილდოვა — აქაოდა, ჩვენი აზრით, ჩემპიონი შენა ხარო.


**სარბიელი**

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29